ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
№118 (12797) 22 მაისი პარასკევი 2009 ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შოთა არველაძე

შოთა არველაძემ სამწვრთნელო კარიერა წარმატებით დაიწყო - განვლილ სეზონში, როგორც „ალკმაარის" მთავარი მწვრთნელის ლუის ვან გაალის თანაშემწე, ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა. შოთას ახლა შვებულება აქვს და თბილისშია, რითიც ვისარგებლეთ კიდეც და რედაქციაში მოვიწვიეთ... რა იქნება მისი მომდევნო ნაბიჯი, როგორი მწვრთნელია ვან გაალი, რა აზრისაა ექტორ კუპერის მუშაობაზე... შოთას არაერთ თემაზე ვესაუბრეთ. მოკლედ, ტყუპისცალი არველაძე „ლელოს" ქართული ფეხბურთის განყოფილების კითხვებს პასუხობს...

- „აიაქსი" სერიოზულად არის დაინტერესებული, რომ მის სამწვრთნელო შტაბში გიხილოთ. რა არის ახალი ამ მხრივ და გაქვთ თუ არა სხვა შემოთავაზებები? „ალკმაართან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაკავშირებთ და უკვე გადაწყვეტილი გაქვთ, შეელიოთ ამ კლუბს?

- მხოლოდ „აიაქსს" არ აქვს სურვილი, რომ მის სამწვრთნელო შტაბში ვიყო, „ალკმაარსაც" უნდა, რომ დავრჩე. როგორც შევატყვე, ორივე კლუბში ასეთი ჩანაფიქრი აქვთ - ვიმუშაო ორი-სამი წელინადი მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ და მერე გავხდე გუნდის თავკაცი.

» გვერდი 16

# აიაქსთან ხუთი წუთის სავალზე ვარ



# ავსტრიით ვიწყებთ

ინტერვიუ ბესიკ ლიპარტელიანთან » გვერდი 12

# ზიდანი მიუნხენში, რიბერისთან: წამოდი მადრიდში!



მსოფლიო ფეხბურთი » გვერდები 4-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო-ოლიმპი. ფინალის წინ

# ლიგის შოუს რეჟისორი ქართულ ფინალსაც გააფორმებს

## 30 მაისი. მიხეილ მესხი. დინამო-ოლიმპი. 20:00

30 მაისს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს თასის ფინალში ერთმანეთს თბილისის „დინამო“ და რუსთავის „ოლიმპი“ დაუპირისპირდებიან. პროფესიული ფეხბურთის ლიგამ საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე ფინალისთვის მზადების თაობაზე ინფორმაცია გაავრცელა.

„საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის“ გათამაშების ფინალური მატჩი 30 მაისს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 20 საათზე დაიწყება. ფინალში ერთმანეთს თბილისის „დინამო“ და რუსთავის „ოლიმპი“ შეხვდებიან. ბილეთის ფასი 3 და 5 ლარი იქნება. აქვე გეტყვით, რომ ქვემო ქართლის ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს მთელი რეგიონიდან გულშემატკივრების ორგანიზებულად ჩამოყვანა. მატჩზე დასასწრები ბილეთები „ლოკომოტივის“ სტადიონის სალაროებში 2 დღით ადრე გაიყიდება. თამაშის წინ დაგეგმილია საზეიმო გახსნის ცერემონია, რომლის დადგმაზეც ცნობილი ქართველი რეჟისორი ლაშა ონიანი მუშაობს. ცერემონიის შესახებ უფრო დაწვრილებით უახლოეს დღეებში საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელობა და თავად ლაშა ონიანი ისაუბრებენ. შეგახსენებთ, რომ ლაშა ონიანის ხელმძღვანელობით 27 მაისს რომში ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის საზეიმო გახსნის ცერემონია ჩატარდება“, - იუწყება პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრესსამსახური.

ფინალისთვის მზადებაზე უფრო დეტალურად ლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი** გვესაუბრება: „მატჩის 20 საათზე დაწყება ყველანაირად გამართლებულია. ხელოვნური განათება ფეხბურთს მეტ ლაზათსა და აზარტს ანიჭებს. ამას გარდა, ხალხისთვის სტადიონზე საღამოს მისვლა უფრო მოსახერხებელი და მისაღებია“, - მიაჩნია გენმდივანს.

მოგეხსენებათ, სტადიონის მეპატრონის ვინაობა დღემდე გაურკვეველია. მართალია, ობიექტი თბილისის მერიის ბალანსზეა, მაგრამ რეალურად, მისი მოვლა-პატრონობა გართულებულია - მოედნის, ტრიბუნებისა და მორწყვა-დასუფთავების საკითხიც „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელთა ენთუზიაზმით თუ ხორციელდება. პრობლემა იყო სტადიონის ელექტროენერგიით მომარაგებაც, მაგრამ ბურჯალიანის თქმით, ეს საკითხი საბოლოოდ მოგვარდა - ყოველ შემთხვევაში, ფინალისთვის პრობლემა არ უნდა შეიქმნას.



ეკონომიკური კრიზისის გამო, ჩვენთან ბევრ საწარმოსა თუ ორგანიზაციას პრობლემა შეექმნა, ბევრიც დაიხურა, ზოგიერთმა თანამშრომელთა შემცირება დაიწყო... ბუნებრივია, მეტნაკლებად წარმატებულმა კომპანიებმა სარეკლამო დაკვეთები შეამცირეს. თასის ფინალს „ყაზბეგი“ აფინანსებდა და როგორც ჩანს, გაჭირვების მიუხედავად, კომპანიას თავისი პირობების შესრულებაზე ხელი არ აუღია. ისევ ბურჯალიანი:

„ყაზბეგის“ ხელმძღვანელობას თასის გათამაშების დაფინანსების შემცირების საკითხიც არ დაუსვამს. კომპანიის ხელმძღვანელობა დანაპირებს ასრულებს და ფინალის საპრიზო ფონდიც ძველებური ოდენობის, ანუ 25 ათასი ლარი იქნება“.

თასის წლევანდელი გათამაშების ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე ის არის, რომ რეჟისურა **ლაშა ონიანს** დაევალა. ბოლო წლებში ჩემპიონთა ლიგის ფინალების შოუს უცვლელი რეჟისორი საქართველოს თასის საფინალო წარმოდგენასაც დადგამს.

„ონიანი ავტორიტეტული რეჟისორია და სასიხარულოა, რომ 30 მაისის საღამოს შოუს რეჟისურაზე დაგვთანხმდა. როგორც იცით, 27 მაისს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რომის ოლიმპიურ სტადიონზე შოუ-პროგრამას „ერისიონისა“ და „რუსთავის“ 66 მოცეკვავე გოგონა გახსნის. სამ დღეში კი ჩვენთან, „ლოკომოტივის“ სტადიონზე აბსოლუტურად სხვა შოუს წარმოადგენენ. ქართული ფინალი სულაც არ იქნება რომის შოუს გამეორება. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივართათვის ეს შთამბეჭდავი წარმოდგენა იქნება. იმედია, საფინალო შეხვედრაც ლამაზი და დაძაბული იქნება“, - იმედოვნებს ლიგის გენერალური მდივანი.

ბილეთის ფასი ნებისმიერი გულშემატკივრისთვის ხელმისაწვდომია - სულ რაღაც 3 და 5 ლარი: „ბოლო ინფორმაციით, რუსთავის „ოლიმპის“ ხელმძღვანელობამ ფინალისთვის ქალაქში მეცხრე, მეათე და მეთერთმეტეკლასელების მობილიზაცია დაიწყო. ბუნებრივია, მათ გარდა, თავისიანების მხარდაჭერას უამრავი რუსთაველიც აპირებს. ჩვენი გათვლით, დაახლოებით, 5 ათასი კაცი მაინც უნდა ჩამოვიდეს. რუსთავის მერია ავტობუსებს დაიქირავებს, რათა ქომაგებს უკან დაბრუნება გააუადვილოს. ეს ისეთი ამბავია, რომელმაც სტადიონზე „დინამოსა“ და საერთოდ, თბილისელი გულშემატკივრის მოსვლას ხელი რომ უნდა შეუწყოს. ყოველთვის ასე ხდებოდა - თბილისელი გულშემატკივარი ცოტა ინერტულია, მაგრამ შარშან რომ შეიტყვეს, „ზესტაფონის“ უამრავი მხარდამჭერი ჩამოდისო, თავადაც შეწუხდნენ და თანაქალაქელებს უქომაგეს. ბილეთის ფასიც ყველასათვის ხელმისაწვდომია - 3-დან 5 ლარამდე. ვფიქრობ, მაყურებლის მოზიდვას ესეც ხელს შეუწყობს“, - ამბობს ბურჯალიანი.

ინტერვიუ

### ჯაბა კანკავა

# პესიმიზმი საშინელებაა

## ძალიან კარგი ახალი თაობა გვეზრდება და უიმედოდ როგორ ვიქნები?

**ბოლო** ერთი წელია, ჯაბა კანკავა ტრავმებმა გატანჯა. საქართველოს ნაკრებისა და დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ ნახევარმცველი ზედიზედ სამჯერ დაშავდა და სეზონი გაუცდა - ჩემპიონატსა და თასზე სამიოდე შეხვედრა რა მოსატანია. არადა, ჯაბას უკვე გუნდის წამყვან ფიგურად განიხილავდნენ და ტრავმამოშუშებულმა აკი სკამზე დასვა კიდეც კონკურენტები... ბოლოს, 1-ელ მარტს, „დნიპროს“ ვარჯიშზე მოიტეხა ფეხი და სწორედ მისი ჯანმრთელობის მოკითხვით დავიწყეთ გუშინ ინტერვიუს ჩაწერა...

- ჯაბა, მკურნალობის პროცესი დაასრულე?

- ოპერაცია არ დამჭირვებია, ფეხი ერთი თვე თაბაშირში მქონდა, მერე მსუბუქად ვვარჯიშობდი, შედარებით დიდი დატვირთვებით ვარჯიში კი ახლახან დავიწყე. სამწუხაროდ, ერთი წელიწადი გამიცდა. ჯერ მხარზე დამჭირდა ოპერაცია, მერე ფეხი მომტყდა და ორი თვე დავისვენე, 1-ელ მარტს კი ვარჯიშზე კიდევ ერთხელ მომტეხეს ფეხი. წელს მაინც ველარ ვითამაშებ და საერთო ჯგუფთან ერთად ვარჯიშს ჯერ მაინც ვერიდები. ინდივიდუალურად ვემზადები, რეაბილიტაციის პროცესის დაჩქარება არ მსურს.

**- გუნდთან ერთად როდის ივარჯიშებ?**

- მომავალი სეზონისთვის. თუმცა დასასვენებლად დიდი დრო არც გვრჩება, სულ რაღაც ერთი კვირა, მაქსიმუმ ათი დღე. სეზონი მაისის ბოლოს მთავრდება, ახალი ჩემპიონატისთვის მომზადებას კი 10-15 ივნისიდან დავიწყებთ.

**- ასე ცოტა ხანს რატომ გასვენებენ?**

- რა გითხრათ, უკრაინაში მცირე შესვენება ტრადიციაა, სულ შეკრებებზე ან თამაშებისთვის მზადებაში ვართ.

**- ვლადიმირ ბესონოვის დამოკიდებულება ბექა გოცირიძისა და სანდრო კობახიძისადმი ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ ჩვენებურები ძირითადში თითქმის აღარ ჩანან. ტრავმის პერიოდში შენ მიმართ ყურადღება თუ გამოიჩინა?**



- კი, ნამდვილად ყურადღებიანი იყო, სულ მკითხულობდა და ამ მხრივ, მწვრთნელის მიმართ საყვედური არ მეთქმის. საერთოდაც, ბესონოვი ყურადღებიანი ადამიანია. მისი დანიშვნისთანავე, კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. გოცირიძე და კობახიძე რომ არ თამაშობენ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი იმედი არ აქვს, უბრალოდ, ბექას და სანდროს აქ დასამკვიდრებლად დრო სჭირდებათ.

**- დიდი ხანია, ნაკრებში არ გითამაშია. მარტო ტრავმებია ამის მიზეზი? ბევრს ჰგონია, რომ „დნიპროს“ ძირითადში უთამაშებლობის გამო არ გიწვევდნენ...**

- რა თქმა უნდა, მიზეზი ტრავმებია, დავიტანჯე უკვე... მაგრამ არაფერია - იმედია, ფორმას აღვიდგენ და ნაკრებშიც დამაბრუნებენ.

**- ნაკრების შეხვედრებმა გულშემატკივრებში იმედგაცრუება გამოიწვია...**

- სხვა საქმეა, რამდენად მომეწონა ან არ მომეწონა ჩვენი გუნდი, მაგრამ პირადად მე, უკეთესობის იმედი ყოველთვის მაქვს, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, პესიმიზმი საშინელებაა.

**- ოპტიმიზმი კი კარგია, მაგრამ რა იმედი უნდა გქონდეს იმ გუნდის, რომელმაც შესარჩევ ჯგუფში აქამდე ერთი შეხვედრაც ვერ მოიგო?**

- ასეთი ხასიათი მაქვს, წუწუნს ვერ ვიტან, სულ უკეთესობაზე ვფიქრობ და მჯერა, რომ ადრე თუ გვიან ჩვენი ნაკრებიც ათამაშდება. საქართველოს ნაკრებს საამისო პოტენციალი ნამდვილად აქვს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ძალიან კარგი ახალი თაობა გვეზრდება და უიმედოდ როგორ ვიქნები?

უეფას თასის ისტორიიდან

# ლარსონი, მიულერი, არველაძე...

დონეცკის „შახტარმა“ ბრემენის „ვერდერს“ უეფას თასის ბოლო გათამაშებაში აჯობა და თასი უკრაინაში წაიღო. სტამბოლის „შუქრუ სარაჩოლლუზე“ ერთ დროს მეტად პრესტიჟული ევროტურნირი წარსულს ჩაჰბარდა. მასთან ერთად ისტორიას შემორჩება ქართველი ფორვარდის **შოთა არველაძის** შესაშური შედეგიანობაც.

მატჩამდე გამოქვეყნდა უეფას თასთან დაკავშირებული ათასგვარი სტატისტიკური მონაცემი და გაირკვა, რომ ამ ტურნირში ყველაზე მეტი გოლი შვედ **ჰენრიკ ლარსონს** გაუტანია. „ფეიენოორდში“, „სელტიკსა“ და „ჰელსინგბორგში“ ასპარეზობისას მან უეფას თასზე 37-ჯერ გამოიჩინა თავი. ამით ლარსონმა გერმანელი **დიტერ მიულერის** რეკორდი (29 გოლი) გააუმჯობესა.

...და რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, მესამე ადგილზე საქართველოს ნაკრების ყოფილი ფორვარდი **შოთა არველაძე** გავიდა. თბილისის „დინამოში“, „ტრაბზონსფორში“, „აიაქსში“, „რეინჯერსსა“ და „ალკმაარში“ ასპარეზობისას შოთამ 27 გოლი გაიტანა. ასე რომ, უეფას თასის ისტორიაში შოთა არველაძის სახელიც ფრიად საპატიო ადგილს იკავებს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

ბოლოს ტურის წინ

# მესხები მატჩის ბოიკოტს აპირებენ

23 მაისს ბორჯომში ახალციხის „მესხეთისა“ და ცხინვალის „სპარტაკის“ შეხვედრა გაარკვევს, რომელი მათგანი დარჩება უმაღლეს ლიგაში და რომელი გავარდება. თუმცა არ არის გამორიცხული, ახალციხელები მოედანზე არც გავიდნენ. პრობლემა ძველი და კარგად ნაცნობია - უფულობა და მორიგი ბუნტი „მესხეთში“. ფეხბურთელები რაიონის ხელმძღვანელობისგან დაპირებულ ხელფასებსა და პრემიებს ითხოვენ, თუმცა ჯერჯერობით - წარუმატებლად. სწორედ ამის გამო აპირებენ „მესხეთის“ მოთამაშეები საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩის ბოიკოტირებას. ამ გადაწყვეტილების მოტივი „მესხეთის“ ერთ-ერთმა ფეხბურთელმა გაგვიმხილა:

*„ჩემპიონატის დაწყების დღიდან გუნდში უმძიმესი ვითარებაა. პირველი წრე უხელფასოდ ვითამაშეთ. მეორე წრეში დაშლის პირას ვიყავით და ძველი დავალიანების გასტუმრებას შეგვპირდნენ. საბოლოოდ, მხოლოდ 2009 წლის 2 თვის ხელფასი დაგვირიგეს, 2008 წლის დავალიანებასა და ხელფას-პრემიებზე კი ლაპარაკიც არ ყოფილა. თუმცა ვიფიქრეთ - რადგან ახლა დაარიგეს ფული, მომავალშიც ასე გაგრძელდებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, ნორმალური სავარჯიშო და მოსამზადებელი პირობები არ გვაქვს. ასეთ სიტუაციაში კონკურენტ ცხინვალის „სპარტაკს“ როგორც დავუპირისპირდებით, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. არადა, ვიცი - თამაშის გაყიდვას დაგვაბრალებენ. თითოეულ ჩვენგანს ჰყავს ოჯახი, სამეგობრო, საახლობლო და სახელგატეხილი ცხოვრება არავის სურს. ამიტომაც, გვირჩევნია, მოედანზე საერთოდ არ გავიდეთ, ღირსება შევინარჩუნოთ და „მესხეთის“ ხელმძღვანელობაც მიხვდება, რომ მონები არ ვართ. ჩვენ ადამიანურ დამოკიდებულებას ვიმსახურებთ. ყველამ კარგად იცის, რომ ამ გაჭირვებული გუნდით, „დინამოსთან“, „ოლიმპსა“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ არაფერი დავთმეთ. მართალია, თამაშისთვის ვემზადებით, მაგრამ დიდი შანსია, 23 მაისს არ ვითამაშოთ. გადაწყვეტილება პროფლიგის ხელმძღვანელობასაც ვაცნობეთ. ერთხელ უკვე მოხდა მსგავსი პრეცედენტი - მაშინაც ლიგის თავკაცებს დავუკავშირდით და ვითარება მხოლოდ მათი ჩარევის შემდეგ გაუმჯობესდა. პროფლიგის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი ჩვენს ხელმძღვანელობას დაუკავშირდნენ და დავალიანების გასტუმრება სთხოვეს. ახლა მოედანზე არგასვლას მხოლოდ პიროვნული უფლებების დასაცავად ვაპირებთ და პროფლიგა წინასწარ გავაფრთხილეთ. როგორც შევიტყვეთ, ლიგა „მესხეთის“ დამფინანსებლებს მეორედ აღარ გააფრთხილებს, რაც იმის მომასწავებელი იქნება, რომ დაისჯება კლუბი და არა - ფეხბურთელები. 30 ათასი ლარის დავალიანებაა გასასტუმრებელი, აქ მხოლოდ ხელფასებს ვგულისხმობ. პრემიებზე არაფერს ვამბობთ. უცნაური პასუხი მივიღეთ - „სპარტაკთან“ თუ წააგებთ, იმ ხელფასსაც ვერ აიღებთო. ადამიანებთან ასე მოქცევა არ შეიძლება! ვაჩვენებთ მათ, რომ მონები არა ვართ და პიროვნული ღირსება გვაქვს. გაჭირვებას დიდხანს ვითმენდით, მაგრამ გუნდისა და ფეხბურთელების აბუჩად აგდებას საზღვარი აქვს“.*

მოკლედ, ასეთი ვითარებაა და იმედია, „მესხეთის“ მესვეურები ყველაფერს ილონებენ საიმისოდ, რათა მატჩი არ ჩაიშალოს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

## სოსო ქედია

# დარწმუნებული ვარ, ქეცბაია ოლიმპიაკოსსაც გაუმართლებს

**მომდევნო კვირაში თემურ ქეცბაია „ოლიმპიაკოსის“ მთავარი მწვრთნელი გახდება. ბერძნული წყაროების ინფორმაციით, 24 მაისს პირეოსული კლუბის პრეზიდენტი სოკრატის კოკალისი და ქეცბაია კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს და ორწლიან კონტრაქტს გააფორმებენ. ბერძნულმა ვებგვერდებმა ისიც გვამცნეს, რომ ქეცბაია „ოლიმპიაკოსში“ ორი მწვრთნელის, სოსო ქედიასა და მიხალის მიხალისის თანხლებით მიდის. ხუთი დღეა, რაც ქედია თბილისში დაბრუნდა. მას გუშინ დავუკავშირდით და ამ თემის გარშემო გავესაუბრეთ...**


სოსო ქედია

**- 15 აპრილს თემურ ქეცბაია „ანორთოსისის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა და თქვენც მალევე დატოვეთ პოსტი. იქნებ უფრო დეტალურად გაიხსენოთ, როგორ ვითარდებოდა იმ დღეებში მოვლენები?**

- სანამ თემური გადადგომის განცხადებას გააკეთებდა, გადაწყვეტილება ჯერ მე გამანდო და ისიც მითხრა - არჩევანში სრულიად თავისუფალი ხარ, თუ გინდა დარჩი და მუშაობა გააგრძელეო. იქვე ვუთხარი, რომ პოსტს მეც დავტოვებდი. ქეცბაიას გადადგომა რომ გაცხადდა, კლუბის ხელმძღვანელობამ ჩემთან შეხვედრა ითხოვა - აინტერესებდათ, ვრჩებოდი თუ არა. აღმოჩნდა, რომ ჩემთან კონტრაქტის გაგრძელება სურდათ. დაუფიქრებლად ვუთხარი - „ანორთოსისში“ ქეცბაიასთან ერთად მოვედი და მასთან ერთად მივდივარ-მეთქი. სეზონის დასრულებამდე 3 ტური იყო დარჩენილი, აღარ დაველოდე ჩემპიონატის დამთავრებას და „ანორთოსისი“ დავტოვე. ეს იყო და ეს, არაფერი განსაკუთრებული.

**- მაინც რა იყო ის მთავარი მიზეზი, რის გამოც თქვენ და ქეცბაიამ კლუბი დატოვეთ?**

- როცა კლუბში ერთსულოვნება არ არის, ძნელია სერიოზულ წარმატებებზე ფიქრი, მით უფრო ძნელია ამ წარმატებების მიღწევა. სანამ იყო ეს ერთსულოვნება, შედეგებიც გვქონდა და თან ძალიან კარგი შედეგებიც. თუმცა მერე კლუბში ვითარება აირია და ესეც მაშინვე დაეტყო საერთო სიტუაციას, ჩემპიონის ტიტულიც დავთმეთ...

**- კი, მაგრამ სეზონის დასრულებამდე ძალიან ცოტა იყო დარჩენილი. ცოტა უცნაურად ხომ არ ჩანს თქვენი გადაწყვეტილება?**

- ვფიქრობ, თემური კაცურად მოიქცა. ამ გადადგომით, მან „ანორთოსისის“ ხელმძღვანელობას მეტი დრო დაუტოვა ახალი მწვრთნელის მოსაძიებლად. ამასთან, იმ ახალ მწვრთნელსაც მისცა საშუალება, დარჩენილ მატჩებში ენახა გუნდი, დასკვნები გაეკეთებინა და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიეღო. ამას კლუბის თავკაცებიც მიხვდნენ და ერთობ მადლიერნიც დარჩნენ. თემურის კიდევ ერთი კარგი ჟესტი ის იყო, რომ მთელი გუნდი წვეულებაზე მიიპატიჟა და მადლობა გადაუხადა...

**- ...„ანორთოსისის“ ხელმძღვანელობამ კი მას „ვერცხლის ნავი“ აჩუქა სამახსოვროდ...**

- დიახ, ეს სიმბოლური საჩუქარია. კვიპროსზე ნავი ერთიდან მეორე ადგილამდე მშვიდობიან გადასვლასთან ასოცირდება. ეს საჩუქარი მას ნიკოლაუმ გადასცა, რომელიც ადრე „ანორთოსისის“ კაპიტანი იყო, ახლა კი გუნდში მეორე მწვრთნელის ფუნქციას ასრულებს.

**- ქეცბაია წავიდა და მალე მას არაერთი მსურველი გამოუჩნდა - „პანიონიოსი“, „ატრომიტოსი“, რუმინული „კლუჟი“, დონეცკის „მეტალურგი“, აეკ-ზეც იყო ლაპარაკი...**

- ...მოსკოვის „ლოკომოტივი“ გამოგრჩათ, იქიდანაც დაუკავშირდნენ. სხვა უკრაინულ კლუბებსაც სურდათ მისი მიწვევა...

**- გასაგებია, მაგრამ შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ქეცბაია კონკრეტული კლუბისგან ელოდა ოფიციალურ შეთავაზებას. აღმოჩნდა, ეს კლუბი „ოლიმპიაკოსი“ იყო. რამდენადაც ცნობილია, თემურს პირეოსიდან ჯერ კიდევ ჩემპიონთა ლიგის მსვლელობისას დაუკავშირდნენ. ასეა?**

- ამას ნამდვილად ვერ დაგიდასტურებთ... შეიძლება, ასეც იყო. სხვათა შორის, ქეცბაიას მიმართ „ოლიმპიაკოსის“ ხელმძღვანელობის სიმპათია გაზეთებიდანაც აშკარად იგრძნობოდა. ერთ-ერთმა გამოცემამ... სახელწოდება აღარ მახსოვს, პირდაპირ დაწერა კიდეც - მაისში „ოლიმპიაკოსს“ ქეცბაია ჩაიბარებსო...

**- მოკრძალებული ფინანსებით ქეცბაიამ „ანორთოსისში“ იმდენს მიაღწია, კლუბსა და მთლიანად კვიპროსულ ფეხბურთს ფაქტობრივად ახალი ისტორია შეუქმნა. ევროპას გააცნო ფამაგუსტელთა გუნდი და წარმომიდგენია, რა წარმატებებს მიაღწევს უფრო მეტი ფინანსებითო, - ეს არის „ოლიმპიაკოსის“ პრეზიდენტ სოკრატის კოკალისის სიტყვები. არადა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდამდე „ანორთოსისის“ ბოლო ბარიერი სწორედ „ოლიმპიაკოსი“ იყო...**

- დიახ, შინ 3:0 მოვუგეთ, სტუმრად კი 1:0 წავაგეთ. „ანორთოსისის“ ბიუჯეტი 5 მილიონი ევროა, „ოლიმპიაკოსისა“ კი... ვინ იცის, რამდენჯერ მეტი. როცა კლუბი ფინანსურად ძლიერია, მწვრთნელსაც მეტი გასაქანი აქვს საჭირო ფეხბურთელების გადასაბირებლად, მეტი საშუალება აქვს თავის წარმოსაჩენად... დარწმუნებული ვარ, თემური „ოლიმპიაკოსშიც“ გამოიჩენს თავს და ამ გუნდს დიდ წარმატებებს მოუტანს.

**- როგორც გავიგეთ, 24 მაისს ქეცბაია „ოლიმპიაკოსის“ პრეზიდენტ კოკალისს შეხვდება და ყველაფერს წერტილი დაესმება.**

- მეც ასე ვიცი. რაღა დარჩა, სამიოთხი დღეც და... ორშაბათიც მოვა.

**- სად არის ახლა თემური?**

- საბერძნეთში. ხშირად ვსაუბრობთ ტელეფონით... აგერ, ახლახან კიდევ დამირეკა.

**- ვიცით ისიც, რომ ქეცბაიას თქვენ და მიხალის მიხალისი დაეხმარებით. ბერძნული ვებგვერდებიც ასე წერენ და კოკალისსაც უთქვამს უკვე თემურისთვის...**

- კვიპროსში ერთად ვმუშაობდით და მისი სურვილია, „ოლიმპიაკოსშიც“ დავეხმარო. რა თქმა უნდა, მისი მადლიერი ვარ, თემურის გვერდით ბევრი რამ ვისწავლე და მინდა, უფრო მეტი ვისწავლო.

**- მიხალის მიხალისი ვინ არის?**

- ფიზმომზადების მწვრთნელია. ჩვენთან ერთად იყო „ანორთოსისში“. ეს გუნდი მანაც დატოვა...

**- „ანორთოსისში“, თქვენ გარდა, კიდევ ერთი ქართველი იყო - კობა წიტაიშვილი. დარჩა თუ ისიც წავიდა?**

- კობას კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი აქვს და როგორც ვიცი, ჯერჯერობი იქ რჩება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი



დავით დევდარიანი

# კუპერი დევდარიანს ნახავს

ბოლო დროს დანიურ სასლიგაში (რანგით უმაღლესი ლიგა) წარმატებით თამაშობს „ორჰუსის“ გამთამაშებელი **დავით დევდარიანი**. ეტყობა, ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. როგორც შევიტყვეთ, **ექტორ კუპერი** დანიაში ჩასვლასა და დევდარიანის საქმეში ნახვას აპირებს.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უახლოესი მატჩები 6 და 10 ივნისს ელის. კუპერის გაწვრთნილი გუნდი მოლდოვასა და ალბანეთს ამხანაგურად გაეჯიბრება. რადგან არგენტინელი დევდარიანით ასე დაინტერესდა, უნდა ვივარაუდოდ, რომ ამ ამხანაგური შეხვედრებისთვისაც გამოიძახებს.

დევდარიანი 21 წლის გახლავთ და ეროვნულ ნაკრებში ერთი მატჩი აქვს ჩატარებული, როცა ჩვენს ნაკრებს დროებით **პეტარ შეგრტი** წვრთნიდა. დავითმა შარშან, პორტუგალიასთან ტესტმატჩში შეცვლაზე ითამაშა.

**დავით თაპართქილაძე**



გიორგი შაშიაშვილი

# შტურმმა ევროპა გაინაღდა

ავსტრიულ ბუნდესლიგაში ბოლოსწინა ტური გაიმართა. ქართველთა „შტურმმა“ ჩემპიონ „ზალცბურგს“ უმასპინძლა და 2:0 მოუგო. „შტურმი“ 60 ქულით მესამე ადგილზეა და ბოლო ტურში მოგების შემთხვევაში საპრიზო ადგილს შეინარჩუნებს. უეფას თასის მემკვიდრის, ევროპის ლიგის საგზური კი ქართველთა გუნდმა წუხელ გაინაღდა. ბოლო ტურში „შტურმი“ „რიდს“ ესტუმრება.

**ილია კანდელაკმა** „ზალცბურგთან“ შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **გიორგი შაშიაშვილი** მოედანზე 69-ე წუთზე გამოჩნდა. კანდელაკი საკმაოდ აქტიური იყო, ერთხელ იგი 20 მეტრიდან მწვავედაც დაემუქრა სტუმართა კარს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა






# ფლორენტინო ზოზოქრობს

## ზიდანი რიბერის დასათანხმებლად მიუნხენში ჩავიდა

მადრიდის „რეალთან" დაკავშირებული აჟიოტაჟი დღითი დღე იმატებს და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რა თქმა უნდა, პიკს მიაღწევს. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღეში „ბარსელონა" რომში „მანჩესტერის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის ფინალს გამართავს. ახლა ყველა წესისა და კანონის მიხედვით, ყველაზე მეტი სწორედ ამ მოვლენაზე უნდა იწერებოდეს, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ **ფლორენტინო პერესის** პერსონამ ესპანურ პრესაში „ბარსელონა" და ჩემპიონთა ლიგის ფინალი მთლიანად დაჩრდილა. ბოლო ორი დღეა, პრაქტიკულად, ყველა გაზეთის პირველი გვერდი სამეფო კლუბს აქვს დაპყრობილი. სიმართლე ითქვას, ეს სულაც არ არის გასაკვირი. ვისაც ესპანეთთან რაიმე შეხება ჰქონია და იქაური ფეხბურთიც უყვარს, ყველამ კარგად იცის, რომ მადრიდელი ჟურნალისტები ხშირად ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის წმინდათაწმინდა ჟურნალისტურ პრინციპს ივიწყებენ და სამეფო კლუბს ლიად უჭერენ მხარს. ჩემპიონთა ლიგის ფინალის დაჩრდილვა, შესაძლოა, სწორედ ამ სიყვარულით იყოს გამოწვეული...

თუმცა ასეა თუ ისე, ფაქტია, მადრიდის „რეალის" ირგვლივ მოვლენები ძალიან საინტერესო სცენარით ვითარდება და ყველაფერი იმას მიანიშნებს, რომ წინ ძალიან ცხელი ზაფხული გველის. ფლორენტინო პერესი რიგგარეშე არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ესპანური გრანდის ხელახლად აშენებას დაიწყებს. უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი პრეზიდენტი არჩევნებს არ ელოდება და დროის მოგების მიზნით სასურველ ფეხბურთელებთან მოლაპარაკებებს ამთავითვე აწარმოებს. როგორც იცით, ფლორენტინოს ერთ-ერთი ფავორიტი **ფრანკ რიბერია**. ამ კაცთან დაახლოებულმა პირებმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ განაცხადეს, რომ ხელისუფლებაში მისვლის შემთხვევაში, ფრანგი გარემარბი ერთ-ერთი უპირველესი სამიზნე გახდებოდა. მოკლედ, სენიორ პერესი საქმეს შეუდგა და რიბერის ხელში ჩაგდების მიზნით **ზინედინ ზიდანი** მიუნხენს მიავლინა.

„რეალის" ლეგენდარულმა ნახევარმცველმა ფლორენტინოს თხოვნა უყოყმანოდ შეასრულა და პირველივე რეისით გერმანიაში გაფრინდა. ესპანური გაზეთების მტკიცებით, ზიზუ თანამემამულეს დაახლოებით ორი საათის განმავლობაში ესაუბრა. ბუნებრივია, მათი შეხვედრის დეტალები ფართო საზოგადოებისთვის სრულიად უცნობია, მაგრამ ზინედინმა „დიარიო ასის" კორესპონდენტს გაუმხილა რომ ფრანკთან ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი საუბარი ჰქონდა. სხვათა შორის, ზიდანის მიუნხენურ ვოიაჟზე ფრანგულმა „ლე პარიზიენმაც" დაწერა. პარიზული გამოცემა სრული სერიოზულობით აცხადებს, რომ ზიზუმ რიბერი „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშზე დაითანხმა. ფრანკი გუნდის გამოცვლის წინააღმდეგი სულაც არ იყო, მაგრამ ამავდროულად მას უკლებლივ ყველა დეტალი აინტერესებდა. როგორც ჩანს, ზიდანმა მეგობარს სწორედ მოსალოდნელი ტრანსფერის საინტერესო დეტალები გაუმხილა და დაარწმუნა, რომ სამეფო კლუბზე უკეთეს პირობებს მას ვერავინ შესთავაზებს. ასეა თუ ისე, „ლე პარიზიენი" და „დიარიო ასი" ამტკიცებენ, რომ რიბერი „ბაიერნიდან" „რეალში" გადაბარგებას დათანხმდა და ახლა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ელოდება.

გუშინ ბრიტანულ „დეილი მეილში" ზიზუს მოგზაურობასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო სტატია გამოქვეყნდა. კორესპონდენტი აცხადებს, ზინედინი მიუნხენში ნანახითა და გაგონილით გაოგნებული დარჩა. „დეილი მეილს" თუ დავუჯერებთ, გერმანული გრანდის მესვეურები ფრანგი ვარსკვლავის ახირებით დაიღალნენ და მის გასხვისებას უკვე დათანხმდნენ. თურმე, მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელებს რიბერის საქციელი საშინლად მობეზრდათ. აი, რას ვკითხულობთ „დეილი მეილის" სტატიაში:

*„ბაიერნის" მმართველებისგან გავიგეთ, რომ მათ ფრანგთან თანამშრომლობის ყოველგვარი სურვილი დაკარგეს. რიბერი ვარჯიშებზე მეტს სამეფო კლუბში გადასვლაზე ფიქრობს და გუნდში რომელიმე ფეხბურთელის ძალით დატოვებას არანაირი აზრი არ აქვსო. ზიდანის ბავარიაში ჩასვლა ის ბოლო წვეთი აღმოჩნდა, რომელმაც გერმანელებს მოთმინების ფიალა აუვსო. ამ ყველაფრის გამო ფრანკ რიბერის შეფებმა წასვლის უფლება მისცეს. ისინი მიხვდნენ, რომ ფეხბურთელის ძალით დატოვება მართლა არანაირ სიკეთეს არ მოიტანს და მისი გაყიდვით სოლიდური ფულის შოვნა გადაწყვიტეს".*

ბავარიელებმა ფრანგი ვარსკვლავი 2007 წელს ოთხი წლის ვადით გადაიბირეს. ამ ტრანსფერის სანაცვლოდ მათ 25 მილიონი ევრო გადაიხადეს. მოსალოდნელია, რომ გერმანელები ამ თანხას კიდევ რამდენიმე მილიონს წაუმატებენ და ესპანელებთან მოსალაპარაკებლად მაგიდას მიუსხდებიან. ზინედინ ზიდანი მზადაა, ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიიღოს და ამით სამეფო კლუბს დახმარების ხელი გაუწოდოს. ზიზუმ „დიარიო ასის" კორესპონდენტთან საუბარში რიბერიზე აღფრთოვანებით ისაუბრა და მისი მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა:

*„ჩემი აზრით, რიბერი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გარემარბია. ფრანკი სრულყოფილი, ყოველმხრივ დახვეწილი და უდიდესი პროფესიონალია. ის დღესაც მსოფლიო დონის ვარსკვლავია, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ადეკვატური დაფასება ჯერ არ აქვს. არა უშავს, 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ძალიან მალე მასზე მთელი საფეხბურთო სამყარო ალაპარაკდება და ხალხი იტყვის, ამ ბიჭს აქამდე რატომ არ ვაფასებდითო. ჩემი თანამემამულე „სანტიაგო ბერნაბეუზე" ყველას დაუმტკიცებს, რომ ბადალი არ ჰყავს. მთავარია, ფლორენტინო პერესმა არჩევნებში გაიმარჯვოს. მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარების შემთხვევაში, სამეფო კლუბი უმოკლეს დროში აღორძინდება".*

### კრისტიანო რონალდომ სპეკულაციების მოყვარულებს სალაპარაკო მისცა

ამასობაში, **კრისტიანო რონალდომ** სრულიად მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა და კატალონიურ ტელევიზიას, „ანტენა ტრესს" ვრცელი ინტერვიუ მისცა. პორტუგალიელ ვარსკვლავთან შეხვედრის ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, „ბარსელონასა" და „მანჩესტერის" ფინალი იყო, მაგრამ კრისტიანომ სამეფო კლუბს გვერდი ვერ აუარა და ფლორენტინო პერესზე აღფრთოვანებით ისაუბრა:

*„ფლორენტინომ წლების წინ მადრიდის „რეალს" უდიდესი წარმატებები მოუტანა. ღრმად მწამს, რომ მისი დაბრუნების შემთხვევაში, გუნდი მალე აღორძინდება და ძველ დიდებას დაიბრუნებს. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მომავალი სეზონიდან მადრიდელებს სუპერკლუბი ეყოლებათ. ჩემი ინფორმაციით, პერესი ყველა ხელმისაწვდომი ვარსკვლავის გადაბირებას აპირებს. ეს ყველაფერი აშკარად იმაზე მეტყველებს, რომ მადრიდელებს გაისად გენიალური გუნდი ეყოლებათ."*

ტელევიზიის ჟურნალისტმა რესპონდენტს პირდაპირი და შეიძლება ითქვას, პროვოკაციული კითხვა დაუსვა. რამდენად დიდია იმის შანსი, რომ ბოლოს და ბოლოს, „ბერნაბეუზე" გადაბარგდეთო. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა მას ასე უპასუხა:

*„მადრიდის „რეალი"? გამორიცხული არაფერია. ძალიან მსიამოვნებს, რომ ფლორენტინო პერესს მოვწონვარ და ჩემთან თანამშრომლობის შესაძლებლობას სერიოზულად განიხილავს, მაგრამ ამ ეტაპზე კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ „მანჩესტერის" ფეხბურთელი მქვია და ჩემს გუნდთან კიდევ რამდენიმე წლით ვარ დაკავშირებული. თუმცა გულწრფელად რომ გითხრათ, გამორიცხვითაც ვერაფერს გამოვრიცხავ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ახლა ჩემი მთავარი საზრუნავი ჩემპიონთა ლიგის ფინალია. „ბარსელონა" ნებისმიერ ფასად უნდა დავამარცხოთ. სეზონის დასრულების შემდეგ კი ყველა საკითხზე მშვიდად ფიქრისა და აუღელვებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა გვექნება".*

კრისტიანო რონალდოს ეს სიტყვები, მასმედიამ გამოწვევად აღიქვა. ჟურნალისტები სრული სერიოზულობით საუბრობენ, რონალდომ ფლორენტინოს ლიად მიანიშნა, მზად ვარ თქვენთან წამოვიდე, მაგრამ ამისთვის არჩევნები უნდა მოიგოთო.

### მოურინიო: 99.9 პროცენტით ინტერში ვრჩები

სამეფო კლუბზე საუბარს **ჟოზე მოურინიოს** გუშინდელი განცხადებით დავასრულებთ. როგორც მოგეხსენებათ, მოუ ფლორენტინოს კიდევ ერთი ფავორიტია. რამდენიმე დღის წინ მთელი საფეხბურთო სამყაროს გასაგონად ითქვა, რომ სენიორ პერესი არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პორტუგალიელ სპეციალისტს მუშაობას შესთავაზებდა. გუშინ „დიარიო ასში" მოურინიოს პასუხიც გამოქვეყნდა. სეუ ჟოზემ ამჯერადაც ჩვეული კატეგორიულობითა და სერიოზულობით ისაუბრა:

*„99.9 პროცენტით „ინტერში" ვრჩები. ამით იმის თქმა მინდა, რომ იტალიურ კლუბში ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. ის ვინც სამეფო კლუბის მწვრთნელი გახდება, უნდა თქვას, რომ ძალიან იღბლიანი ადამიანია. როგორც ვხედავ, ესპანეთში ჩემზეც ფიქრობენ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ წასვლას მართლა არ ვაპირებ. მე ის კაცი არ ვარ, დაწყებული საქმე შუა გზაზე მივატოვო. მინდა, „ინტერთან" ერთად ციკლი დავასრულო და „სან სიროზე" ყველაზე პრესტიჟული ჯილდოები ჩამოვიტანო. არ მინდა, ჩემთან დაკავშირებით სპეკულაციების ტალღა აგორდეს. ეს სიკეთეს არავის მოგვიტანს. ცრუ აჟიოტაჟი და სპეკულაციების კასკადი სიმშვიდეს დამაკარგვინებს. ამიტომ, ამთავითვე ვაცხადებ, რომ „ინტერიდან" წასვლაზე არ ვფიქრობ".*

განცხადება „ნერაძურის" მფლობელმა **მასიმო მორატიმაც** გააკეთა. იტალიელი მულტიმილიარდერი მწვრთნელს პირადად ესაუბრა და დარწმუნდა, რომ მოურინიოს „სან სიროდან" აბარგება მართლა არ უნდა. მორატი ამით კმაყოფილია და ამტკიცებს, რომ გუნდის დამრიგებელს სამეფო კლუბში წასვლაზე არ დაელაპარაკება. თუ მას დარჩენა უნდა, ჩვენ მხარში ამოვუდგებით და ყველანაირად დავეხმარებითო, - დასძინა მასიმო მორატიმ.



**ილია ნიკოლაიშვილი**

ინტერვიუ

ფაბიო კანავარო

# ჩემს გუნდში დავბრუნდი




„რეალიდან“ „იუვენტუსში“ გადაბარგებული კანავარო შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ ტურინულ გრანდს სიყვარულში გამოუტყდეს. გუშინ იტალიის ნაკრების კაპიტანი იტალიელ ჟურნალისტებს გაესაუბრა და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ სამშობლოში დაბრუნებით უზომოდ კმაყოფილია. კმაყოფილები არიან „იუვენტუსის“ მესვეურებიც, რაც სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება. საგულისხმოა, რომ ტურინელებს ამ მართლაც უმაღლესი კლასის მცველში ცენტი არ გადაუხდიათ. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება ჟურნალისტებთან საუბარში იტალიის ნაკრების კაპიტანმა. კანავაროს ბრიფინგს კითხვა-პასუხის ფორმატში წარმოგიდგენთ.

- კმაყოფილი ხართ ტრანსფერით?

- იტალიაში დაბრუნებას კარგა ხანია ვგეგმავდი და ძალიან მიხარია, რომ როგორც იქნა, სანადელს მივაღწიე. თანაც, დავბრუნდი გუნდში, რომელიც ჩემთვის განსაკუთრებულია. „იუვენტუსში“ თავს ბედნიერად ვგრძნობდი და დარწმუნებული ვარ, ასე იქნება მომავალშიც. „რეალში“ გადასვლას ნამდვილად არ ვნანობ. ჩემი ტრანსფერით „იუვემ“ მხოლოდ იხეირა. მაშინ „ვეკია სენიორას“ ფინანსურად ძალიან უჭირდა და ჩემ სანაცვლოდ აღებული თანხით კლუბმა სული მოითქვა. დღეს კი ტურინში ყველანაირი საფასურის გარეშე დავბრუნდი. ვფიქრობ, ამ სამი წლის განმავლობაში „იუვეს“ ბევრი ვერაფრით დავეხმარებოდი. გუნდმა ისედაც შეძლო აღზევება და სერია A-ში დაბრუნება.

- **„იუვენტუსის“ გულშემატკივართა ნაწილს მაინც მიაჩნია, რომ თქვენ თავის დროზე გუნდს უღალატეთ, როდესაც რთულ მდგომარეობაში მიატოვეთ.**

- ამ საკითხზე არაერთხელ მომიწია საუბარმა და აღარ გავიმეორებ. „იუვენტუსის“ მიმართ განსაკუთრებული სიყვარული მაქვს, რასაც ყოველთვის გამოვხატავდი. მინდა დავანახო ქომაგს, რომ ჩემში გუნდის მიმართ უსაზღვრო პატივისცემაა. რაც მთავარია, ენთუზიაზმით ვარ აღსავსე და მოუთმენლად ველი ახალი სეზონის დაწყებას. ტურინული გრანდის მაისურის ჩაცმა ჩემთვის განსაკუთრებული მოტივაციაა. დარწმუნებული ვარ, ვარჯიშებზე ისე დავიხარჯები, როგორც დამწყები ფეხბურთელი. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩემს გუნდში დავბრუნდი.

- **არადა, იყო ვარაუდი, რომ კარიერას „ნაპოლიში“ გააგრძელებდით. რატომ არ გადაბარგდით მშობლიურ ქალაქში?**

- „ნაპოლიში“ გადასვლის შესაძლებლობა ნამდვილად მქონდა, თუმცა ამ ეტაპზე უპირატესობა მაინც „იუვენტუსს“ მივანიჭე. ნეაპოლელებს ძალიან კარგი, პერსპექტიული გუნდი ჰყავთ, მაგრამ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა ჯერჯერობით მათ ძალებს აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ ასაკში ვარ, ჯერ კიდევ ტიტულების მოგება მწყურია. მსურს ჩემპიონთა ლიგაში ვიასპარეზო და კიდევ ერთხელ გამოვცადო თავი ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში. თანაც, მე ჯერ კიდევ ეროვნული ნაკრების წევრი ვარ და დიდი თამაშების პრაქტიკა ჰაერივით მჭირდება. აქვე, კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ კარიერის დასრულება მაინც „ნაპოლიში“ მსურს. ალბათ, ბოლო სეზონს მშობლიური ქალაქის გუნდში გავატარებ.

- **როგორ შეაფასებდით „რეალში“ გატარებულ წლებს?**

- სიმართლე გითხრათ, „რეალში“ საკუთარი თამაშით უკმაყოფილო ვარ. ფაქტია, რომ ისე ვერ ვიასპარეზე, როგორც შემეძლო. ჩემი პასუხისმგებლობის თავიდან აცილება არ მსურს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მთელი ამ ორი წლის განმავლობაში, მთლიანად გუნდი იყო არეულ-დარეული. თანაგუნდელებთან კოორდინაცია და ურთიერთგაგება დაბალ დონეზე გახლდათ, რაც ხელს მიშლიდა საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე წარმოჩენაში. მიუხედავად ამისა, მადრიდეულ წლებს ყოველთვის სიყვარულით გავიხსენებ. ესპანელები დიდ პატივს მცემდნენ და ანალოგიურად ვპასუხობდი მეც. ყოველთვის ვიამაყებ იმით, რომ „რეალის“ ფეხბურთელი ვიყავი.

- **„იუვენტუსის“ დაცვის ცენტრში დიდი კონკურენციაა, თუმცა თქვენ ალბათ სასტარტოში გარანტირებული გექნებათ ადგილი...**

- „იუვეს“ დარ გუნდში, გარანტირებული ადგილი სასტარტო შემადგენლობაში არავის აქვს. ალბათ მხოლოდ ჯიჯი ბუფონს შეუძლია თქვას, რომ ის ძირითადის უცვლელი მოთამაშეა. ბევრი საუბობს იმაზე, რომ დაცვის ცენტრში ორი აძურელი, მე და კიელინი დავდგებით, ამის საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, მაგრამ შორს ვარ იმ აზრისგან, რომ უკონკურენციოდ ვართ. თანაც, ჯერ კიდევ უცნობია ვინ გაწვრთნის მომავალ სეზონში „იუვენტუსს“. შესაბამისად, ძნელია იმაზე საუბარი, ვინ მოხვდება ძირითადში და ვინ - ვერა.

- **სიტყამ მოიტანა და რომელ მწვრთნელს გაუწევდით რეკომენდაციას კლუბის მესვეურებთან?**

- რამდენიმე სპეციალისტის გამოყოფა შემიძლია, მაგრამ თქვენი ნებართვით, ამას არ გავაკეთებ. თუ ვინ გახდება „იუვენტუსის“ მწვრთნელი, ეს კლუბის მესვეურთა გადასაწყვეტია. პირადად მე, იტალიელ კანდიდატს მივანიჭებდი უპირატესობას. ვფიქრობ, რომ „იუვენტუსის“ სპეციფიკას მხოლოდ ჩვენებური სპეციალისტი შეიძლება მოერგოს. ტრაპატონის „იუვენტუსი“ ჩემთვის დღემდე მისაბაძია. ვისურვებდი, რომ ახალმა მწვრთნელმა სწორედ იმ დროინდელ სიმაღლეზე დააბრუნოს ეს მართლაც დიდებული გუნდი.

- **ზაფხულში იტალიის ეროვნულ ნაკრებს კონფედერაციათა თასზე უწევს ასპარეზობა. რას ელით ამ ტურნირისგან?**

- მორიგ ტიტულს. დიახ, იტალიის ნაკრები ამ ტურნირში გამარჯვებისთვის ითამაშებს. ამასთან, ეს იქნება მოსამზადებელი ეტაპი მუნდიალისთვის. ბევრისთვის ალბათ გაუგებარია, როგორ შეიძლება ექსპერიმენტების ფონზე შედეგის მიღწევა, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს შესაძლებელია. იტალიის ნაკრებს შესწევს იმის ძალა, რომ ექსპერიმენტების ფონზე მოიგოს ეს მართლაც პრესტიჟული ტიტული. ძალიან პრინციპული იქნება ბრაზილიელებთან პაექრობა და იმედი მაქვს, ეს მატჩი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება.

- **გულშემატკივრები ეროვნულ ნაკრებში ახალ სახეებს ითხოვენ, ლიპიც არ ერიდება დებიუტანტებს. თქვენ თუ ეთანხმებით გადახალისების პოლიტიკას?**

- რა თქმა უნდა, ვეთანხმები. 2006 წელს მართლაც ბრწყინვალე გუნდი გვყავდა, მაგრამ ცვლილებებს ვერ გავექცევით. ძალიან ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელიც ეროვნულ გუნდში ასპარეზობას იმსახურებს. იგივე ჯუზეპე როსი, რომელიც ბოლო ხანს გამოჩნდა აძურაში და თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. სხვათა შორის, „იუვენტუსშიც ბევრია ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებსაც ეროვნულ გუნდში შეუძლიათ დამკვიდრება. უპირველესად, ეს სებასტიან ჯოვინკოზე ითქმის, ვინაც მომავალში „იუვეს“ მთავარი დამრტყმელი ძალა იქნება.

ლაშა ნიკლაური

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კვალიარელას არჩევანი

**ფაბიო კვალიარელა** მომავალ სეზონში იტალიური ფეხბურთის რომელიმე გრანდში ითამაშებს. ნიჭიერი თავდამსხმელი ღიად აცხადებს, რომ „ფრიულიზე“ დარჩენას არ აპირებს და კარიერის ბობოლა გუნდში გაგრძელება სურს. საკითხავი ის არის, თუ რომელ კლუბს მიაშურებს კვალიარელა. „გაძეტა დელო სპორტში“ გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, ეს ან „ინტერი“ იქნება, ანაც „იუვენტუსი“. ავტორიტეტული გამოცემის ჟურნალისტი თავად ფეხბურთელს ესაუბრა და მისგან შემდეგი მოისმინა:




*„უდინეში თავს კარგად ვგრძნობ და აქაურობის დატოვება ძალიან გამიჭირდება, მაგრამ სხვა გზა უბრალოდ არ მაქვს. უკვე 26 წლის ვარ და მსურს, უფრო ამბიციურ გუნდში ვიასპარეზო. „ინტერი“ იტალიური ფეხბურთის ლიდერია და იქ თამაში ჩემთვის უდიდესი პატივი იქნებოდა, ძალიან მომწონს ჟოზე მოურინიოს ტაქტიკური ხედვა. ვფიქრობ, პორტუგალიელი დღეს ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია მთელ მსოფლიოში. „ნერაძურიში“ ზლატან იბრაჰიმოვიჩი ირჯება, ვის მხარდამხარ თამაშიც უდიდესი სტიმული იქნებოდა. ცალკე სალაპარაკო თემაა ჩემი „იუვენტუსისადმი“ დამოკიდებულება. ცამეტი წლის ვიყავი, როდესაც „ვეკია სენიორას“ ბავშვთა გუნდში მოვხვდი. მაშინ ყველანი „იუვეს“ ძირითადში მოხვედრაზე ვოცნებობდით. პიემონტელებს მართლაც აქვთ ჩემდამი ინტერესი და ვნახოთ, შეიძლება უახლოეს დღეებში მოლაპარაკების პროცესიც დაიწყოს“.*

ლაშა ნიკლაური



„მილანის“ გარშემო ყოველდღიურად უამრავი ინფორმაცია ვრცელდება. მეტწილად იმაზე მსჯელობენ, ვინ დატოვებს „როსონერის“ მოახლოებული სატრანსფერო ფანჯრისას. ყველაზე ხშირად **კარლო ანჩელოტისა** და **კაკაზე** საუბრობენ, საგულისხმოა, რომ მწვრთნელსაც და ფეხბურთელსაც ან „რეალში“ უშვებენ, ან „ჩელსიში“. გუშინ, **ადრიანო გალიანიმ** კიდევ ერთხელ აღიმაღლა ხმა და განაცხადა, რომ ზაფხულში მხოლოდ გუნდის გაძლიერებაზე იფიქრებენ:

მილანი

# ანჩელოტი და კაკა რჩებიან?

*„უკვე ერთი წელია მესმის, რომ „მილანს“ კრიზისი აქვს. არადა, მსგავსი არაფერი ხდება და მიკვირს, რატომ წერენ ჟურნალისტები ამდენ სისულელეს. განვლილი სეზონით კმაყოფილი ვერ ვიქნები, რადგან უტიტულოდ დავრჩით, მაგრამ ვერც საგანგაშოს ვხედავ ვერაფერს. თამაშის ხარისხი პირადად მე მაკმაყოფილებს და დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში წარმატებებს მივაღწევთ. აქვე, უნდა აღვნიშნო, რომ „როსონერი“ წამყვან ფეხბურთელებთან გამოთხოვებას არ აპირებს. კვლავ ბევრს საუბრობენ კაკაზე, რაც ჩემში გაკვირვებას იწვევს. ნუთუ ვინმეს სჯერა, რომ რიკის სადმე გავუშვებთ. ფლორენტინო პერესმა კარგად იცის, რომ კაკა ხელშეუხებელია. ამიტომაც არის, რომ პირად საუბრებში ბრაზილიელის სახელს აღარც კი ახსენებს. სხვათა შორის, არც ანჩელოტი აპირებს სადმე წასვლას. კარლოს ბოლომდე ვენდობით და გვჯერა, რომ სწორედ მას ძალუძს მომავალი სეზონისთვის გუნდის ყველაზე უკეთ მომზადება“.*

ლაშა ნიკლაური

ბომონდი

# ნევილლენდი იაფად გაიყიდა

„ევერტონის“ კაპიტანმა **ფილ ნევილმა** რამდენიმე თვის წინ ლანკაშირის საგრაფოში, ქალაქ ბარნლიში მისთვის კუთვნილი მდიდრული ვილის გაყიდვა გადაწყვიტა. პრინციპში, სახლი, რომელზეც ლაპარაკი გვაქვს, უფრო სასახლეების კატეგორიაში გადის. „სანსაიდ ჰაუსი“ (მეორენაირად ნევილლენდი) მთლიანად მწვანეშია ჩაფლული, მას გარს აკვრია 3,6 ჰექტარი მიწის ფართობი. შენობა XVIII საუკუნეშია აშენებული და 27 ოთახს მოიცავს. საცხოვრებელი ფართის მთლიანი ფართობი 1765 კვადრატული მეტრია.

გარდა ძირითადი შენობისა, აგებულია სასახლის მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი ოთხოთახიანი სახლი, ჩოგბურთის კორტი, საკმაოდ ტევადი ავტოფარეხი და საშუალოზე დიდი ღია ბასეინი. ფინანსური კრიზისის პირობებში ფილმა მისი ქონების 4 მილიონად გასხვისება მოისურვა. ამ მიზნით მან ფოტოხელოვანი მოიწვია და სახლი მთლიანად გადაალებინა. მას და მის მეუღლეს იმედი ჰქონდათ, რომ ამით მყიდველებს მოიზიდავდნენ. ნევილის ჩანაფიქრმა არ გაამართლა. მყიდველი სასახლეს არათუ ბუზივით დაეხვია, არამედ საერთოდ არ გაეკარა. შედეგად, ფეხბურთელი მიხვდა, რომ ერთადერთი გამოსავალი ფასის დაგდება იყო. 4 მილიონიდან ის 2,6 მილიონზე ჩამოვიდა.

ფილი შემოსული თანხით ბოლტონში 6-ოთახიანი სახლის მშენებლობას გეგმავს.

შალვა ბიბილაშვილი



უეფას თასის ისტორია

# საუკეთესო ფინალები

მაშ ასე, ბაზრობათა თასისა და თასების თასის გათამაშებისა არ იყოს, გუშინწინ ისტორიას ჩაჰბარდა კიდევ ერთი ევროთასიც. უეფას თასის უკანასკნელი გათამაშება დონეცკის „შახტარმა" მოიგო. აღნიშნული ტურნირი ყველაზე მეტჯერ „იუვენტუსმა" (1976/77; 1989/90; 1992/93), „ინტერმა" (1990/91; 1993/94; 1997/98) და „ლივერპულმა" (1972/73, 1975/76, 2001/02) მოიგეს. გთავაზობთ, გავიხსენოთ ტურნირის 37-წლოვანი ისტორიის ყველაზე დრამატული ფინალები.

**2003. სელტიკი-პორტუ 2:3**

აღნიშნული შეხვედრა **ჟოზე მოურინიოს** ბრწყინვალე კარიერის დასაწყისი აღმოჩნდა. მისი „პორტუ" შეხვედრას ორჯერ იგებდა და მხოლოდ **დერლეის** მიერ 115-ე წუთზე გატანილი გოლით გაირკვა გამარჯვებულის ვინაობა. ბრაზილიელმა „დრაკონები" პირველი ტაიმის მიწურულს წინ გაიყვანა. მეორე ტაიმის დაწყებიდან ორი წუთიც არ იყო გასული, რომ სკოტების ლიდერმა **ჰენრიკ ლარსონმა** წონასწორობა აღადგინა. რუსმა **დმიტრი ალენიჩევმა** პორტუგალიელები ისევ წინ გაიყვანა. თავი ისევ შვედმა გოლეადორმა გამოიჩინა და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა. რაც შემდეგ მოხდა, ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ. აღსანიშნავია, რომ დერლეი უეფას თასის გათამაშების გამარჯვებული გახდა. სამხრეთამერიკელმა სულ 12 გოლის გატანა მოახერხა.

**2001. ლივერპული-ალავესი 5:4**

ეჭვს გარეშეა, რომ აღნიშნული შეხვედრა ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და სანახაობრივი აღმოჩნდა ტურნირის ისტორიაში. „ლივერპულმა" პირველ ტაიმში თითქოს გააკეთა თავისი საქმე და ანგარიში წაიყვანა - 3:1. მეორე ტაიმში **ხავი მორენოს** მიერ 6 წუთში შესრულებული დუბლის წყალობით ესპანელებმა გაათანაბრეს. თამაშში მერსისაიდელთა ლეგენდა **რობი ფაულერი** ჩაერთო. მან სასწორის პინა ისევ ინგლისელთა მხარეს გადახარა - 4:3. 89-ე წუთზე **ხორდი კრუიფმა** მატჩში მე-8 გოლი გაიტანა - მისმა თავურმა 4:4 დააფიქსირა. იმ საღამოს მინდორზე ყველაზე უიღბლო ფეხბურთელი „ალავესის" შემადგენლობაში თამაშობდა. მისი სახელი **დელფი ხელი** იყო. დამატებით დროში მან ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. არადა, თითქოს სახიფათო არაფერი იყო. ვეტერანმა **გარი მაკალისტერმა** უბრალოდ საჯარიმო ჩააწოდა, ბედკრულმა დელფიმ კი თითქოს ბურთის გამოტანა სცადა. შეხვედრა უმალ შეწყდა, რადგან მაშინ ე.წ. ოქროს გოლის წესი მოქმედებდა. „ლივერპულმა" იმ დღეს 17-წლიანი პაუზის შემდეგ პირველი ევროპული ტიტული მოიპოვა.

**1997. შალკე-ინტერი 1:0, 0:1 პენ: 4:1**

ცოტა თუ ელოდა, რომ მოკრძალებული „შალკე" უეფას თასის ფინალამდე მიაღწევდა, მაგრამ **ჰუუს სტევენსმა** ევროპას ნამდვილი სასწაული აჩუქა. გელზენკირხენელებმა გზად ისეთი ძლიერი კლუბები ჩამოიშორეს, როგორებიც იყვნენ „ვალენსია", „ტენერიფე" და „ბრიუგე". გერმანიაში ფავორიტი იტალიელები ბელგიელი **მარკ ვილმოტსის** ერთადერთი გოლის წყალობით დამარცხდნენ. იმ საღამოს სხვა გმირიც ჰყავდა. ცივსისხლიანმა **ივ აიგენრაუხმა რონალდოს,** შეიძლება ითქვას, მთელი საღამო ფეხი არ გაანძრევინა. „ფენომენის" წინააღმდეგ ასეთ დონეზე თამაში მაშინ ნამდვილად გმირობას უდრიდა. „სან სიროზე" გერმანელები თავს შესანიშნავად იცავდნენ. ჩილელმა **ივან სამორანომ** მხოლოდ შეხვედრის მიწურულს მოახერხა გატანა. ტიტულის ბედი პენალტების სერიამ გადაწყვიტა - გერმანულმა ცივსისხლიანობამ თავისი გაიტანა და **იენს ლემანმა** „შალკეს" გამარჯვება მოუტანა.

**1988. ესპან.-ბაიერი 3:0, 0:3 პენ: 2:3**

„ლევერკუზენმა" კიდევ ერთხელ (ეს მერამდენედ!) დაამტკიცა, რომ გერმანელებს მსოფლიო ფეხბურთში ნერვების მხრივ საქმე ყველაზე უკეთ აქვთ. ბარსელონელებმა პირველი შეხვედრა ძალზე დამაჯერებლად მოიგეს, მაგრამ გერმანიაში ყველაფერი თავდაყირა დადგა. მასპინძლები ემოციებს არ აჰყვნენ, ნერვები მოთოკეს და თავისებურად, ბოლომდე იბრძოლეს. საშინაო შეხვედრაში პირველი ტაიმის შემდეგ ალბათ ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ „ესპანიოლი" ტიტულს ხელიდან გაუშვებდა. 57-ე წუთზე ბრაზილიელმა **მილტონ ტიტამ** ერთი ბურთი გაქვითა, შემდეგ თავი გამოიჩინა **ფალკო გიოტცმა.** ორი შეხვედრის ჯამში კი ანგარიში 81-ე წუთზე კორეელმა **ბუნ კუნ ჩამ** გაათანაბრა. თერთმეტმეტრიანებში ესპანელები დაწინაურდნენ, თუმცა გადამწყვეტი ისევ ხასიათის სიმტკიცე აღმოჩნდა.

**1985. ვიდეოტონი-რეალი 0:3, 1:0**

სამეფო კლუბს 19-წლიანი პაუზის შემდეგ პირველი ევროპული ტიტული საკუთარი აკადემიის აღზრდილებმა მოუტანეს. ესენი იყვნენ: **ემილიო ბუტრაგენიო, მიგელ გონსალო** იგივე **მიჩელი, რაფაელ მარტინ ვასკესი, მიგელ პარდესი** და **მანუელ სანჩისი.** პირველ შეხვედრაში ანგარიში მიჩელმა გახსნა, ხოლო უნგრელთა განადგურებამდე საქმე **კარლოს სანტილიანამ** და **ხორხე ვალდანომ** მიიყვანეს. საერთოდ, იმ სეზონში „რეალი" ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობდა. მათ ისეთი გოლები გაჰქონდათ, რომ ნებისმიერი გულშემატკივრის გემოვნებას დააკმაყოფილებდა. ასე რომ, ტრიუმფი სრულიად ლოგიკური და დამსახურებული იყო. განმეორებით შეხვედრაში სტუმრებმა **ლოიოშ მაიერის** კინკილა გოლის წყალობით იმარჯვეს.

**1981. იფსვიჩი-ალკმაარი 3:0, 2:4**

ჰოლანდიელთა სამწუხაროდ, დაპირისპირების ბედი ჰოლანდიელმა გადაწყვიტა... **ფრანც ტაისონმა** თანამემამულეებს „პორტმან ენდზე" ერთი გოლი გაუტანა და ამას გარდა მთელი შეხვედრის განმავლობაში აქტიური იყო. მასპინძელთაგან თავი გამოიჩინეს **ჯონ უორკმა** და **პოლ მარინერმა.** ეს სერ **ბობი რობსონის** ბრწყინვალე სამწვრთნელო კარიერის ერთ-ერთი მწვერვალი აღმოჩნდა. განმეორებითი შეხვედრა თითქოს ინგლისელთათვის ფორმალობა უნდა გამხდარიყო. მით უფრო, რომ ტაისონმა „იფსვიჩი" ჰოლანდიაშიც დააწინაურა. მაგრამ მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც ამას ელოდნენ. პირველი ტაიმის მიწურულს ტაბლოზე 3:2 ეწერა. 70-ე წუთზე მასპინძლებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს. თუმცა ინგლისელებმა მათ მეტის უფლება აღარ მისცეს და უეფას თასს დაეუფლნენ.



მადლიერმა იფსვიჩელებმა სერ ბობი რობსონს პორტმან ენდზე ძეგლი დაუდგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ

# რომის პოლიცია განსაკუთრებულ მზადებაშია

შემდეგი კვირის დასაწყისიდანვე რომის ცენტრალური რაიონების სახელგანთქმული ქუჩების დიდი ნაწილი გადაიკეტება და იქ მოძრაობა არათუ მანქანით, ფეხით მოსიარულეთათვისაც აიკრძალება. ნებადართული მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილება იქნება . 27 მაისის ფინალამდე 36 საათით ადრე ქალაქში აიკრძალება ალკოჰოლის გაყიდვა. მათ შორის რესტორნებშიც. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, „ბარსელონასა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივართა მრავალათასიანი არმიის ღირსეულად დასახვედრად გაკეთდება. ინგლისელთა ინფორმაციით, მარადიულ ქალაქში მხოლოდ ბილეთის არმქონე 30 ათასი გულშემატკივარი მიემგზავრება. რაც შეეხება ბილეთიანებს, მათი რიცხვი 19 500-ია. იტალიელებს ყველაზე მეტად სწორედ ინგლისელი ფანების ეშინიათ. ვაიდა „მანჩესტერმა" წააგოს? ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავარდება რომი? რამდენიმე დღის წინ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური მიმართვა გააკეთა „მანიუს" ფანებისადმი, სადაც წერია, რომ ისინი განსაკუთრებით უნდა უფრთხილდნენ მცირე ჯგუფებად გადაადგილებას. დიახ, ჩვენც აბსოლუტურად ვეთანხმებით ინგლისელი დიპლომატების პათოსს. გვგონია, რომ „რომას" გულშემატკივრებმა შეიძლება რამდენიმე წლის წინანდელი „ბრიყვული" წყენა გაიხსენონ, როცა „ალისფერმა ეშმაკებმა" მათი საყვარელი გუნდი ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალში 7:1 გაანადგურეს. იტალიის დედაქალაქში მას მერე ინგლისელი გულშემატკივრებისა თუ უბრალო ტურისტების მიმართ აგრესია რადიკალურად გაიზარდა. „რომას" ულტრასები უცხოებს კი არა საკუთარ თანამემამულეებს არ ინდობენ. ასე რომ, მათგან ჰუმანურობა მოსალოდნელი არ არის. ბოლო რომაულ დერბის ერთი ასეთი ინციდენტი უკვე მოჰყვა: „ჯალოროსის" ფანებმა რიგითი ინგლისელი ტურისტი საჯდომში რამდენჯერმე დაჭრეს. ბედის წყალობაა, რომ ის ცოცხალი გადარჩა.

უკვე მოგახსენეთ, რომ ინგლისელებს 19 500 ბილეთი ხვდათ წილად, რომელთა ფასი 65-დან 183 გირვანქამდე მერყეობს. არის საშიშროება, რომ ისინი, ვინც ბილეთს ლეგალური გზით ვერ იშოვიან, საშველად შავ ბაზარს მიმართავენ. ბუნებრივია, არავის აქვს გარანტია, რომ შავ ბაზარზე ნაყიდი ბილეთით, ვთქვათ, ესპანელების იარუსში არ მოხვდება. არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენს იტალიელთა შორის მოხვედრაც. მეტსაც გეტყვით, ერთ-ერთ ინგლისურ საიტზე, რომლის დასახელებას, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ, მსურველს სთავაზობენ ნებისმიერი სექტორის ბილეთს, მათ შორისაა ესპანელებისთვის განკუთვნილი ადგილებიც. ერთ-ერთი ასეთი ბილეთი გუშინ დილას 1600 ფუნტად გაიყიდა.

ფანკლუბების საიტებზე დიდი იმედი ჰქონდათ, რომ რომის მერია ქალაქში რამდენიმე ადგილას, განსაკუთრებით სტადიონის ახლომდებარე ტერიტორიაზე, დიდ ეკრანებს დაამონტაჟებდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. კარაბინერების რეკომენდაციით, ქალაქის ადმინისტრაციამ ამ იდეაზე უარი თქვა. და რა უნდა აკეთონ ამ დროს უსაქმურმა ფანებმა? მოსალოდნელია, რომ ისინი ბარებსა და რესტორნებში გადაინაცვლებენ ან უარეს შემთხვევაში ქალაქში ფეხით იხეტიალებენ.

მანჩესტერის პოლიციამ რომაელ კოლეგებთან თანამშრომლობა რამდენიმე დღის წინ დაიწყო. მათი მტკიცებით, რიგით გულშემატკივრებს შორის ჩანერგილნი იქნებიან პოლიციის აგენტები, რომელთაც პოტენციური კანონდამრღვევების გამოვლენა დაევალებათ. ამას გარდა, ინგლისელი პოლიციელები სტადიონზეც გამოჩნდებიან და კოლეგებს დახმარებას უანგაროდ გაუწევენ.

რაც შეეხება ესპანელ გიჟმაჟებს: მართალია, ისინი ისტორიულად სულაც არ მიიჩნევიან აგრესიულ და მავნებელ გულშემატკივრებად, მაგრამ ტრადიცია ერთია და რეალობა - მეორე. მას შემდეგ, რაც „ბლაუგრანა" ესპანეთის ჩემპიონად გამოცხადდა, ქუჩებში ისეთი ქაოსი დაიწყო, რომ ბარსელონის ადმინისტრაციამ გადარეული მასის დასაშოშმინებლად პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმები გამოიძახა. სამართალდამცავებმა კანონით მათთვის მინიჭებული უფლება გამოიყენეს და არეულობის ჩასახშობად სპეციალურ საშუალებებს მიმართეს - მათ შორის რეზინის ტყვიებს, ხელკეტებსა და ცრემლსადენ გაზს. ოფიციალური მონაცემებით, აღნიშნული შეტაკების შედეგად 50 ადამიანი დაშავდა, მათ შორის რამდენიმე საკმაოდ სერიოზულად, 65 ადამიანი კი დაკავებულია. ისინი უკვე მიეცნენ პასუხისგებაში.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც რომს ფინალური შეხვედრის მასპინძლობა ანდვეს, ინგლისურ პრესაში სერიოზული წნეხი დაიწყო უეფაზე, რათა ევროპული ფეხბურთის მამებს შეხვედრა სხვაგან გადაეტანათ. ამის საფუძვლად, პირველ რიგში, იქცა ის, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე იტალიის ჩემპიონატის მატჩებშიც არ არის. **მიშელ პლატინიმ** მოწოდება თავიდანვე კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებდა, რათა რომს ფინალისთვის ღირსეულად ემასპინძლა.

მოსაზრებას, რომ დედაქალაქს წინ ძალზე დაძაბული კვირა ელის, ეთანხმება რომის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი **ჯანი ალემანოც.** მისი სიტყვებით, მოქალაქეებს რთული პერიოდი ელით, რაც მათ შესაბამისად უნდა გაიაზრონ და ხელისუფლებას დელიკატურად აპატიონ შექმნილი დისკომფორტი. მოქალაქეები, გასაგებია, ყველაფერს შეეგუებიან და აპატიებენ კიდეც, მაგრამ მარადიულ ქალაქს მთავარი პრობლემა მგონი სწორედ იქიდან ელოდება, საიდანაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი: რომის პოლიციის პირადი შემადგენლობა ხელფასების დაგვიანების გამო გაფიცვას აპირებს... იტალია მართლა პარადოქსების ქვეყანაა.




თუ არ გაიფიცნენ, რომაელ პოლიციელებს წინ სერიოზული საქმე ელით

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ინტერვიუ

იურგენ კლინსმანი

# ბაიერნში დარჩენა მინდოდა!

## დრო რომ მოეცათ, მიუნხენშიც დავამტკიცებდი, რომ კარგი მწვრთნელი ვარ!


ეროვნული ბიბლიოთეკა

იურგენ კლინსმანს „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის რანგში უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მან ამ თანამდებობაზე მხოლოდ 302 დღე გაძლო. რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებმა ბევრი ითმინეს, თუ ცოტა, წარუმატებლობების მთელი კასკადი ბოლოს ყელში ამოუვიდათ და კლინსი დაითხოვეს. გათავისუფლების შემდეგ კლინსმანი საკმაოდ დიდხანს დუმდა, ახლა კი დუმილი დაარღვია და ჯერ „შტერნს", მერე კი „შპიგელს" საკმაოდ საინტერესო ინტერვიუები მისცა.

**- ჰერ კლინსმან, რას ფიქრობთ, ვინ გახდება გერმანიის ჩემპიონი?**

- წესით და რიგით, „ვოლფსბურგს" „ვერდერის" დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს. ფელიქს მაგათის გუნდი სახლში თამაშობს და ყველამ კარგად ვიცით, როგორც ასპარეზობენ „მგლები" საკუთარ მოედანზე, თუმცა „ვერდერს" ნამდვილად ხელეწიფება „ვოლფსბურგის" სტუმრად დამარცხება. „ბაიერნს" კი, პირველ რიგში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური აქვს გასანაღდებელი.

**- როგორ გგონიათ, რა შეიცვალა მიუნხენურ გუნდში თქვენი წასვლის შემდეგ?**

- არა მგონია, რომ რამე შეიცვალა. თუ არ ჩავთვლით, რომ ფეხბურთელებს მთელი სეზონის განმავლობაში შეეძლოთ თავის მართლება, რადგან ყველაფერში მე ვიყავი დამნაშავე, ახლა კი ალიბი აღარ აქვთ. მაგრამ ნებისმიერი ექსპერტი დამეთანხმება, რომ სეზონის დასრულებამდე 5 ტურით ადრე ბევრს ვეღარაფერს შეცვლი. სწორედ ამიტომ მწყდება გული: დარწმუნებული ვარ, რომ მეც შემეძლო იმის გაკეთება, რასაც იუპ ჰაინკესი აკეთებს.

**- ანუ, თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ სეზონის ბოლომდე არ გაგათავისუფლებდნენ?**

- როგორ გითხრათ, ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა, ასეთი რამ მომხდარიყო, მაგრამ მეგონა, რომ ამ ნაბიჯს არ გადადგამდნენ. პირველივე დღიდან მიუნხენში სერიოზულ წინააღმდეგობებს გადავაწყდი, იყო ბევრი არასწორი გამონათქვამი და არაერთი ჭორი.

**- მაგალითად?**

- მაკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ საჯარო ვარჯიშები ავკრძალე, არადა, გუნდმა ძალიან ბევრი ასეთი ვარჯიში ჩაატარეთ, უფრო მეტი, ვიდრე ოტმარ ჰიტცფელდის დროს. მიუხედავად ამისა, მე ვთქვი, სკეპტიკოსების მოსაზრებები ფეხებზე მკიდია, ყველას დავუმტკიცებ, რომ ძლიერი ვარ-მეთქი. ბევრისგან განსხვავებით, ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ცუდად ვიმუშავე, მაგრამ „ბაიერნი"ის გუნდია, რომელიც ყოველთვის ვალდებულია, გერმანიის ჩემპიონი გახდეს. სწორედ ამიტომ, ბოლოს უკვე მქონდა განცდა, რომ მორიგი მატჩის წაგების შემთხვევაში თანამდებობიდან გამათავისუფლებდნენ.

**- როგორ და რა სიტუაციაში შეიტყვეთ გათავისუფლების ამბავი?**

- ჩვეულებრივი დღე იყო, ორშაბათი, მაგრამ ისეთი გრძნობა მქონდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. მით უმეტეს, რომ სხვადასხვა გაზეთები იუწყებოდნენ, ეს დღე იურგენ კლინსმანისთვის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის რანგში უკანასკნელი იქნებაო. რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები ჩემთან მოვიდნენ და მითხრეს, გვეშინია, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს და იძულებულები ვართ, გაგათავისუფლოთო.

**- წარმოიდგენდით ამას მაშინ, როცა „ბაიერნში" მუშაობას იწყებდით?**

- როცა მუშაობა დავიწყე, „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა სრული მხარდაჭერა გამომიცხადეს. მეუბნებოდნენ, გერმანიის ნაკრებში დაამტკიცე, რომ ძლიერი ხარ და პრობლემები არც მიუნხენში შეგექმნებაო. ამიტომაც დავიწყე მუშაობა დიდი შემართებით.

**- მერე რა მოხდა?**

- სიტუაცია უფრო და უფრო იძაბებოდა. ბოლოს კი უკვე ძალიან რთული მდგომარეობა იყო. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ვარჯიშების დროს ათიდან ცხრა გულშემატკივარი მაგულიანებდა, მეუბნებოდნენ, ასე გააგრძელე, შენი გვჯერაო. ცხადია, ვიცოდი, რომ არსებობდნენ ისეთი გულშემატკივრები, რომლებიც ჩემს გათავისუფლებას ითხოვდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ასეთები ბევრნი არ იყვნენ, მათ საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს.

**- მიხაელ რენზინგთან დაკავშირებით მომხდარ ფაქტს როგორ შეაფასებდით?**

- თავიდან ნამდვილად მქონდა ისეთი შეგრძნება, რომ ხელმძღვანელები ჩემი კონცეფციით მუშაობის საშუალებას მაძლევდნენ, ბოლოს კი ამაში ეჭვი შემეპარა. რენზინგი ახალი კანი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ფაქტი იყო, რომ მიხაელს ამისთვის 2-3 წელი დასჭირდებოდა.

**- პოდოლსკი?**

- ლუკასი ნიჭიერი თავდამსხმელია, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაამტკიცა, მაგრამ მე ვფიქრობ, ის არ არის ისეთი ტიპი, რომელსაც „ბაიერნში" ადგილის დამკვიდრება შეუძლია და უნდა. ამის მიზეზი ისიცაა, რომ პოდოლსკის ლუკა ტონის და მიროსლავ კლოზეს სახით ძალიან სერიოზული კონკურენტები ჰყავს. პირდაპირ გეტყვით: პოდოლსკის ტონისთან და კლოზესთან კონკურენციაში შესვლა არც შეეძლო და არც უნდოდა. პოლდი „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში არც ფელიქს მაგათის დროს თამაშობდა, არც ოტმარ ჰიტცფელდის დროს და არც ჩემს დროს, რადგან ტონის და კლოზეს ვერ აჯობა. არ მიკვირს, რომ ამის გამო ძალიან ბრაზდებოდა.

**- სამაგიეროდ, პოლდი გერმანიის ნაკრებში ყოველთვის კარგად თამაშობს და თქვენს დროს განსაკუთრებით კარგად გამოიყურებოდა...**

- რა თქმა უნდა, რადგან ორი-სამი წლის წინათ გერმანიის ნაკრებში კლოზეს და პოდოლსკის სერიოზული კონკურენტები არ ჰყავდათ. ლუკასს დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ვერ შეძლო და ეს პოტენციალი „ბაიერნის" ვარჯიშებსა თუ თამაშებში ვერ გამოიყენა.

**- რატომ დანიშნეთ გუნდის კაპიტნად მარკ ვან ბომელი?**

- იმიტომ, რომ ოლივერ კანის შემდეგ, მას გუნდზე ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა. ჰოლანდიელი ძალიან კომუნიკაბელური ფეხბურთელია და თანაც, ისეთ პოზიციაზე თამაშობს, საიდანაც ყველა თანაგუნდელთან კონტაქტი აქვს. ვფიქრობ, ვან ბომელი „ბაიერნის" ღირსეული კაპიტანია.

**- პირველივე პრესკონფერენციაზე თქვით, ყველა ფეხბურთელს ყოველდღიურ პროგრესს განვაცდევინებო. ეს სიტყვები მერე არაერთხელ წამოგაძახეს და ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ განცხადების გაკეთება დიდი შეცდომა იყო?**

- მნიშვნელობა არ აქვს, სად თამაშობს ესა თუ ის ფეხბურთელი, მეოთხე ლიგაში თუ მიუნხენის „ბაიერნში" - აბსოლუტურად ყველა მოთამაშეს აქვს ყოველდღიური პროგრესის პოტენციალი. მე არ ვფიქრობ, რომ ამ განცხადებით შეცდომა დავუშვი. უბრალოდ, ყველამ სხვადასხვანაირად გაიგო.

**- როგორ შეაფასებდით სეზონის სტარტს, რა პრობლემებთან მოგიხდათ შეჭიდება?**

- სეზონის სტარტი ძალიან პრობლემატური გამოდგა: ფეხბურთელების დიდი ნაწილი ევროპის ჩემპიონატიდან გადაღლილი დაბრუნდა, ხოლო ფრანკ რიბერი კი ოქტომბრამდე ტრავმირებული იყო. ტრავმები მიიღეს ლუკა ტონიმ და ფილიპ ლამმაც. მერე კი ვილი სანიოლიც იძულებული გახდა, ტრავმის გამო კარიერა დაემთავრებინა. მიუხედავად არაერთი პრობლემისა, გუნდი პირველი წრის მიწურულს მაინც კარგად ათამაშდა. ჩემპიონთა ლიგაშიც მოტივირებულები ვიყავით. ფაქტია, რომ ჩემპიონთა ლიგაში გუნდი უფრო კარგად ასპარეზობდა, ვიდრე ბუნდესლიგაში და მიუხედავად ამისა, პირველი წრე მაინც მეორე ადგილზე დავასრულეთ, თანაც, „ჰოფენჰაიმს" მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამოვრჩით.

**- რა არის იურგენ კლინსმანის, როგორც მწვრთნელის მთავარი პლუსი?**

- 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე დავამტკიცე, რომ კარგი სპეციალისტი ვარ. ვფიქრობ, ჩემთვის დრო რომ მოეცათ, ამას „ბაიერნშიც" დავამტკიცებდი.

**- რატომ არ მოგცეს დრო?**

- არ ვიცი. ეს კითხვა ალბათ „ბაიერნის" ხელმძღვანელებს უნდა დაუსვათ. ფაქტია, რომ მიუნხენში მუშაობის გაგრძელება ძალიან მინდოდა და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში ძალიან ძლევამოსილი გუნდი მეყოლებოდა.

**- ზამთარში ახალი ფეხბურთელების ყიდვა გინდოდათ?**

- დიახ, მინდოდა და ამისათვის ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

**- რატომ ინათხოვრეთ ლენდონ დონოვანი?**

- ზამთარში ყველაზე მეტად მეოთხე თავდამსხმელის აყვანა მინდოდა. პირველ რიგში იმის გამო, რომ ტონის და კლოზეს შეიძლებოდა ნებისმიერ დროს მიეღოთ ტრავმა და თანაც, ვერავინ მეტყოდა, შეძლებდა თუ არა პოდოლსკი რომელიმე მათგანის ღირსეულად შეცვლას. ვფიქრობ, ეს ნაბიჯი სწორი იყო, რადგან დონოვანის მოსვლიდან ორ კვირაში კლოზემ საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო.

**- რომელი წაგება იყო თქვენთვის ყველაზე მტკივნეული?**

- „ვოლფსბურგთან" 1:5. ეს იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი „ბაიერნისთვის" ერთ-ერთი ყველაზე გულდასაწყვეტი წაგება. მე შემტევი სტილის მოყვარული მწვრთნელი ვარ და როცა გუნდი შემტევ ფეხბურთს თამაშობს, ყოველთვის არსებობს საშიშროება, რომ დიდი ანგარიშით წააგო. სიმართლე გითხრათ, მე მირჩევნია, ერთი თამაში 1:5 წავაგოთ და მერე ორი მოვიგოთ, ვიდრე ზედიზედ სამ თამაშში 0:1 დავმარცხდეთ.

**- გულახდილად გვითხარით, ბოლო ტურში ვის ქომაგობთ?**

- „ბაიერნს".

**- თუ მოხდა სასწაული და მიუნხენური გუნდი ჩემპიონი გახდა, ბანკეტზე ალბათ არ დაგპატიჟებენ...**

- ჰო, არა მგონია, დამპატიჟონ.

**- ახლა ამერიკაში დაბრუნდებით?**

- ჯერ არ ვიცი, უფრო სწორად, არა მგონია, რადგან მიუნხენში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

ჰოფენჰაიმი

# იბიშევიჩი დაბრუნდა!

## 17 თამაშში 18 გოლის გამტანი თავდამსხმელი 126-დღიანი პაუზის შემდეგ ვარჯიშს შეუდგა



ვედო ლაზარეთიდან დაბრუნდა

„ჰოფენჰაიმის" თავდამსხმელმა **ვედად იბიშევიჩმა**, რომელმაც ბუნდესლიგის პირველ წრეში 18 გოლი გაიტანა და ზამთრის შესვენებამდე გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იყო, ხოლო შემდეგ კი სერიოზული ტრავმა მიიღო, ვარჯიში განაახლა. 24 წლის ბოსნიელმა ფორვარდმა 126-დღიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, გუშინ თანაგუნდელებთან ერთად პირველად ივარჯიშა.

*„მოედანზე დაბრუნება შესანიშნავი გრძნობაა,"* - უთხრა იბიშევიჩმა ჟურნალისტებს. „სოფლელების" მთავარი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი** „ვედოს" დაბრუნებით ძალიან გახარებულია. *„გული მწყდება, რომ მას მთელი მეორე წრე გაუცდა. იბიშევიჩი რომ არ დაშავებულიყო, დარწმუნებული ვარ, მინიმუმ ხუთეულში შევიდოდით,"* - ამბობს პროფესორი რალფი, რომლის გუნდს ბოლო ტურის წინ ევროლიგის საგზურის მოპოვების შანსიც კი აღარ აქვს და ეს იმ დროს, როცა „ჰოფენჰაიმმა" პირველი წრე მოიგო და ჩემპიონობის კანდიდატად მიიჩნეოდა.

მართალია, „ვედო" ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილზე დიდი ხანია, აღარ არის, მაგრამ „ჰოფენჰაიმის" საუკეთესო გოლეადორად კი რჩება, რადგან მისმა ვერც ერთმა თანაგუნდელმა ვერ შეძლო 18 გოლის გატანა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ამბები

### ფუნკელი აინტრახტიდან მიდის

ფრანკფურტის „აინტრახტის" ხელმძღვანელებმა გუშინ განაცხადეს, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, გუნდის მთავარ მწვრთნელ **ფრიდჰელმ ფუნკელს** კონტრაქტს გაუწყვეტავენ. მწვრთნელთან განშორება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ „აინტრახტმა" ამ სეზონში ვერაფერს მიაღწია და ბოლო ტურის წინ მე-13 ადგილზეა. მართალია, ფრანკფურტელები მეორე ბუნდესლიგაში არ გავარდნენ, მაგრამ ამ გუნდს სხვა მიზნები ჰქონდა, კერძოდ, ცხრილის პირველ ნახევარში დამკვიდრება. ამრიგად, ფრიდჰელმ ფუნკელს ბუნდესლიგის ბოლო ტურში „აინტრახტის" მთავარი მწვრთნელის რანგში უკანასკნელად ვიხილავთ. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ ვინ შეცვლის 55 წლის მწვრთნელს.

### ჟოსუე ვოლფსბურგში რჩება

„ვოლფსბურგის" კაპიტანმა, ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **ჟოსუემ** „მგლებთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2013 წლამდე აქვს. *„ვოლფსბურგში" თავს იდეალურად ვგრძნობ. ეს არის გუნდი, სადაც მაფასებენ და სადაც ყველა უდიდეს პატივს მცემს. მიხარია, რომ კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზეს,"* - განაცხადა ბრაზილიელმა საყრდენმა ნახევარმცველმა, რომელიც გერმანიის ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატის ერთ-ერთი ლიდერია.

10 წლის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა




# სიმართლე ყველა დროის საუკეთესო ფინალის შესახებ

## ოტმარ ჰიტცფელდი, შტეფან ეფენბერგი და მარიო ბასლერი მანჩესტერ-ბაიერნს იხსენებენ

**გახსოვთ ჩემპიონთა ლიგის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფინალი? გახსოვთ, სად და როგორ სიტუაციაში უყურეთ ამ გენიალურ მატჩს? ეს მოხდა 10 წლის წინ, 1999 წლის 26 მაისს. მატჩი, რომელიც ბარსელონაში, „კამპ ნოუზე“ გაიმართა, ჩემპიონთა ლიგის და ზოგადად ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით შევიდა. მიუნხენური გრანდი მთელი მატჩის განმავლობაში იგებდა და ტიტული ბოლო წუთებზე, სულ რაღაც 102 წამის განმავლობაში დაკარგა. გერმანულმა ტაბლოიდმა „ბილდმა“ მაშინდელი „ბაიერნის“ მთავარი შემოქმედები, მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი, გუნდის კაპიტანი შტეფან ეფენბერგი და „მანჩესტერის“ კარში გატანილი გოლის ავტორი მარიო ბასლერი ერთ მაგიდასთან დასვა. ტრიო დაუვიწყარ ფინალს იხსენებს. ეფე, ოტმარი და მარიო საუბრობენ დეტალებზე, რაც აქამდე არავისთვის არ იყო ცნობილი.**

მიუნხენი, სასტუმრო „კემპინსკი“. **შტეფან ეფენბერგი, ოტმარ ჰიტცფელდი და მარიო ბასლერი „ბილდის“ ჟურნალისტთან ერთად 1999 წლის ფინალის ყურებას იწყებენ და საათ-ნახევრით 10 წლის წინანდელ წარსულში ბრუნდებიან.** 20 საათი და 51 წუთი: მარიო ბასლერის მიერ 17 მეტრიდან შესრულებული დარტყმა ზუსტია, ბურთი პეტერ შმაიხელის კარის მარჯვენა კუთხეში გადის, „ბაიერნმა“ ანგარიში გახსნა.

**მარიო ბასლერი:** დარწმუნებული ვიყავი, რომ გოლს გავიტანდი. დარტყმამდე შტეფანმა მითხრა, იმ კუთხისკენ დაარტყი, რომელსაც მეკარე იცავსო. ეფენბერგი დარწმუნებული იყო, რომ შმაიხელი ცენტრისკენ იმოძრავებდა.

**შტეფან ეფენბერგი:** მარიო, შენს შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს მეპარებოდა, მაგრამ იმ თამაშში მართლაც გამაოგნებლად კარგად ითამაშე. დღესაც მიკვირს, როგორ მოახერხე ამ მატჩის ასეთ, სასწაულებრივ დონეზე ჩატარება.

22.20: საფინალო სასტვენამდე 10 წუთია დარჩენილი, „ბაიერნი“ იგებს და ჰიტცფელდს ყველასათვის მოულოდნელად, მოედნიდან ლოთარ მათეუსი გაჰყავს. ეს არის მომენტი, რომელიც გენიალურ მწვრთნელს დღემდე უდიდეს შეცდომად ეთვლება.

**ოტმარ ჰიტცფელდი:** „ლოთარს 15 წუთით ადრე უნდოდა მოედნის დატოვება. მე მისი შეცვლა არ მინდოდა, მაგრამ გამუდმებით მიყვიროდა, შემცვალე, თორემ მეტი აღარ შემიძლია და მეშინია, სერიოზული შეცდომა არ დავუშვაო. „მანჩესტერს“ შერინგემი ჰყავდა შემოყვანილი და მათეუსმა ერთხელაც მითხრა, 38 წლის ვარ, ჩემი მოედანზე დარჩენა ძალიან საშიშიაო.

**- არადა, მოგვიანებით ლოთარმა თქვა, თამაშის გაგრძელება შემეძლოო...**

**ჰიტცფელდი:** ჰო, ამ ამბავს გაუგებრობა მოჰყვა. მეორე დღეს „ბილდში“ ეწერა, მათეუსს მოედნიდან გასვლა არ უნდოდაო. გუნდი შევკრიბე და მათეუსს ყველას თანდასწრებით ვკითხე, რატომ წერია „ბილდში“ ასეთი რამ-მეთქი. მხრები აიჩეჩა და დაადასტურა, მოედნიდან გასვლა მინდოდაო.

**- „ბაიერნმა“ თამაშის შემდეგ მეჰმეთ შოლი 10 000 მარკით დასაჯა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა თქვა, მათეუსი ყოველთვის ასე იქცევა, როცა ხვდება, რომ გუნდი მძიმე სიტუაციაშიაო. ეფენბერგი კი თავის წიგნში წერს, ლოთარ მათეუსი მშიშარა ტიპიაო. ჰერ ეფენბერგ, მართლა ასე ფიქრობთ?**

**ეფენბერგი:** როცა ფეხბურთელს მოედნიდან გასვლა უნდა, აუცილებლად უნდა გაიყვანო. სხვანაირად შეუძლებელია! მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ მათეუსის გასვლის გამო წავაგეთ. ამის მტკიცება სისულელეა. ჩვენ ყველანი დამნაშავეები ვართ იმაში, რომ ის ფინალი წავაგეთ.

**- შოლმა და იანკერმა ორჯერ მოარტყეს ბურთი ძელს...**

**ეფენბერგი:** დამიჯერებთ, რომ ამ მატჩის ვიდეო ჩანაწერი მას მერე ერთხელაც არ მინახავს? დღეს პირველად ვუყურებ! არადა, ათი წელი გავიდა! დღესაც არ მჯერა, არ მჯერა, რომ ეს მართლა ასე მოხდა! და არ მესმის, რატომ მოხდა ასე!

22.30: მთავარმა მსაჯმა პიერლუიჯი კოლინამ შეხვედრას სამი წუთი დაამატა. ბექჰემის კუთხური, შერინგემის დარტყმა, ფინკის შეცდომა და 1:1

**ბასლერი:** ერთი წამითაც კი არ მიფიქრია, რომ მანჩესტერულები ანგარიშის გათანაბერას შეძლებდნენ. მით უმეტეს არ მიფიქრია წაგებაზე! „მანჩესტერს“ ჩვენი ეშინოდა! მე საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე შემცვალეს და როცა ეს გოლი გავუშვით, კინაღამ გული წამივიდა! ტორსტენ ფინკს ბურთი რომ მოეგერიებინა, ამ თამაშს მოვიგებდით!

**- თქვენ თავზე უკვე გამარჯვებისთვის გამზადებული კეპი გეფარათ...**

**ბასლერი:** ჰო, ჩვენ შამპანურიც მზად გვქონდა, კეპებიც და მაისურებიც. კეპი დავიფარე და ერთი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამით მოედნისკენ შევტრიალდი, ბექჰემი კუთხურს აწვდიდა, რომელსაც ინგლისელი ფანების გამაყრუებელი კიჟინა მოჰყვა... არადა, სათადარიგოთა სკამზე ზეიმი ფაქტობრივად დაწყებული გვქონდა.

**ჰიტცფელდი:** შერინგემმა ამ გოლით ყველას გულში ისარი ჩაგვასო! გოლის შემდეგ რაც გავიფიქრე, ეს იყო: ღმერთო, ახლა ეს ნერვების მომშლელი დამატებითი დრო! ძალიან შევწუხდი, რადგან ვიცოდი, რომ მომდევნო 30 წუთის განმავლობაში მეტოქეს ფსიქოლოგიური უპირატესობა ექნებოდა. ამას ვფიქრობდი, როცა ჩვენს კართან მომდევნო კუთხური დაინიშნა...

**ეფენბერგი:** სიმართლე გითხრათ, არა მგონია, რომ დამატებით დროში თამაშის მოგებას შევძლებდით. შერინგემის გოლის შემდეგ ყველანი ისე ვიყავით განადგურებულები, რომ ბევრი არაფერი შეგვეძლო.

22.32: ბექჰემის მორიგი კუთხური და „მანჩესტერის" მეორე გოლი: სოლსკიაერმა გაიტანა! საფინალო სასტვენი.

**ბასლერი:** გაისმა თუ არა სასტვენის ხმა, მაშინვე გასახდელისკენ გავიქეცი. მერე იქ ფრანც ბეკენბაუერი და კარლ-ჰაინც რუმენიგე ჩამოვიდნენ. ჩვენს გასახდელში სამარისებური სიჩუმე იდგა! სამივემ ერთმანეთს შევხედეთ. ფრანცი ბოლთას სცემდა. მე წამოვდექი და ბეკენბაუერს ვკითხე: „ფრანც, ხომ არ მესიზმრება ეს ყველაფერი?" კაიზერმა მომიგო: „არა, არ გესიზმრება!" უსიტყვოდ წავედი სკამისკენ, სიგარეტი ამოვიღე და მოვუკიდე... მეტი არაფერი თქმულა...

**- მოედანზე რატომ არ დარჩით?**

**ბასლერი:** არ შემეძლო, იქ ვერ გავჩერდებოდი. იმედგაცრუებული კი არ ვიყავი, საშინლად გაბრაზებული, განრისხებული გახლდით. შმაიხელს ხელს ვერ ჩამოვართმევდი, ვერც ახლა ჩამოვართმევ! შმაიხელი მთელი მატჩის განმავლობაში ნერვებს მიშლიდა. არც ვერცხლის მედალი ამიღია, მოედანზე აღარ გავსულვარ.

**ჰიტცფელდი:** თავი კოშმარულ სიზმარში მეგონა. პრესკონფერენციის შემდეგ კატაკომბებში სერ ალექს ფერგიუსონს შევხვდი. ფერგი ჩემსკენ წამოვიდა, მომიახლოვდა და მითხრა, მაპატიეო. რცხვენოდა, რომ ეს თამაში მოიგო.

22.52: ეფენბერგი დოპინგ-კონტროლზე დაიბარეს

**ეფენბერგი:** დოპინგ-ტესტის ოთახისკენ მიმავალი, გოლების ავტორებს, შერინგემსა და სოლსკიაერს შევხვდი. ეს ნამდვილად არ იყო სასიამოვნო ფაქტი. ემოციებისგან დაცლილი და გაუბედურებული ვიყავი და უცებ დავინახე, როგორც ცეკვავდნენ და მღეროდნენ. დოპინგ-ტესტზე ისინიც დაბარებულები იყვნენ და სხვათა შორის, ძალიან დააგვიანეს. ამას წინათ ბუნდესლიგაში ლამის სერიოზული სკანდალი ატყდა იმის გამო, რომ „ჰოფენჰაიმის" ფეხბურთელებმა დოპინგ-ტესტზე 2-3 წუთით დააგვიანეს. სოლსკიაერი და შერინგემი კი ტესტის ჩასაბარებლად 20-30-წუთიანი დაგვიანების შემდეგ მოვიდნენ.

**- ანუ, ფინალი უნდა გათამაშდეს?**

**ეფენბერგი:** (იცინის) სიამოვნებით! თან, ხელებს გვიქნევდნენ. მერე მოვიდნენ და ხელები გამომიწოდეს. ვიცოდი, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადამედგა და მათთვის ხელი ჩამომერთმია, მაგრამ ამის გაკეთება არ მინდოდა. დოპინგის ოთახში ვიყავით და ისინი ბედნიერები იყვნენ, მე კი დანა პირს არ მიხსნიდა. თანაც, ვერ ვშარდავდი და ეს უფრო მიშლიდა ნერვებს. მერე როგორც იქნა, მოვშარდე და იქიდან გამოვიქეცი. მაგრამ ყველაზე საშინელი რამ ამის შემდეგ მოხდა...

**- რა მოხდა?**

**ეფენბერგი:** დოპინგის ტესტის ჩასაბარებლად ფაქტობრივად 2 საათი დამჭირდა. გუნდი დიდი ხნის წასული იყო. კატაკომბებში დავრბოდი, ბიჭებს ვეძებდი და უცებ ვის შევეჩეხე? დევიდ ბექჰემს, რომელიც ჩემპიონთა თასით ხელში დარბოდა! ეს იყო სცენა, რომელიც სიკვდილამდე არ დამავიწყდება. შუქები უკვე თითქმის ჩამქრალი იყო, ბნელოდა და ჩემგან რვა მეტრის მოშორებით ბექჰემი იდგა, ჩემპიონთა თასით ხელში. მაშინ დავიფიცე, რომ ეს თასი ოდესმე აუცილებლად უნდა მომეგო.

**- და ეს მოახერხეთ კიდეც, ოლონდ ორი წლის შემდეგ და ბექჰემთან კიდევ გქონდათ ლეგენდარული დუელები...**

**ეფენბერგი:** ჰო, როი კინთანაც მქონდა დუელები, მაგრამ ბექჰემი უფრო მემარცხენე ტიპი იყო, ვიდრე როი. ირლანდიელი უხეში მებრძოლი იყო, მაგრამ ნამდვილი სპორტსმენი იყო, წესებს არასდროს არღვევდა, პატიოსნად იბრძოდა. როი კინი მხოლოდ წინიდან მოგჩეხავდა და მინდორზე დაგაგდებდა – ეს კი მისაღებია, ნორმალურია. მაგრამ ბექჰემი ხშირად უკნიდან მჩეხავდა, მომეპარებოდა და მოულოდნელად მომცელავდა. ასეთ ტიპებს ვერ ვიტან! მარიო, ხომ გესმის, რასაც ვგულისხმობ. წარმოიდგინეთ, ფეხბურთელს ვერ ხედავ და მისგან ცუდს არაფერს ელოდები, უცებ უკნიდან მოგეპარება და ფეხებში ჩაგარტყამს. არა, ბექჰემის ატანა არ მქონდა...

ღამის პირველი საათი: „ბაიერნი" უკვე სასტუმროშია.

**ეფენბერგი:** ბანკეტი უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მე ოთახში ავედი. რა თქმა უნდა, ფეხბურთელებთან ერთად უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მუსიკის მოსმენა და ცეკვა ნამდვილად არ მინდოდა. ვიცოდი, დამშვიდებას დამიწყებდნენ, მხარზე ხელის დარტყმას, მაგრამ ეს არაფერში მჭირდებოდა. მაგიდასთან კარსტენ იანკერთან ერთად ვიჯექი, მის გვერდით მისი მეუღლე იჯდა. ერთი ჭიქაც არ დაგვილევია, არც ვლაპარაკობდით. უბრალოდ, ვიმეორებდით: „ამ თასს აუცილებლად მოვიგებთ, ამ თასს აუცილებლად მოვიგებთ!" ამ წაგებამ მე ჩემპიონთა ლიგის მოგების მოტივაცია გამიათმაგა. ვიცოდი, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი ცხოვრებაში კიდევ ერთხელ მომეცემოდა. 2001 წელს შანსი მომეცა და მოვიგე კიდეც.

**- ჰერ ბასლერ, თქვენ ბევრიც დალიეთ და იცეკვეთ კიდეც. ნუთუ, ბედნიერი ვიყავით?**

**ბასლერი:** კი, როგორ არა (იცინის)! რა თქმა უნდა, გაუბედურებული ვიყავი, მაგრამ ოთახში ვერ ჩავიკეტებოდი. ეს რომ მექნა, ტელევიზორს ფანჯრიდან გადავაგდებდი. ჯერ შევჭამეთ, მერე კი დალევა დავიწყეთ. აღარ მახსოვს, ვინ იცეკვა პირველად, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლოს მეც ვცეკვავდი. თანდათან მუსიკა უფრო ძლიერდებოდა და სასმელსაც უკეთესი გემო ჰქონდა. ჰოდა, ჩვენც თავი გავიგიჟეთ.

**- და მერე რუმენიგეს ესაუბრებოდით, არა?**

**ბასლერი:** ჰო. კალეს ცოლთან ერთად მაგიდაზე ვიცეკვე. მერე რუმენიგე მომიახლოვდა და მითხრა, მარიო, როცა მოიცლი, უნდა ვილაპარაკოთ, მინდა, რომ სამუდამო კონტრაქტი გაგიფორმოო. მე ვუპასუხე, მოგვიანებით დავილაპარაკოთ-მეთქი. რამდენიმე თვის შემდეგ კი მიუნხენი დავტოვე. გამაგდეს, რაღაც სისულელის გამო, თითქოს რომელიღაც პიცერიაში ვიჩხუბე. რა სისულელეა, არსად მიჩხუბია. მიმაჩნია, რომ უსამართლოდ მომექცნენ! არავინ მიცემია, უბრალოდ, ჩემი გაგდება უნდოდათ...

**- ჰერ ჰიტცფელდ, როგორ შეიცვლებოდა თქვენი ცხოვრება, ეს ფინალი რომ მოგეგოთ?**

**ჰიტცფელდი:** ეს ფინალი რომ მოგვეგო, რამდენიმე დღის შემდეგ, გერმანიის თასის ფინალსაც მოვიგებდით, რომელშიც „ვერდერთან" დავმარცხდით. შესაბამისად, „ბაიერნში" გატარებულ პირველივე სეზონში ჰეთ-თრიკს შევასრულებდი.

**ეფენბერგი:** 1999 წლის ფინალი რომ მოგვეგო, 2001 წელს ჩემპიონთა ლიგას ველარ მოვიგებდით, რადგან დანაყრებულები ვიქნებოდით.

**გოტფრიდ ლენცი**

### 26 მაისი, 1999 წელი, ბარსელონა, კამპ ნოუ

**მანჩესტერ იუნაიტედი–ბაიერნი 2:1**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** შმაიხელი – გ. ნევილი, სტამი, იონსენი, ირვინი – ბექჰემი, ბატი, ბლომკვისტი (67. შერინგემი), გიგზი – იორკი, კოული (81. სოლსკიაერი).

**ბაიერნი:** კანი – ბაბელი, ლინკე, მათეუსი (80. ტ. ფინკი), კუფური, ტარნატი – იერემისი, ეფენბერგი – ბასლერი (89. სალიჰამიჯიჩი), ციკლერი (71. შოლი) – იანკერი.

**გოლები:** 0:1 ბასლერი (6), 1:1 შერინგემი (90), 2:1 სოლსკიაერი (90)

**მსაჯი:** პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

**მაყურებელი:** 90 000






## უცხოური ფეხბურთი

# მიშელ პლატინი
# ცხოვრება, როგორც მატჩი




*(გაგრძელება)*

მონდომებით ვალაგებთ ჩემოდნებს და ვალიადოლიდში გადასასვლელად ვემზადებით. ეს ყველაფერი ცუდი ფიქრებისგან გვათავისუფლებს. ალბათ, აეროპორტში ფრანგი გულშემატკივრები გველოდებიან. ისინი აქ სპეციალური ჩარტერული რეისებით ჩამოვიდნენ.

რა თქმა უნდა, მათ აქვთ იმედგაცრუების საბაბი. მოღუშული სახეებით გვიყურებენ, დროშებს არ აფრიალებენ. სავარაუდოდ, სტვენას აგვიტეხავენ. მაგრამ არა, ისინი უბრალოდ გულდაწყვეტილები არიან საკუთარი თავის გამო, რადგან საყვარელი გუნდის შესაძლებლობებში ეჭვი შეეპარათ და რა თქმა უნდა, ჩვენ გამოც. ისინი მოგვიწოდებენ საკუთარი ვალი ავასრულოთ, გვარწმუნებენ იმაში, რომ ჩემპიონატი სულ ახლახან დაიწყო და ჯერ არაფერია დაკარგული, რომ თასი მხოლოდ ყველაზე ამტან და მამაც გუნდს შეხვდება. მათ სჯერათ ჩვენი წარმატების. გულშემატკივრებმა კარგად იციან ყველა ჯგუფის შემადგენლობა. მათ შეადგინეს საკუთარი პროგნოზები და ხმამაღლა გვიკითხავენ იმ თორმეტი გუნდის სახელს, რომლებიც გასავარდნად არიან განწირულნი და სხვა თორმეტი ნაკრების სიას, რომლებიც აუცილებლად მოხვდებიან შემდეგ წრეში. ჩვენ წინასწარ გვაკუთვნებენ ტრიუმფატორთა კატეგორიას. სიმპათიური ბიჭები არიან...

პრინციპში, ქუვეითთან და ჩეხოსლოვაკიასთან დარჩენილ მატჩებში ოთხი შესაძლებლიდან ოთხი ქულის მოპოვება გვჭირდება. შესაძლოა, სამი ქულაც გვეყოს, რადგან მომდევნო დღეს ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ფრედ ითამაშეს და ქულები გაიყვეს.

არ არის ცუდი ნიშანი.

21 ივნისი. ორშაბათი. დღეს 27 წელი შემისრულდა. ახალი კვირა საფრანგეთისა და ქუვეითის მატჩით იწყება. მაგრამ რით დასრულდება ეს დღე? მადრიდში გამგზავრებით თუ იძულებითი არდადეგებით, როგორც ეს 1978 წელს მოხდა?

**იდალგომ**, რომელიც ყოველ საღამოს რვეულში წერს ჩემპიონატის შესახებ საკუთარ შთაბეჭდილებებს, საფრანგეთისა და ინგლისის შეხვედრიდან გარკვეული დასკვნები გამოიტანა და 50 პროცენტით გადაახალისა გუნდი (მეკარის გამოკლებით). **ამორო** მარჯვენა მცველის ადგილს იკავებს. **ჟანვიონი ტრეზორის** გვერდით სტოპერი ხდება, **ჟენგინი** მოედნის ცენტრში ითამაშებს, **ლაკომბი** ტრავმირებულ **როშტოს** შეცვლის, **სიქსი** მარცხენა ფლანგზე ითამაშებს **სოლერის** ნაცვლად, რომელიც მარჯვენა ფლანგზე გადავა.

ბილბაოს შემდეგ ნელ-ნელა გონს მოვდივართ. და შედეგიც არ აყოვნებს. შესვენებამდე ორი გოლი გაგვაქვს. ერთს ჟენგინი იტანს (რომელიც ჯარიმების შესრულებაში თითქმის არაფრით ჩამომივარდება), მეორეს - მე. მეორე ტაიმში მესამე გოლი **სიქსის** ანგარიშზეა...

მატჩის შემდეგ, საღამოს, ჩვენს „რეზიდენცია „ელ-მონტიკოში" ინტიმურ გარემოში ტორტი შემოაქვთ, რომელიც ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავად 27 სანთლით არის მორთული. სასიამოვნო ყურადღებაა. მაგრამ მეორე დღეს, რესტორნის კუთხეში **ტიგანას** ვხედავთ, რომელიც ყველასგან განცალკევებით ზის (ის ქუვეითთან არ თამაშობდა). მოულოდნელად, ის ჩვენ თვალწინ პაკეტს იღებს და იქიდან ტორტის ნაჭერი ამოაქვს. ჯიბიდან სანთელს იღებს და სანთებელათი ანთებს. ანთებული სანთელი ყველას ყურადღებას იპყრობს. ტიგანა საზეიმო გამომეტყველებით აცხადებს: *„დღეს მეც დაბადების დღე მაქვს, მაგრამ არავის მოუვიდა თავში მისი აღნიშვნა. ასეთ შემთხვევაში, იძულებული ვარ, თავად მივულოცო საკუთარ თავს იუბილე".*

კლუბის ადმინისტრაცია დაბნეულია. ეს არ უნდა გამოპარვოდათ. შექმნილი უხერხულობის მოგვარებას ვერც **მიშელ იდალგოს** დიპლომატიური სიტყვები შველის და ვერც ჩვენი წარმატებული გამოსვლის ფაქტი. გარდა ამისა, ტიგანა გუნდში სიტუაციის არევის ერთადერთი მოყვარული არ არის. სხვა მოთამაშეებიც, ძირითადად სათადარიგოები, ერთობიან იმით, რომ ჟურნალებისა და გაზეთების ის ფრაზები მოჰყავთ, რომელშიც ჩემი მისამართით „მოწამლულ ისრებს" ისვრიან.

ეჭვგარეშეა, რომ სათადარიგოთა ბრალდება სერიოზულად არ უნდა აღვიქვა. ისინი აცხადებენ, რომ მე თითქოს იდალგოს ფუნქციებს ვითავსებ და საკუთარი გუნდის ჩამოყალიბებას ვცდილობ.

გადავწყვიტე პასუხი გავცე. 24 ივნისის გაზეთ „ეკიპში", რომელმაც სიტყვასიტყვით დაბეჭდა ჩემი განცხადება, შეიძლება წაიკითხოთ:

*„საფრანგეთის ნაკრებში ბევრი ფეხბურთელი გამოთქვამს თავის უკმაყოფილებას. მათ მიაჩნიათ, რომ თუ 22 ფეხბურთელს შორის მოხვდნენ, ეს ავტომატურად აძლევთ მინდორზე გასვლის უფლებას.*

*მე მადანაშაულებენ იმაში, რომ თურმე გუნდის შემადგენლობას განვსაზღვრავ, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ - ამ საქმით რომ ვყოფილიყავი დაკავებული, არავითარ შემთხვევაში არ ვითამაშებდი ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ თავდასხმის ცენტრში... ხაზს ვუსვამ იმას, რომ იგივე მოთამაშეები, რომლებიც დღეს მაკრიტიკებენ, ჩემით კმაყოფილი იქნებოდნენ, როცა ჯარიმიდან გოლი გავუტანე პოლანდიის ნაკრებს. ისინი კიდევ უფრო კმაყოფილები დარჩებოდნენ, როცა რეკლამიდან შემოსული თანხების განაწილებაში მივიღე მონაწილეობა. როგორც ჩანს, მათ ეს ყველაფერი დაივიწყეს... მაგრამ რას ვიზამთ, ნებისმიერ ჯგუფში მოიძებნება რამდენიმე ვირი!"*

ჩემს განცხადებას ცივი შხაპის ეფექტი ჰქონდა.

1982 წლის თებერვალში, საფრანგეთისა და იტალიის შეხვედრამდე, რეკლამიდან შემოსული ფულის განაწილებაში ჩემი ჩარევა თითოეულ მოთამაშეს 150 ათასი ფრანკის გარანტიას აძლევდა. ივნისში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებამდე, „ფრანს ფუტბოლ პრომოსიონის" წარმატებული მოღვაწეობის წყალობით, ეს თანხა 250 ათასამდე გაიზარდა, მეოთხედფინალური ეტაპის წინ კი 350 ათასზე ავიდა. საერთო ჯამში, ნახევარფინალში საფრანგეთის ნაკრების სავარაუდო გასვლას, შეიძლება 420 ათასი ფრანკი მოგება მოეტანა, საბოლოოდ კი თითოეულ ჩვენგანს ესპანეთიდან შეეძლო „მრგვალი" თანხა - 600 ათასი ფრანკი წაეღო.

მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობდა, პირიქით, ყველას გულზე მოხვდა რეპლიკა ვირების შესახებ, რომელსაც ნებისმიერ კონტექსტში ატრიალებდნენ.

ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა იდალგოს ასეთ შეკითხვას უსვამენ:

- პლატინიმ განაცხადა, რომ საფრანგეთის ნაკრებში ვირები არიან. ის ჟან ტიგანას გულისხმობდა?

მიშელ იდალგო განმარტებისთვის ჩემკენ ბრუნდება. მე ვპასუხობ:

- დიახ, ეს მართალია, ასეთი რამ ვთქვი, გაბრაზებული ვიყავი. ასეთ მდგომარეობამდე მიმიყვანეს.

- ტიგანას გულისხმობდი? - მეკითხება იდალგო.

- არა, ტიგანას არ ვგულისხმობდი.

მაშინ იდალგო ტიგანას მიუბრუნდა, მაგრამ ის პასუხობს:

- არა, მე არ მიმაჩნია საკუთარ თავს შეურაცხყოფილად. გარდა ამისა, სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ პლატინის შეეძლო ჩემი მისამართით ასეთი სიტყვები ეთქვა. მე რაც შემეხება, გულახდილად გეტყვით, რომ მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

ინციდენტი ამოწურულია.

მაგრამ ის კარგად ახასიათებს არაჯანსაღ და ეჭვიან ატმოსფეროს, რომელიც გუნდში იყო გამეფებული. კიდევ გაიჟღერებს სხვა ორაზროვანი განცხადებები, არაერთ მწარე ფრაზას წამოიძახებენ. და ყოველ ჯერზე, იდალგო დიპლომატიურ სვლებს მიმართავს. მაგალითად, როგორც ეს საფრანგეთისა და ავსტრიის მატჩის შემდეგ მოხდა, რომელიც ჩვენმა გუნდმა აშკარად ჩააგდო. მე იმ შეხვედრაში მონაწილეობას არ ვიღებდი, რადგან ჩეხოსლოვაკიასთან მატჩის შემდეგ ჰემატომა გამოჩნდა. ზოგიერთ კრიტიკოსს, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, იმის დამტკიცება სურდა, რომ საფრანგეთის ნაკრები **პლატინის** გარეშე გაცილებით კარგად თამაშობს.

იდალგო მხოლოდ სელექციონერი არ არის. ის შეთავსებით ფსიქოლოგიც უნდა იყოს. მისი ამოცანაა - შეამჩნიოს ერთის შეცდომები, მეორის - ჩავარდნა... მის მოვალეობას წარმოადგენს აგრეთვე არასაჭირო მომენტში გუნდის ზოგიერთი ფეხბურთელის აგრესიის შემცირება.

ის თავისი შენიშვნებით ფურცელს ფურცელზე ავსებს. მას ღირსეული პრინციპების ამოუწურავი მარაგი გააჩნია, რომელთაგანაც ცხოვრების მეგზურად ნებისმიერის ამორჩევა შეიძლება. და აი, ის სერიოზულ სახეს იღებს და მორიგ რჩევა-დარიგებას გვაძლევს: *„ერთის მტკიცება არ შეიძლება ყველასთვის კანონი იყოს. ნუ განსჯი და არ განისჯები..."* ცოტა ხანში კი მორიგ ფრაზას ისვრის: *„ნუ განსჯი მას, ვინც ისრებს გიმიზნებს, მით უმეტეს, თუ მსროლელი ჩვენს რიგებში იმყოფება..."*

შესანიშნავი სიტყვებია.

მეორე ეტაპზე ავსტრიასთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩების წინ, საფრანგეთის ნაკრები მადრიდის ახლოს, პატარა სოფელში დაბანაკდა.

ჩრდილოეთ ირლანდიასთან შეხვედრის წინ, სტადიონ „ბესერილ-დელა-სერაზე" ვარჯიშებს შორის, ღრმად მორწმუნე ტრეზორი ღვთისმშობლის ტაძარში მეპატიჟება - კონცენტრაციისა და აზრების მოსაკრებად. ეკლესიის ადგილობრივი მსახური, 27 წლის ახალგაზრდა დონ **ლუისი** სპეციალურად ჩვენთვის აღებს ტაძრის კარს. მარიუსი მეუბნება: *„არ შემიძლია ირლანდიელთა წინააღმდეგ მოედანზე გასვლა - ისინი ხომ პროტესტანტები არიან..."*

ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩამდე ორი საათით ადრე, პირველი ვჯდები ავტობუსში. როგორც ყოველთვის, მარჯვნივ, პირველ რიგში ფანჯარასთან ვიკავებ ადგილს, ჟერარ სოლე კი, რომელმაც ბილბაოში ჩვენი ღირსება გადაარჩინა, ასევე ჩვეულებისამებრ, ჩემს გვერდით ჯდება.

მადრიდამდე ერთი საათის სავალი გზაა.

გზაში უკვე ნაცნობ შენობებს გავცქერი. აი, სამხედრო ბანაკი „მირაფლორესდელა-სერა", აქ კი მოსახვევში „ელ ორროსო" ჩანს.

ყოველ გზაჯვარედინზე ვითვლი, რამდენი დაგვრჩა სტადიონამდე მისასვლელად. ნახევარი საათი...

თხუთმეტი წუთი...

ათი წუთი...

ჟერარ სოლეს, რომელიც მუდმივად ცდილობს ჩემთან საუბრის გაბმას, ერთი და იმავე სიტყვებით ვპასუხობ: *„მოვიგებთ... ჩვენ მოვიგებთ... ჩვენ წავალთ სევილიაში... ჩვენ წავალთ სევილიაში... ჩვენ გავალთ ნახევარფინალში".*

როგორც იქნა, გამოჩნდა მდინარე მანსანარესი და ბეტონის არენა. მონუმენტური, ცივი. ავტობუსი გასახდელების კართან ჩერდება... ჩვენგან ოდნავ მოშორებით, პოლიციელები ფრანგ გულშემატკივრებს აკავებენ. ისინი ბასკური ფოლკლორული ანსამბლის მუსიკას სიტყვებს აყოლებენ: *„წინ, სამფეროვნებო!"*

ჩრდილოირლანდიელთა მამაცობის მიუხედავად, ჩვენ ისინი 4:1 დავამარცხეთ. თითქოს სტადიონზე ხმაური სევილიასაც კი მისწვდა, სადაც ჩვენ დიად გერმანიის ნაკრებთან გველის შეხვედრა.

ერთი საათის შემდეგ, იმ სტადიონის წინ ავტობუსში ვზივარ, სადაც ჩვენ ნამდვილი გმირობა ჩავიდინეთ. საკუთარ თავს უფლებას ვაძლევ და სიგარეტს ვაბოლებ. ბოლს ვუშვებ და ბოლომდე ვერაფრით ვაცნობიერებ ჩვენს გამარჯვებას.

სამი წლის ვიყავი, როცა საფრანგეთი პირველად გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში.



*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**

ჩოგბურთი

# აკადემია გამოცდის

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე მიმდინარეობს ყოველწლიური ღია ტურნირი აკადემიის პრიზზე., სადაც ძირითადად თბილისელი ჩოგბურთელები ცდიდნენ ხოლმე ძალებს. წლეულს, გარდა თბილისელებისა, კორტებზე ვხედავთ ქუთაისელ, აჭარელ, რუსთაველ, თელაველ, ზუგდიდელ და ოზურგეთელ ჩოგბურთელებს. თბილისში ჩამოსვლა ერთმა რუსმა და ოთხმა აზერბაიჯანელმა სპორტსმენმაც ისურვა. მათი სტუმრობით შეჯიბრებამ საერთაშორისო მასშტაბი მიიღო. გამორჩეული წლევანდელი ღია პირველობა იმითაც არის, რომ მონაწილეთა რიცხვმა აქამდე არნახულ ნიშნულს მიაღწია - 205 მონაწილეა თავშეყრილი.

ტურნირი ასაკობრივია და 10-12-14 და 16-წლამდელთა ჯგუფად არის დაყოფილი, როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა შორის. ასაკობრივი დაყოფა იმით არის განპირობებული, რომ ჯერ ერთი - ჩოგბურთელთა შორის ძალთა თანაფარდობა იყოს მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული და მეორეც: ევროპაში 14 და 16-წლამდელთა შორის ძალიან პრესტიჟული ტურნირები იმართება, მათ შორის ევროპის ჩემპიონატიც.

ევროპაში თამაშის უფლების მოსაპოვებლად ჩოგბურთელები ამ და სხვა ტურნირებში ჩასათვლელ ქულებს იღებენ და საუკეთესონი ასე შეირჩევიან. შარშან ვინც თავი გამოიჩინა, ისინი უკვე იმკიან მოსავალს - **ნინო სუჯაშვილი** და **ალექსანდრე მეტრეველი** თვენახევრიან შეკრებაზე იმყოფებიან ევროპელ თანატოლებთან ერთად; შეკრების დასრულების შემდეგ იტალია-საფრანგეთში ხუთ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ. ცხოვრებისა და ტურნირში მონაწილეობის ყველა ხარჯს ევროპის საჩოგბურთო ფედერაცია იღებს.

წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი 14-წლამდელებში ანკარაში გაიმართება, ხოლო 16-წლიანებს მოსკოვი უმასპინძლებს.

ასაკობრივი ჩემპიონატები პრესტიჟს ყოველწლიურად იმაღლებს და ბრძოლებიც უფრო მძაფრდება. დასტურად ისიც გამოდგება, რომ გარდა სუჯაშვილისა და მეტრეველისა, ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე ყველა უძლიერესს ვხედავთ. უკვე ნახევრფინალური მატჩები იმართება და შეიძლება ითქვას, რომ ფავორიტები მძლავრობენ, რაც დასკვნით ეტაპს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

თამაშები დილს, ათი საათიდან იწყება.

**ზვიად შათირიშვილი**

# ანა პარიზს დაემშვიდობა, სხვები ყოჩაღობენ

„როლანგაროსის"საკვალიფიკაციო ბადის მეორე წრე უიღბლო აღმოჩნდა საქართველოს პირველი ჩოგნისთვის. **ანა ტატიშვილმა** (175) გერმანელ **კარმენ კლაშკასთან** (191) ყველა კომპონენტში დათმო ორთაბრძოლა - 2:6, 0:6. წინადღეს ანამ მე-2 ნომრად განთესილი იტალიელი **მარია ელენა კამერინი** (98) დაამარცხა და ტურნირზე პირველი სენსაციაც მოახდინა, ამის შემდეგ არავინ ელოდა ქართველისგან ასეთ ულიმღამო თამაშს, მით უმეტეს რეიტინგით მასზე უკან მდგომ ჩოგბურთელთან. ანამ პირველი სეტი 37 წუთში დათმო, მეორეში კი მხოლოდ 24 წუთი გაძლო. ანას მატჩში 5 ორმაგი შეცდომა მოუვიდა და მან 5 გეიმი დათმო თავის მოწოდებაზე, მოკლედ კლაშკას წინააღმდეგ მის არსენალში ერთი საჩოგბურთო იარაღიც არ აღმოჩნდა. მაშ ასე, საფრანგეთის ღია პირველობას, რომლის საპრიზო ფონდი 15 მილიონ ევროზე მეტია, ერთადერთი ქართველიც გამოაკლდა.

ხარკოვში 25-ათასიანი ტურნირის ნახევარფინალში 18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (324) გავიდა. მე-5 ნომრად განთესილმა კალაშნიკოვამ ტურნირის პირველი ჩოგანი ბელარუსი **ქსენია მილევსკაია** (268) დაამარცხა - 7:5, 4:6, 6:3. ნახევარფინალში ჩვენებურის მეტოქე მასპინძელი **იანა პივენია** (498). ოქსანა წყვილთა თანრიგშიც ნახევარფინალშია რუს **მარინა შამაიკოსთან** (484) დუეტში.

კარგად თამაშობს **მანანა შაფაქიძეც** (723), იგი ანთალიის ტურნირის (10 ათასი $) ნახევარფინალშია გასული. მეოთხედფინალში მე-8 ნომრად განთესილმა შაფაქიძემ მე-4 ნომრად განთესილ რუს **ნადეჟდა გუსკოვას** (447) აჯობა, 6:2, 3:1-ზე მანანას სასარგებლოდ გუსკოვამ ბრძოლა აღარ გააგრძელა. ნახევარფინალში შაფაქიძე მე-5 ნომრად განთესილ ბრიტანელ **ამანდა კარერასს** (492) გაეჯიბრება. წყვილებში ქართველმა და ბელარუსმა **ვოლჰა დუკომ**, რომლებიც მე-2 ნომრით განთესეს, ნახევარფინალში წააგეს შვედურ დუეტთან **(კლაკენბერგი, რომა)** - 2:6, 4:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური



საქა-რთველო

# ოსაკაში ერთი მოვიგეთ, ერთიც წავაგეთ

იაპონიის ქალაქ ოსაკაში, მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპის გათამაშება დაიწყო, სადაც მხოლოდ ქალთა წყვილები ასპარეზობენ. პლაჟბურთის ქართულმა დუეტმა **საქა-რთველომ**, შეჯიბრების პირველ დღეს ორი შეხვედრიდან ერთი მოიგო და ასპარეზობას აგრძელებს.

ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც ტურნირზე მე-20 ნომრად არიან განთესილი, პირველივე შეხვედრაში მძიმე ბრძოლა გადაიტანეს მე-13 ნომრად განთესილ ჰოლანდიურ დუეტთან **-ვან იერსელი-კეიზერი**. პირველი სეტი საქა-რთველომ - 18:21 დათმო. მეორე და მესამე სეტში კი, მეტოქეს ორ-ორი ქულით აჯობა - 21:19 და 15:13.

მომდევნო შეხვედრაში მეტოქედ საქა-რთველოს ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, მე-4 ნომრად განთესილი ბრაზილიური დუეტი **რენატა-ლეაო** ერგო. წინააღმდეგობის გაწევა ჩვენმა ფრენბურთელებმა მხოლოდ მეორე სეტში შეძლეს, რომელიც - 19:21 წააგეს. პირველ სეტში კი სხვაობა ანგარიშში 7 ქულა იყო - 14:21.

დღეს საქა-რთველო, ტურნირზე 30-ე ნომრად განთესილ რუსულ წყვილს, **ვასინა-ბოიკოს** დაუპირისპირდება. ჩვენი ფრენბურთელები წაგების შემთხვევაში ტურნირს დაემშვიდობებიან.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ყინულის ჰოკეი

# ქართული დელეგაცია ერევანში

მსოფლიოს ჰოკეის ფედერაციაში (IIHF) მიღების შემდეგ ქართულ ჰოკეის წინსვლის რეალური პერსპექტივები გაუჩნდა. დიდია იმის შანსი, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ასპარეზობის ნება დაგვრთონ. მანამდე კი იმ პროექტის განხორციელებაზე მიმდინარეობს მუშაობა, რომელსაც ჩვენი ჰოკეის მესვეურები მსოფლიო ოჯახში მიღებამდე დიდი ხნით ადრე აპირებდნენ.

ლაპარაკია კავკასიის ლიგის შექმნაზე, რომლის შესახებაც "ლელოს" მკითხველი კარგადაა ინფორმირებული. ამ საკითხზე საქართველოსა და სომხეთის ჰოკეის ფედერაციები აქტიურად მუშაობენ. ერევანში იმყოფებოდნენ საქართველოს ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი **დენის დავიდოვი**, გენერალური მდივანი **ლაშა ცაგარეიშვილი** და მენეჯერი **სანდრო ვაშაკიძე**. სომხებმა სტუმრებს საკუთარი ინფრასტრუქტურა გააცნეს, დაათვალიერებინეს დარბაზი, რომელიც უმაღლეს დონეზეა მოწყობილი. კავკასიის ლიგის დეტალები შემუშავების სტადიაშია, დიდია იმის ალბათობა, რომ ლიგა ამ ზაფხულს ბათუმში დაიწყოს.

სომხეთისა და საქართველოს ფედერაციების ხელმძღვანელთა შეხვედრის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი თამაშია. მომავალ აპრილს მსოფლიო ჩემპიონატის მესამე დივიზიონის B ჯგუფს ერევანი მასპინძლობს და ქართული მხარე ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს ისტორიული შანსი ხელიდან არ გაუშვას. წესით, საამისო სახსრების მობილიზება შესაძლებელი უნდა გახდეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ჰოკეის ფესტივალი ოზურგეთში

ამ დღეებში მსოფლიოს ჰოკეის ფედერაციის წევრ ყველა ქვეყანაში ერთდროულად ჩატარდა ფესტივალი დარბაზის ჰოკეიში, რომელშიც დამწყები ჰოკეისტები მონაწილეობდნენ. მსოფლიოს ფედერაციის ინიციატივას ქართველმა ჰოკეისტებმაც აუბეს მხარი და საკმაოდ ფართომასშტაბიანი ფესტივალი ჩაატარეს, ოზურგეთის სპორტის სასახლეში 200-ზე მეტი ბავშვის მონაწილეობით. იასპარეზეს აფხაზეთის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, აჭარისა და ქუთაისის ჭაბუკთა გუნდებმა. *„სამი დღის განმავლობაში ბავშვებმა ბევრი რამ ისწავლეს. ანალოგიური ღონისძიების ჩატარებას აგვისტოში ბათუმში ვგეგმავთ, სადაც თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჭაბუკი ჰოკეისტებიც იქნებიან მოწვეულნი."* - განაცხადა საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ავთანდილ თევდორაძემ.**

**დავით კოხრეიძე**

ხრიდოლი

# ქართული კრივი ქართულ ჯარში

2009 წლის დასაწყისიდან თავდაცვის სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ქართულ ჯარში ხელჩართული ბრძოლის ქართული სისტემის, ხრიდოლის დანერგვა დაიწყო. ჩატარდა საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი პირად-გუნდური პირველობა ხრიდოლის ოთხჭიდის ერთ-ერთ სახეობაში, ქართულ კრივში. გამარჯვება მოიპოვა სენაკის III ბრიგადამ.

შეიარაღებული ძალების პირველობას ორგანიზებას უწევდნენ ხრიდოლის ფედერაციის პრეზიდენტი **ნუკრი მჭედლიშვილი** და საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტი **კახაბერ ბასილია.**

**ლევან ჯანეზაშვილი**



გამარჯვებული სენაკის ბრიგადა

ქართული ჭიდაობა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარეკორდო რაოდენობით

ოლიმპიური ჩემპიონის — **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში გუშინ დამთავრდა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს პირველობა. საასპარეზოდ 1995-1996 წლებში დაბადებული 225 სპორტსმენი შეიკრიბა 25 ქალაქიდან და რაიონიდან.

**კვარცხლბეკი**

32 კგ. 1. **თემურ ნოზაძე** (ხაშური), 2. **ირაკლი კუპატაძე** (საგარეჯო), 3. **გურამ ზაქუტაშვილი** (ქარელი).

35. კგ. 1. **ალიკა ბოლქვაძე** (აჭარა), 2. **თორნიკე ნაგლიაშვილი** (თბილისი), 3. **გიორგი ვარდოსანიძე** (ზესტაფონი).

38 კგ. 1. **ვალერი ცერცვაძე** (ყვარელი), 2. **თამაზ ნოზაძე** (ხაშური). 3. **დავით ახალმოსულიშვილი** (გურჯაანი).

42 კგ. 1. **ივანე ჯავახიშვილი** (გორი), 2. **ბაჩანა ბოლქვაძე** (აჭარა). 3. **ალექსანდრე ანთელაძე** (თბილისი).

46 კგ. 1. **ლევან თანიაშვილი** (დუშეთი), 2. **გიორგი მურჯიკნელი** (ხაშური), 3. **თამაზ კირაკოზაშვილი** (საგარეჯო).

50 კგ. 1. **სოლომონ თედიაშვილი** (საგარეჯო), 2. **ვალერი პართენიშვილი** (ყვარელი), 3. **გიორგი ავანაშვილი** (მცხეთა).

55 კგ. 1. **გიორგი გუგულაშვილი** (თბილისი), 2. **იმედა ბეჟიტაშვილი** (კასპი), 3. **ჯუმბერ ჩიხიაშვილი** (ყვარელი).

60 კგ. 1. **გიორგი ტიტვინიძე** (თბილისი), 2. **სულიკო სეთურიძე** (თბილისი), 3. **თომა კალანდაძე** (ცაგერი).

66 კგ. 1. **ბექა დოლვანი** (თბილისი), 2. **დიმიტრი ძნელაშვილი** (თბილისი), 3. **ავთანდილ დურგლიშვილი** (თბილისი).

+66 კგ. 1. **გიორგი ლაზუაშვილი** (ზესტაფონი), 2. **ჯაბა კაპანაძე** (ქუთაისი), 3. **გურამ თუშიშვილი** (თბილისი).

— ბოლო წლებში ამდენი მონაწილე არც ერთ შეჯიბრებაზე არ გვყოლია, — გვითხრა ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **უშანგი ყურაშვილმა.** — ტრადიციების აღდგენა გრძელდება. დღევანდელი პირველობის სარეკორდო მაჩვენებელიც ამის დასტურია. ყოველმხრივ ვუწყობთ ხელს ეროვნული საუნჯის აღორძინებას. დუშეთში, გორში, მცხეთაში, საგარეჯოსა და ლაგოდეხში ჩოხები გავგზავნეთ. მალე დუბაიდანაც მივიღებთ შეკვეთილ ფორმებს და სხვებსაც დავურიგებთ.

— ქართული ჭიდაობის სექციები უკვე ფუნქციონირებს ბათუმში, ხულოში, ქედაში, შუახევის რაიონის სოფელ ვანში, — ჩაერია საუბარში ფედერაციის გენერალური მდივანი **იური იმერლიშვილი.** — დუშეთის რაიონის სოფელ ჭადიჯვარში ახალახან გახსნილი სექციის წევრებმა კი ამ პირველობაზე ერთი ოქროს მედალიც დაისაკუთრეს.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ცურვა

# ტონუსი მასპინძლობს

სანწყლოსნო სახეობათა სპორტკომპლექს „ტონუსში" გუშინ დაიწყო და ხვალ დამთავრდება თბილისის მერიის თასის ღია გათამაშება ცურვაში. მთავარი პრიზებისთვის ერთმანეთს ეჯიბრებიან თბილისის, ბათუმის, რუსთავის, გორის, საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლისა და ბაქოს წარმომადგენლები. გუშინ მედლების რვა კომპლექტი გათამაშდა.

**50 მ. გულაღმა ცურვა. გოგონები.** 1. **ელენა პაშუტინა** (33,32, ბაქო), 2. **ანა ლომინაძე** (34,83, თბილისი, „ლაგუნა ვერე"), 3. **სოფიო დეკანოსიძე** (35,82, თბილისი, „ტონუსი"). **ვაჟები.** 1. **გიორგი მთვრალაშვილი** (28,09, „ტონუსი"), 2. **თორნიკე სხილაძე** (29,28, „ლაგუნა ვერე"), 3. **ირაკლი ლომინაძე** (31,5, „ტონუსი").

**100 მ. თავისუფალი ყაიდა. გოგონები.** 1. **ნასტია გრივაჩი** (1.06,30, „ლაგუნა ვერე"), 2. **მაია ხრიკული** (1.08,19, „ლაგუნა ვერე"), 3. **გვანცა ხინჩეგაშვილი** (1.08,76, გორი). **ვაჟები.** 1. **ირაკლი რევიშვილი** (52.64, „ტონუსი"), 2. **გიორგი ბუხრიკიძე** (52,92, გორი), 3. **ბექა დეკანოსიძე** (55,75, „ტონუსი").

**200 მ. ბატერფლაი.** 1. **გიორგი მთვრალაშვილი** (2.11,25. „ტონუსი"), 2. **ელგუჯა ბაბაევი** (2.29,51, ბაქო), 3. **დავით მურჯიკნელი** (2.30,29, თბილისი, „დილომი").

**400 მ. კომპლექსური ცურვა.** 1. **ირაკლი შენგელია** (4.59,16, „ტონუსი"), 2. **ცოტნე დევდარიანი** (6.10,3, რუსთავი).

**800 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. **დავით სიხარულიძე** (9.17,20. „ტონუსი"), 2. **ცოტნე მაისურაძე** (10.31,59, რუსთავი), 3. **ლევან გამგებელი** (12.32,85 საჩხერე).

**4X50 მ. ესტაფეტა. გოგონები.** 1. „ლაგუნა ვერე (I)", 2. „ტონუსი", 3. „ლაგუნა ვერე (II)". **ვაჟები.** 1. ბაქო, 2. „ტონუსი (I)", 3. „ტონუსი (II)".



ირაკლი რევიშვილი ფინიშის შემდეგ

— მეორე წელიწადია, თბილისის მერიის თასის გათამაშებაში ვმონაწილეობთ, — გვითხრა აზერბაიჯანელთა მთავარმა მწვრთნელმა **ვაგიფ ნასიბოვმა.** — ამჯერად შვიდი სპორტსმენით ჩამოვედით. ამას წინათ, თქვენს მოცურავეებს ვუმასპინძლეთ განჯაში, ჰეიდარ ალიევის საერთაშორისო ტურნირზე. ყოველთვის მომიხარია თბილისში, რადგან აქ დავიბადე და გავიზარდე.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

კალათბურთი

ინტერვიუ ბესიკ ლიპარტელიანთან

# ავსტრიიით ვიწყებთ

დღეს 21 მაისია, გარდამავალი ეტა-პი შიდა ჩემპიონატიდან ეროვნულ ნაკ-რებზე. შაბათს დასრულდა საქართვე-ლოს მე-18 პირველობა და ივნისში და-იწყება სანაკრებო ციებ-ცხელება.

ასე რომ, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე მკითხველს დააინტერესებს ინტერ-ვიუ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლი-პარტელიანთან. იგი ეროვნულ ჩემპი-ონატზეც საუბრობს და ნაკრებზეც.

დიალოგი მე-18 პირველობის ზო-გადი შეფასებით დავიწყეთ.

- შარშან ჩემპიონატში 6 გუნდი თა-მაშობდა, წლეულს კი მათი რიცხვი ცხრამდე გაიზარდა. ეს სასიამოვნო ამ-ბავია, თუმცა მეორე მხარეა, ვინ რა ძა-ლის იყო. ვფიქრობ, პირველობას დაძა-ბულობა არ აკლდა, შეიკრიბა ოთხი-ხუ-თი თანაბარი ძალის გუნდი, რომელთა მატჩები საინტერესო სანახავი იყო. მა-გალითად, რეგულარული ეტაპის ბო-ლო ტურში მოვლენები ისე განვითარ-და, ბევრი ვერ იწინასწარმეტყველებდა. ერთმა ნაგებამ "ავიამშენი" "ენერჯის" ნახევარფინალში გადაყარა.

**- დაძაბული მატჩების პარალელუ-რად ბევრი არაფრისმომცემი შეხვედ-რა ვიხილეთ. როგორ ფიქრობთ, ჩემ-პიონატის სტრუქტურა ოპტიმალური იყო?**

- პირველობის დაწყების წინ ფედე-რაციაში დებულებას ვამუშავებთ. შემ-დეგ ყველა კლუბის წარმომადგენელს ვიბარებთ, დებულებას ვაცნობთ და შესწორებებისთვის ერთ თვეს ვაძ-ლევთ. თუკი ვინმეს რაიმე წინადადება აქვს, სიამოვნებით მივიღებთ. თუმცა, მე-18 პირველობის დაწყებამდე რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით, ზოგიერთმა გუნდმა სუპერლიგაში თამაში მის დაწყებამდე 2-3 დღით ადრე გადაწყვი-ტა. გეხსომებათ, შარშან ერთი წრე ერთ ტურაში ჩავტიეთ, რამაც არ გაამართლა და წლეულს ჩატარების სისტემა შევც-ვალეთ. იმის თქმა მინდა, რომ სტრუქ-ტურის დახვეწაზე ყოველწლიურად ვმუშაობთ, ვცდილობთ ჩვენს პირობებ-ში ოპტიმალურ ვარიანტს მივაგნოთ.

**- სადღეისო მონაცემებით, მომ-დევნო ჩემპიონატში ყველა ის გუნდი იქნება, ვინც მე-18 პირველობა ჩაამ-თავრა?**

- ამ საკითხზე ლაპარაკი ნაადრევია. სათუმელების გამოსვლა საეჭვოა. ჩემი ინფორმაციით, "ენერჯი", "ავიამშენი", საუ ითამაშებენ... აგრარული უნივერ-სიტეტის ასპარეზობა ჩემთვის სიურპ-რიზი იყო. სტუდენტები თავიდან ოთხე-ულში მოხვედრისთვის იბრძოდნენ, თუმცა, საბოლოოდ, ვერცხლის მედ-ლები მოიპოვეს.



ბესიკ ლიპარტელიანი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- საუ-მ შეიძლება გაისად საშინაო არენაზე ითამაშოს...**

- ჩვენი მიზანიც ესაა. ძალიან გვინ-და, მატჩებს ყველა გუნდმა საკუთარ სარბიელზე უმასპინძლოს. ეს პირვე-ლობას დამატებით ხიბლს სძენს. თუმ-ცა, სადღეისოდ მხოლოდ "ენერჯისა" და "ბათუმს" აქვთ საკუთარი დარბაზი. რაც შეეხება საუ-ს, მისი ხელმძღვანე-ლობა ახალი ფარების დაყენებას აპი-რებს, ასევე სურს ტრიბუნების, იატაკის მოწესრიგება და, ვიმედოვნებ, რომ სა-ბოლოოდ, სტანდარტების შესაბამის დარბაზს მივიღებთ.

**- ორიოდე სიტყვა ქვეყნის ჩემპიონ "ენერჯიზეც" ვთქვათ. გაისადაც აპი-რებენ ევროთასებზე თამაშს?**

- ევროტურნირების შესახებ ჯერ გადაჭრით არაფერი უთქვამთ. "ენერ-ჯის" ხომ სეზონი არ დაუსრულებია – 24 მაისს სუპერთასის მატჩს მართავს. ვფიქრობ, რუსთაველებმა სუპერლიგა დამსახურებულად მოიგეს. მათ შეკრუ-ლი და დისციპლინირებული გუნდი ჰყავთ. ლოგიკური იყო, მთელ სეზონში "ენერჯიმ" მხოლოდ ერთი მატჩი რომ წააგო.

**- ახლა განვლილი ჩემპიონატის მინუსებსაც შევეხოთ.**

- მეპატრონეები გუნდების საქმეებ-ში უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ. ერთი-ორი კლუბის გარდა, ხელმძღვა-ნელები ნაკლებად აქტიურები არიან და ასეთ გუნდებში ყველაფერი მწვრთნე-ლის დონეზე წყდება. ასევე მნიშვნელო-ვანია დისციპლინის საკითხი. ჩვენი მხრივ სასჯელის ფორმებში კორექტივა შევიტანეთ, თუ შარშან 500-დოლარია-ნი ჯარიმები იყო, ახლა 200-მდე შევამ-ცირეთ. სამაგიეროდ, გამოსატოვებე-ლი მატჩების რაოდენობა გავზარდეთ. თუკი იქნება ნორმალური დისციპლინა, სრულფაოვანი ვარჯიში და ლეგიონე-რების ჩამოსაყვანად ცოტა ფულიც გაჩნდება, ჩვენი ჩემპიონატიც წინ წაი-წევს.

**- გულშემატკივრის სიმცირეც გულდასაწყვეტია. იქნებ, ბილეთზე ფასის გაუქმებას ემოქმედა დადები-თად...**

- არა მგონია, ბილეთის ფასი, 1 ლა-რი, გულშემატკივრის სიმცირის მიზეზი იყოს. თანაც, დარბაზში ესოდენ სერიო-ზული რემონტი ჩატარდა და არენის პრესტიჟზე გულშემატკივრისთვის ყო-ველ ტურში უფასოდ შესვლა დადები-თად არ იმოქმედებს. ჩვენი მხრივ, სხვა-დასხვა ასაკის გუნდების მწვრთნელებს მთელი წლის განმავლობაში ვეუბნე-ბით, მობრძანდით ფედერაციაში და ბი-ლეთებს უფასოდ დაგირიგებთ-თქო. მწვრთნელი, რომელიც ბავშვს ავარჯი-შებს, თვითონ უნდა იყოს დაინტერესე-ბული სუპერლიგის მატჩებზე პატარე-ბის წაყვანით. უმაღლეს ლიგაში არის ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ბავშვებს გაკვეთილებად გამოადგებათ.

**- თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ნაკრებზე გადავერთოთ. მეგონა, "ფი-ნიქსმა" სეზონი ნაადრევად რომ და-ამთავრა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი ჩვენი ჩემპიონატის პლეი ოფებზე ჩამოვი-დოდა...**

- კარგი იქნებოდა, მაგრამ სეზონის დასრულების შემდეგ "ფინიქსში" იგორ კოკოშკოვი კიდევ უფრო დაიტვირთა – წინასადრაფტო მზადებაში აქტიურად არის ჩართული. ვფიქრობ, მწვრთნელ-მა საქართველოს პირველობის მონაწი-ლეთაგან ვინც სანახავი იყო, ყველა შარშან ნახა.

**- წლეულს გაფართოებულ შემად-გენლობას აღარ შეკრებს?**

- იგორ კოკოშკოვი მისთვის საინტე-რესო კალათბურთელებს აუცილებ-ლად ნახავს. იგი ზაფხულის მზადების გეგმას მალე გამოგვიგზავნის. მწვრ-თნელს გეგმის 80 პროცენტი დამტკი-ცებული აქვს, თუმცა შეიძლება ზოგი-ერთ ტურნირს სხვა ჩაენაცვლოს და როცა საბოლოოდ გადაწყდება, სად და როდის ვითამაშებთ, ფართო საზოგა-დოებას ნაკრების საზაფხულო მზადე-ბის გეგმას მაშინვე წარვუდგენთ.

**- გამოდის, რომ ჯერ არც ერთ ტურნირში თამაში არ გაქვთ საბო-ლოოდ გადაწყვეტილი?**

- სადღეისოდ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მოსამზადებელი ეტაპის პირველ ნაწილს ავსტრიაში გავივლით, სადაც ადგილობრივ გუნდთან ორ სა-კონტროლო მატჩს ჩავატარებთ. ავსტ-რიაში შარშანაც ვიყავით და მოსამზა-დებლად შესანიშნავი პირობები იყო. თან, ეს ქვეყანა ევროპის ცენტრში მდე-ბარეობს და ტურნირებისთვის ამ კონ-ტინენტის ქვეყნებში გადასვლა იოლი იქნება.

**- შარშან და შარშანწინ მარტშივე ცნობილი იყო, რომელ შეჯიბრებებში მივიღებდით მონაწილეობას...**

- წლეულს კრიზისი ბევრ ქვეყანას შეეხო და ტურნირებსაც ისეთი სიხში-რით არ ატარებენ. ამასთან, მნიშვნე-ლოვანი ფაქტია ისიც, რომ ევროპის ჩემპიონატი სექტემბერში იწყება და მასში მონაწილე გუნდები ჩვენთან შე-დარებით ვერან იარიბებიან. ზოგიერთი ნაკრები კი შესარჩევ ტურნირს ავგის-ტოს პირველ რიცხვებში იწყებს და მათ მზადებას ჩვენი შეკრების თარილები არ ემთხვევა. მაგალითად, იტალიელებმა ტურნირზე კი მიგვიწვიეს, მაგრამ შე-ჯიბრების მსვლელობისას საქართვე-ლოს ნაკრები შეკრებილი არც იქნება. ასეა თუ ისე, ვცდილობთ, რომ საქართ-ველოს ნაკრებს ამხანაგური მატჩები არ მოაკლდეს. ოფიციალური შეხვედ-რები 15 აგვისტოს (ლუქსემბურგთან მატჩით) იწყება და მანამდე მინიმუმ 5 ამხანაგურ თამაშს მაინც ჩავატარებთ.

**- ოთხივე ოფიციალური მატჩი სა-ქართველოში გვაქვს. ერთი ტურნი-რის თბილისში მოწყობაც არ იქნებო-და ურიგო.**

- ამ საკითხზეც გვიფიქრია. შესაბა-მისი სახსრები ნამდვილად გვაქვს, მაგ-რამ ძნელია, საქართველოში ჩამოსვ-ლაზე ძლიერი ნაკრებები დაითანხმო, მხოლოდ აზერბაიჯანსა და სომხეთს ხომ არ დავპატიჟებთ?! ელიტაში ფეხს როცა მოვიკიდებთ, მერე ჩვენთან სა-თამაშოდ ყველა სიამოვნებით გვეს-ტუმრება.

**- ნაკრების წევრებთან თუ გაქვთ კონტაქტი? წლეულს თუ ჩამოვა ყვე-ლა დროულად?**

- კალათბურთელებთან იგორ კო-კოშკოვსაც აქვს ურთიერთობა და ჩვენც. აქამდე მოთამაშეების შეკრებებ-ზე დაგვიანების მთავარი მიზეზი კლუ-ბებთან საკონტრაქტო საკითხების მო-უგვარებლობა იყო. სამწუხაროდ, დღეს-დღეობით ნაკრების თითქმის ყველა ლი-დერს სეზონის დასრულებასთან ერთად კონტრაქტის ვადაც ეწურება. ზაზა ფა-ჩულიას ოთხწლიანი ხელშეკრულება დაუსრულდა და იმედს ვიტოვებთ, რომ ახალ კონტრაქტს ნაკრების შეკრებამდე გააფორმებს. ნიკა ცქიტიშვილს ახლახან ვესაუბრე და მითხრა, რომ "ფუენლაბ-რადაში" დარჩენას აპირებს და ახალ ხელშეკრულებას მალე გააფორმებს. "კიევის" პრეზიდენტმა ალექსანდრ ვოლკოვმა მითხრა: თუ გუნდი დღევან-დელი სახით შენარჩუნდა, მანუჩარ მარ-კოიშვილთან ხელახალ კონტრაქტს გა-ვაფორმებო. მეორე საკითხია, თავად მა-ნუჩარი თუ დათანხმდება. ესტონეთში მოთამაშე გიორგი ცინცაძე და ვიქტორ სანიკიძე სეზონის დასრულების შემდეგ თავისუფალი აგენტები გახდებიან. თორნიკე შენგელიასაც სურს სხვაგან გადასვლა... ერთადერთი, ვისაც გარან-ტირებული კონტრაქტი აქვს, გიორგი შერმადინია. ასე რომ, სიტუაცია სახარ-ბიელო ნამდვილად არ არის, თუმცა იგორ კოკოშკოვს კალათბურთელებთან კონტაქტი აქვს და იმედს დავიტოვებ, რომ იგი გუნდს დროულად შეკრებს.

ლეგიონერები

# მეტრეველი სერია A-ს პლეი ოფში

ახალგაზრდა ქართველი ცენტრის, **ნი-ა მეტრეველის** "მონტეპასკიმ" იტალიის ირველობაზე მეოთხედფინალური სერი-ა პირველი მატჩი ჩაატარა. სიენელებმა ესაროს "სკავოლინის" უმასპინძლეს და ოლად სძლიეს – 94:51.

მესამე პერიოდის შემდეგ მასპინძლები 9:41-ს იგებდნენ და მწვრთნელმა **სიმონე იანიჯანიმ** მეოთხე რაუნდში მოედანზე ნი-ა მეტრეველი შეიყვანა. ნიკა თამაშში 37-ე უთზე ჩაერთო, თუმცა იქვე **ლეტალერმა** ეცვალა და მოედანზე ერთი წუთის შემდეგ აბრუნდა. ამჯერად მეტრეველი მოედანზე **ავრინოვიჩის** ნაცვლად შევიდა.

210 სმ სიმაღლის ქართველ ცენტრს სულ წუთი მოუგროვდა და დროის ამ მცირე მო-აკვეთში თითო მოხსნა-ფოლი ჩაიწერა.

იტალიაში ნახევარფინალური სერია ამ მოგებამდეა.

აქვე კიდევ ერთ ქართველ ახალგაზრდა ეფარეზე მოგახსენებთ. **გიორგი შარაბი-ე** ესპანეთის ჩემპიონატის მეორე მე-თხედფინალურ შეხვედრაშიც "ვალენსი-ა" განაცხადში მოხვდა, მაგრამ არც ამჯე-ად უთამაშია. შარაბიძის თანაგუნდელებ-ა "ბარსელონასთან" მეორე მატჩიც წაა-ეს (55:81) და გათამაშებას გამოეთიშნენ.



მანუჩარ მარკოიშვილი

# როცა კიევს მანუჩ ვერ შველის

უკრაინის პირველობაზე გაიმარ-თა ბრინჯაოს სერიის მეორე მატჩი. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში "კიევმა" იუჟნის "ხიმიკს" უმასპინძლა და 55:63 დამარცხდა.

ამ მატჩში ქიმიკოსებმა დამაჯე-რებლად ჩაატარეს მეოთხე პერიოდი და გამარჯვებულის ბედიც ბოლოს გამოარკვიეს.

წინა თამაშის მსგავსად დედაქა-ლაქელებს წინ **მანუჩარ მარკოიშვი-ლი** გაუძღვა, რომელმაც 35 წუთში 21 ქულა ჩააგდო, მაგრამ მისი მონაგარი მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნ-და. მანუ მეტსაც ითამაშებდა, ხუთი ფოლი რომ არ მიელო. თუმცა, მან გუნდისთვის დადებითი მაინც ბევრი გააკეთა – 6 მოხსნა, 1 შედეგიანი გა-დაცემა, 2 ჩაჭრა.

ბრინჯაოს სერიაში ანგარიში გა-თანაბრდა – 1:1. მომდევნო მატჩი 24 მაისს იუჟნიში გაიმართება. სერია სამ მოგებამდეა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

## მილოცვა

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან საიუ-ბილეო 70 წელს ულოცავს ვეტერან კალათბურთელს, სპორტის ოსტატს, საბ-ჭოთა კავშირის პრიზიორს, თბილისის სპორტის სასახლის ყოფილ გენერა-ლურ დირექტორს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსე-ბის ორდენის კავალერს ვალერი ლომაძეს

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 70 წელს ულოცავს ვეტერან კალათბურთელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს ვალერი ლომაძეს.



რაგბი | უნივერსიადა

# ვაკეს სტუდენტური შვიდკაცა ეწვია

დღეიდან მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონის სათადარიგო მოედანზე სტარტს აიღებს შვიდკაცა რაგბის მეორე ჩემპიონატი უმაღლეს სასწავლებლებს შორის.

რვა გუნდი ორ ჯგუფშია განაწილებული. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასულები ერთმანეთს ნახევარფინალებში დაუპირისპირდებიან.

A ჯგუფში იასპარეზებენ: ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა უნივერსიტეტი, ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემია და კონსერვატორია.

B ჯგუფში: საქართველოს ტექნიკური, აგრარული, სამედიცინო და თავისუფალი უნივერიტეტები.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვება ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა უნივერსიტეტმა მოიპოვა. მეორე ადგილი კი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ერგო.

ჯგუფური ტურნირის შეხვედრები 22 მაისს გაიმართება. პლეი ოფები კი, 25 მაისს შედგება.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს ჩემპიონატი | I ლიგა

**II ტური**

თიბისი (თბ)-ხულიგანა (თბ) 29:51, დევები (თბ)-დინამო ივერია (თბ) 38:13, ბაგრატი (ქუთ)-არწივები (ოზ) 37:6, აიეტი (ფოთი)-არმაზი (თბ) 5:36.

სატურნირო მდგომარეობა: 1. არმაზი - 4 ქულა, 2. ხულიგანა - 4, 3. ბაგრატი - 4, 4. დევები - 2, 5. დინამო ივერია - 0, 6. აიეტი - 0, 7. თიბისი - 0, 8. არწივები - 0.

მძლეოსნობა

# სპორტის დედოფლის მსოფლიო დღე



გიორგი ჭანიშვილის ფოტო

მსოფლიო მძლეოსნობის დღესთან დაკავშირებით ეროვნულ სტადიონზე „სპორტის დედოფლის" დღესასწაული გაიმართა 1992-1995 წლებში დაბადებული გოგონებისა და ვაჟების მონაწილეობით. საქართველოს 14 ქალაქისა და რაიონის 300-მდე წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 15 წლის **ლაშა ლულელაურმა**, რომელმაც სამხტომში თანატოლთა შორის საქართველოს რეკორდი (15.09 მ) დაამყარა. ლაშა ახმეტის რაიონის სოფელ ალვანიდანაა. მძლეოსნობაში მამამისი — **იუსუფ ლულელაური** ავარჯიშებს. ნიჭიერი სპორტსმენისთვის ეს პირველი წარმატება არ არის და, იმედია, მომავალშიც ბევრჯერ გაგვახარებს. თავი ისახელა ზუგდიდელმა **ბაჩანა ხორავამ**, რომელმაც 200 მეტრზე რბენაში ახალგაზრდებს შორის საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა. ბაჩანა ჯერ **რეზო ბუკიასთან** ვარჯიშობდა, ამჟამად **ანდრო ბედუკაძესთან** იმაღლებს ოსტატობას.

სხვა გამარჯვებულები: **გოგონები. 80 მ. სალომე სირაძე** (10,9, ქუთაისი), **100 მ. ლიკა ლოლუა** (12,8. ფოთი), **150 მ. სოფო ჩალაშვილი** (20,2, თბილისი), **200 მ. ლიკა ლოლუა** (26,4), **400 მ. თინათინ პაპუაშვილი** (1.01,0, ბორჯომი), **800 მ. თინათინ პაპუაშვილი** (2.22,3), **400 მ თარჯრბენი. თეა ფაცურია** (1.08,3 ფოთი), **1000 მ. ანიჩკა მურადიანი** (3.33,9, ახალციხე), **1500 მ. სოფო ჩოჩნიძე** (5.93,1, ბორჯომი). **ბადრო. ნათია ნაჭყებია** (22,70 მ., ფოთი), **სალომე რიგიშვილი** (46,59 მ., თიანეთი), **სამხტომი. ლიკა დვალიშვილი** (11.64 მ, თბილისი), **ბირთვი. ხატია ხურცია** (11,05 მ. ხონი), **შუბი. ხატია ხურცია** (27,36 მ.), **სიგრძეზე ხტომა. ანა ვახტანგაძე** (4,53 მ თბილისი), **მაია გოგოლაძე** (5,42 მ. თბილისი).

**ვაჟები. 80 მ. გიორგი აზარაშვილი** (9,9, თბილისი), **150 მ. გიორგი აზარაშვილი** (18,4), **100 მ. ბაჩანა ხორავა** (10,9. ზუგდიდი). **200 მ. სანდრო გაბუნია** (23,0, თბილისი). **400 მ. ნიკა კარტავცევი** (50,8, ოზურგეთი) **ლუდვიკ ზილბერშტეინი** (50,2, ახალციხე), **800 მ. გიორგი ზილბერშტეინი** (1.59,1, ახალციხე), **ანდრანიკ მატინიანი** (1.56,0, ახალციხე), **1000 მ. თორნიკე შევჩენკო** (3.18,1, თბილისი), **1500 მ. დავით ხარაზიშვილი** (4.32,7, თბილისი), **3000 მ. დავით ხარაზიშვილი** (10.00,9). **სიმაღლეზე ხტომა. გიორგი გეგეშიძე** (1,65 მ, მარტვილი), **ზურაბ გოგოჭური** (1,95 მ. თბილისი), **სამხტომი. ოთარ ხაჭაპურიძე** (14,14 მ. თბილისი). **ბირთვი. ლევან წიკლაური** (12,44 მ. თბილისი), **გიორგი ბედოშვილი** (16,69 მ. თბილისი). **შუბი. შოთა იმედაძე** (37,04 მ. თბილისი), **ბადრო. გიორგი გოგოლაშვილი** (35,61 მ., ოზურგეთი), **გიორგი ბედოშვილი** (48,20 მ. თბილისი), **სიგრძეზე ხტომა. ლაშა ლულელაური** (7,07 მ. ახმეტა), **ოთარ ხაჭაპურიძე** (6,82 მ. თბილისი).

— ასპარეზობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ნიჭიერი თაობა მოდის, — გვითხრა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **თამაზ მდინარაძემ**. — დებულების თანახმად, პირველ ადგილზე გასული ახალგაზრდა სპორტსმენების შედეგები მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში გადავაგზავნეთ, სადაც თავს მოიყრის 210 ქვეყნის წარმომადგენელთა მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც 10 საუკეთესოს 15-23 აგვისტოს ბერლინში მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრებად მიიწვევენ. მსგავსი პატივი ადრე **ნინო ბაგაშვილსა** და **სოფო მაჭავარიანს** ხვდათ. ამჯერად ვის გაულიმებს ბედი, ორიოდე კვირაში გვეცოდინება.

**— შეჯიბრებაზე ახალი დისტანციებიც ვიხილეთ...**

— საერთაშორისო ფედერაციამ სკოლის მოსწავლეებისთვის სპეციალურად შემოიღო 80 და 150 მეტრზე რბენები მძლეოსნობის პოპულარიზაციისა და მოზარდების მოზიდვის მიზნით. ამართლებს კიდეც. ამ ორ დისტანციაზე 150-ზე მეტმა გოგონამ და ვაჟმა იასპარეზა.

ვაჟა დანელია

სუმოს სამყარო | ნაცუ ბაშო (10-24 მაისი)

# მონღოლები დოჰიოს ცენტრში

## ქართველებს თითო მოგება აშორებთ

მაისის ბაშოზე 12 დღე მიილია და ორმა მონღოლმა აქამდე დაუმარცხებლად მოაღწია, დღეს ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად წააგებს, რადგან ჩემპიონი **ჰარუმაფუჯი** (12-0) დიდი ჩემპიონის, **ჰაკუჰოს** (12-0) წინააღმდეგ დადგება დოჰიოზე. თუკი ჰაკუჰო მოიგებს, ის ერთპიროვნულად გალიდერდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ ერთ მონღოლს, დიდ ჩემპიონ **ასაშორიუს** მათი დაწევის შანსი უჩნდება, თუმცა მასაც არანაკლები სირთულის ამოცანა აქვს გადასაჭრელი - უნდა მოუგოს ბულგარელ გოლიათ **კოტოოშუს**. მოკლედ, მონღოლები, ბულგარელი... და სად არიან იაპონელები?

გუშინ ელიტის ორი ქართველიდან ერთმა გაგვახარა, 28 წლის **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** უვატედაშინაგეს ილეთით მაყურებელთა დარბაზში მოისროლა ივაკიამა, რომელიც, არც მეტი არც ნაკლები, 170 კილოგრამს იწონის! კოკაის სასიცოცხლოდ ესაჭიროება კიდევ ერთი გამარჯვება მაისის ბაშოზე და ყველაფერი კარგად იქნება - მისი ბალანსი 7-5-ია. ერთი მოგება დადებითი ბალანსის დასაბევებლად ელიტის ყველაზე ახალგაზრდა რიკიშის, **ლევან გორგაძესაც (ტოჩინოშინი)** ჰყოფნის. სამწუხაროდ, გუშინ ლევანმა მონღოლ **ასასეკირიუსთან** წააგო. „წითელმა ურჩხულმა" მიწოლით გაიყვანა ლონიერი ქართველი წრიდან. იმედია, დღეს ორივე ჩვენებური შეასრულებს პროგრამა-მინიმუმს და გადამწყვეტ, მე-8 გამარჯვებას იზეიმებს.

### ჯულელი წინ წავა

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში წარმატებული აღმოჩნდა მაისის ბაშო 22 წლის **თეიმურაზ ჯულელისთვის (გაგამარუ)**. მართალია, ჩვენებურს ერთხელაც მოუწევს ტოკიოს დოჰიოზე ასვლა, მაგრამ მიზანი მიღწეულია - გუშინ მან მძლავრი ოშიდაშით მოუგო მე-12 მაკუშიტა **დაიუბუს**. გაგამარუმ მეოთხე ორთაბრძოლა მოიგო (4-2) და ყველა შემთხვევაში წაიწევს რეიტინგში წინ. ბოლო შეხვედრაც რომ მოიგოს, ქართველი ძურიოს საგზურს ვერ მოიპოვებს, მაგრამ მე-6 ნომრის ნაცვლად პირველი ან მეორე გახდება, შემდეგ კი ძურიოს დივიზიონში გადასასვლელად ივლისის ბაშოზე დადებითი ბალანსის მოპოვებაც ეყოფა. გაგამარუ ბაშოს დღეს დაასრულებს. მისი მეტოქე მე-9 მაკუშიტა **სადანოფუჯია**, რომელსაც თეიმურაზის დარად 4-2 ბალანსი აქვს.



ჰაკუჰო: აბა მე ვინ მომერევა?

**XII დღე**

| | |
|---|---|
| ჰოკუტორიკი (მ 13) - მოკონამი (ძ 1) | 0:1 (უვატენაგე) |
| ტოსაიუტაკა (ძ 1) - დეჯიმა (მ 12) | 1:0 (იორიკირი) |
| ტაკამისაკარი (მ 12) - ტოიოჰიბიკი (მ 11) | 0:1 (ოშიდაში) |
| კიმურაიამა (მ 16) - შიმოტორი (მ 10) | 0:1 (ოშიდაში) |
| ტოკიტენკუ (მ 9) - ბუშუიამა (მ 15) | 0:1 (იორიტაოში) |
| კაკიძოე (მ 14) - იამამოტოიამა (მ 9) | 1:0 (ოშიდაში) |
| ივაკიამა (მ 8) - **კოკაი** (მ 14) | 0:1 (უვატედაშინაგე) |
| ასასეკირიუ (მ 7) - **ტოჩინოშინი** (მ 13) | 1:0 (იორიკირი) |
| კოტოშოგიკუ (მ 6) - შოტენრო (მ 15) | 1:0 (იორიკირი) |
| ფუტენო (მ 10) - იოშიკაძე (მ 5) | 1:0 (უვატენაგე) |
| კისენოსატო (მ 4) - მიაბიამა (მ 11) | 1:0 (ოშიდაში) |
| ტამანოშიმა (მ 3) - ტოჩინონადა (მ 5) | 1:0 (ცუკიოტოში) |
| ტამავაში (მ 8) - ტოიონოშიმა (მ 3) | 1:0 (ოშიდაში) |
| ტაკეკაძე (მ 2) - არანი (მ 4) | 0:1 (იორიკირი) |
| კაკურიუ (კ) - ამინიშიკი (მ 1) | 1:0 (ჰიკიოტოში) |
| ჰომაშო (მ 1) - ტოჩიოძანი (კ) | 0:1 (იორიკირი) |
| კიოკუტენჰო (მ 2) - გოეიდო (ს) | 1:0 (იორიტაოში) |
| კოტოოშუ (ო) - ჩიოტაიკაი (ო) | 1:0 (ჰიკიოტოში) |
| ბარუტო (ს) - ჰარუმაფუჯი (ო) | 0:1 (ოკურიდაში) |
| ჰაკუჰო (ი) - კაიო (ო) | 1:0 (იორიკირი) |
| კოტომიცუკი (ო) - ასაშორიუ (ი) | 0:1 (შიტატენაგე) |



ტოჩინოშინის ახალი კენშო-მავაში, საქართველო, ყურძენი, ღვინის ბოთლი, ჭიქა...

**XIII დღე**

ტოსაიუტაკა (ძ 1), 8-4-ტოჩინოშინი (მ 13), 7-5
ჰოკუტორიკი (მ 13), 3-9-კიმურაიამა (მ 16), 4-8
დეჯიმა (მ 12), 5-7-ტოიოჰიბიკი (მ 11), 9-3
ვაკაკოიუ (ძ 2), 7-5-შიმოტორი (მ 10), 4-8
ფუტენო (მ 10), 5-7-კოკაი (მ 14), 7-5
ტოკიტენკუ (მ 9), 6-6-ტაკამისაკარი (მ 12), 7-5
მიაბიამა (მ 11), 8-4-ტამავაში (მ 8), 6-6
ივაკიამა (მ 8), 7-5-შოტენრო (მ 15), 7-5
ასასეკირიუ (მ 7), 5-7-კაკიძოე (მ 14), 6-6
ტოჩინონადა (მ 5), 4-8-ბუშუიამა (მ 15), 7-5
იამამოტოიამა (მ 9), 6-6-არანი (მ 4), 5-7
ტამანოშიმა (მ 3), 5-7-იოშიკაძე (მ 5), 3-9
კიოკუტენჰო (მ 2), 5-7-ამინიშიკი (მ 1), 4-8
ჰომაშო (მ 1), 0-12-ტოიონოშიმა (მ 3), 2-10
ტაკეკაძე (მ 2), 2-10-ტოჩიოძანი (კ), 5-7
კაკურიუ (კ), 7-5-კოტოშოგიკუ (მ 6), 8-4
ბარუტო (ს), 3-9-გოეიდო (ს), 5-7
ჩიოტაიკაი (ო), 5-7-კოტომიცუკი (ო), 7-5
კაიო (ო), 8-4-კისენოსატო (მ 4), 10-2
კოტოოშუ (ო), 8-4-ასაშორიუ (ი), 11-1
ჰაკუჰო (ი), 12-0-ჰარუმაფუჯი (ო), 12-0

**ლიდერები**

12-0: ჰაკუჰო, ჰარუმაფუჯი
11-1: ასაშორიუ
10-2: კისენოსატო
9-3: ტოიოჰიბიკი



ტოსაიუტაკა ვარჯიშისას; დებიუტანტი ძურიოდან უმაღლესში აძვრა

მეტოქეები



**კოკაი ფუტენოს წინააღმდეგ:** 16 ორთაბრძოლა, 8 მოგება, 8 წაგება, ბოლო მოგება 2009 წლის იანვრის ბაშო.

**ფუტენო** (5-7): აღმოსავლეთის მე-10 მაეგაშირა

28 წლის, ყოფილი კომუსუბი, 181 სმ, 156 კგ.

**ტოჩინოშინი ტოსაიუტაკას წინააღმდეგ:** პირველად ხვდებიან ერთმანეთს.

**ტოსაიუტაკა** (8-4): აღმოსავლეთის პირველი ძურიო

24 წლის, 179 სმ, 141 კგ.



სუმოს წესებიდან

**იუმიტორი-შიკი**, სუმოს ყველა ცერემონიალიდან ყველაზე სახალისო სწორედ იუმიტორი-შიკია, ქართულად მას მშვილდის მოლუნვის ცერემონიალს თუ ვუწოდებთ. როდესაც ყველა ორთაბრძოლა მთავრდება, დოჰიოზე ამოდის მესამე დივიზიონის (მაკუშიტას) ერთ-ერთი სუმოისტი, რომელსაც წილად ხვდება იუმიტორი-შიკის შესრულების პატივი. ერთ-ერთი მსაჯი მას გადასცემს მშვილდს, რომლითაც სუმოისტი ასრულებს ცერემონიალს. ვარაუდობენ, რომ ამ ტრადიციას სათავე ჯერ კიდევ ედოს პერიოდიდან (მე-17 საუკუნე) აქვს.

დღის ამბავი

მომავალი ბანძუკე (რეიტინგი) ივნისში გამოქვეყნდება, თუმცა გუშინ უკვე ცხადი გახდა, რომ ძურიოს დივიზიონის პირველი ნომერი **ტოსაიუტაკა** ელიტაში შეაბიჯებს. სწორედ ეს, 24 წლის იაპონელი ხვდება დღეს **ლევან გორგაძეს**, ტოსაიუკატას მშვიდად შეუძლია ქართველთან საბრძოლველად გასვლა - მან მე-8 გამარჯვება გუშინ მოიპოვა, თანაც ყოფილი ოძეკი დეჯიმა დაამარცხა. ტოსაიუკატამ ძალიან მალე გაიარა სუმოს იერარქიის ყველა საფეხური, იგი ორი წელიწადია, რაც პროფესიონალი სუმოისტია.

დღის ილეთი

**დღის ილეთი: შიტატენაგე** (მხრით დაგდება)

ილეთი, რომელიც გუშინ დიდმა ჩემპიონმა **ასაშორიუმ** გამოიყენა ჩემპიონ **კოტომიცუკის** დასაგდებად.

შიტატენაგე საკმაოდ ხშირად გამოიყენება სუმოისტთა მიერ. შემტევი ხელს მხარს ქვემოთ ჩასჭიდებს მეტოქეს, დაქაჩავს მას და წაქცევის წინ გამოეცლება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

**შიტატენაგე** (მხრით დაგდება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# 49 ქულა საკმარისი არ არის



მოსალოდნელი იყო თუ არა აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში ნამდვილი ბრძოლის ხილვა? ბევრის აზრით, რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული „კლივლენდი“ ერთი თავით მაღლა იდგა თავის მეტოქეზე. ეს მოსაზრება „ორლანდოსთან“ სერიის პირველი მატჩის სასტარტო მეოთხედმაც გაამყარა. მაგრამ „მეჯიქმა“ ყველანაირი პროგნოზი თავდაყირა დააყენა და სერიაში წინ გაიჭრა.

შეხვედრის დასაწყისმა მასპინძლების სრული დომინირებით ჩაიარა. მათი სასტარტო ხუთეულის თითოეულმა წევრმა თავი ვალდებულად ჩათვალა, 5-6 ქულა შეემატებინა გუნდის აქტივისთვის და შემდეგ ესტაფეტა პარტნიორისთვის გადაეცა. ჯერ ბრაზილიელმა **ვარეჟაომ** ორჯერ ფარქვეშიდან ჩააგდო და ორი საჯარიმო გამოიყენა. შემდეგი რიგში **დელონტე უესტი** იყო, რომელმაც ერთი წუთის ინტერვალით ორი სამქულიანი გამოიყენა. თავისი შანსი არ გაუშვა **მო უილიამსმაც** - საშუალო მანძილიდან ზუსტი ტყორცნა და ჩატენვა მეტოქის პერსონალურთან ერთად. და აი, მეექვსე წუთის მიწურულს მასპინძლების უპირატესობა 13 ქულამდე ავიდა, არადა, **ლებრონ ჯეიმსი** ჯერ წესიერად არც იყო თამაშში ჩაბმული.

„მეფე“ პირველი მეოთხედის ბოლო სამ წუთში „აფეთქდა“ და 10 ქულა დააგროვა. ფლორიდელთა მდგომარეობა თანდათან მძიმდებოდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია ეპიზოდი მეორე მეოთხედის შუაში, როცა ლებრონმა და კომპანიამ უბრალოდ გადათელეს მეტოქე: **სმიტმა რაშარდ ლუისს** დაუფარა, ამას მოჰყვა ჯეიმსის ულამაზესი ჩატენვა, იქვე ლებრონმა თვით **დუაიტ ჰოვარდს** დაუფარა, შემდეგ კი სწრაფ შეტევაში სამქულიანი ჩააგდო... იმ მომენტში „კლივლენდის“ გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

პირველი ტაიმის შემდეგ, „კავალიერსის“ უპირატესობა 15 ქულას უდრიდა, მაგრამ მესამე მეოთხედში **სტენ ვან განდის** შეგირდებმაც გამოილვიძეს. მეორე ტაიმის დებიუტში „ორლანდოს“ წინ ჰოვარდი და **რაფერ ელსტონი** გაუძლვნენ. იმ მომენტში „ორლანდოს“ ცენტრის შეჩერება შეუძლებელი ჩანდა. „სუპერმენი“ ზედიზედ ტენიდა ბურთს „კლივლენდის“ კალათში და ყურადღებას არ აქცევდა გარშემო მყოფ მეტოქეებს. თავიანთი ლიდერის შემხედვარე სხვა ორლანდოელებიც ათამაშდნენ. ლუისმა შორი მანძილიდან მიზანი გაისწორა, **თუროქოგლუ** კი, რომელსაც ტყორცნა არ მისდიოდა, ბრწყინვალე პასებს არიგებდა.

მესამე მეოთხედის დასრულებამდე ორწუთ-ნახევრით ადრე **მაიკლ პიეტრუსის** სამქულიანის შემდეგ, მასპინძელთა უდიდესი უპირატესობა ორ ქულამდე დავიდა. „ორლანდო“ მეტოქეს დაეწია და აღარ აპირებდა მის წინ გაშვებას. მხოლოდ ლებრონის ზუსტი ტყორცნების წყალობით შეინარჩუნა „კლივლენდმა“ მცირე უპირატესობა.

მაგრამ მეორე მეოთხედის დაწყებიდან ორი წუთის შემდეგ, ლუისმა და ჰოვარდმა პირველად გაიყვანეს წინ თავიანთი გუნდი. გამარჯვებულის წინასწარმეტყველება უკვე შეუძლებელი იყო. საფინიშო სპურტის წინ, სტუმრებმა სამქულიანი უპირატესობა მიიღეს. მაგრამ დელონტე უესტმა და ლებრონმა მალე გააბათილეს ჩამორჩენა და ახლა უკვე „კლივლენდი“ გავიდა წინ ორი ქულით. ჯეიმსის 49 ქულა საფინალო სირენამდე 15 წამით ადრე წყალში ჩაიყარა - რაშარდ ლუისის სამქულიანმა „მეჯიქს“ სენსაციური გამარჯვება მოუტანა. ასე წააგო წლევანდელ პლეი ოფში პირველი მატჩი **მაიკ ბრაუნის** გუნდმა.

**აღმოსავლეთი**

**კლივლენდი-ორლანდო 106:107**

33:19, 30:29, 19:30, 24:29

კ: ლ. ჯეიმსი (49+8 პასი+3 დაფარება), მ. უილიამსი (17), ვარეჟაო (14), დ. უესტი (11+6 პასი+4 ჩაჭრა), ილგაუსკასი (10+10 მოხსნა).

ო: დ. ჰოვარდი (30+13 მოხსნა), ლუისი (22+7 მოხსნა), თურქოგლუ (15+14 პასი), პიეტრუსი (13), ელსტონი (11+8 პასი).

სერია: 0:1

# თურქეთშიც დრიმ თიმი ჩავა

ამერიკის ნაკრების გენერალური მენეჯერის **ჯერი კოლანჯელოს** სიტყვებით, ის 2008 წლის ოლიმპიადის ტრიუმფატორი გუნდის ნახევარ შემადგენლობას გაესაუბრა და არ გამორიცხავს, რომ პეკინის ოლიმპიადის რამდენიმე ჩემპიონმა 2010 წელს, თურქეთში პლანეტის პირველობაში მიიღოს მონაწილეობა.

შეხვედრის დროს, რომელსაც **დუეინ უეიდი, დუაიტ ჰოვარდი, კრის პოლი** და **კრის ბოში** ესწრებოდნენ, კოლანჯელომ განაცხადა, რომ ამჯერად თავისი გუნდისგან მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებას ითხოვს, რათა „დრიმ თიმი“ პირდაპირ მოხვდეს 2012 წლის ოლიმპიადაზე და 2011 წელს არ მოუწიოს საკვალიფიკაციო ტურნირის თამაში.

ამერიკის ნაკრები ამ ზაფხულს დაიწყებს ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადებას. საწვრთნელ შეკრებას ის კალათბურთელები გაივლიან, რომლებსაც არასდროს უთამაშიათ ეროვნულ გუნდში. შეკრებას „ტორონტო რეპტორზის“ მთავარი მწვრთნელი **ჯეი ტრაიანო** უხელმძღვანელებს. მის განკარგულებაში 24 ახალგაზრდა კალათბურთელი იქნება, მათ შორის **კევინ დურანტი, დერიკ როუზი, ბლეიკ გრიფინი, გრეგ ოდენი, ო ჯეი მაიო...**

კრივი

# ჰოლიფილდი ისევ ჩემპიონობაზე ფიქრობს



46 წლის **ევანდერ ჰოლიფილდის** აგენტმა განაცხადა, რომ სექტემბერში მისი შეგირდი კიდევ ერთხელ ეცდება სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას.

*„სექტემბერში გაიმართება ბრძოლა ნიკოლაი ვალუევის ან რომელიმე სხვა მოკრივის წინააღმდეგ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იქნება სატიტულო ბრძოლა“*, - აცხადებს **კენ სანდერსი** ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

შეგახსენებთ, რომ ოთხი ყველაზე პრესტიჟული ვერსიით სამი საჩემპიონო ქამარი ძმები **კლიჩკოების** საკუთრებაა: **ვლადიმერი** IBF-სა და WBO-ის ჩემპიონია, **ვიტალი** - WBC-ის. **ნიკოლაი ვალუევი** და **რუსლან ჩაგაევი** კი WBA-ის ტიტულს 30 მაისს გაითამაშებენ.

ადის-აბებაში გამართული პრესკონფერენცია 26 ივლისს დანიშნულ საჩვენებელ ბრძოლას მიეძღვნა, რომელშიც ჰოლიფილდი ადგილობრივ მოკრივე **სემი რეტის** შეხვდება. ამ ბრძოლიდან შეული თანხა შიდსით დაავადებულებს მოხმარდება.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონი ოქტომბერში 47 წლის გახდება, ის არ ფიქრობს კარიერის დასრულებაზე.

*„კრივიდან წასვლა ერთხელაც არ გამივლია გონებაში,* - ამბობს ჰოლიფილდი. - *ფაქტობრივად, დღევანდელი სიტუაცია 1992 წელს მახსენებს, როცა ტიტული დავკარგე, მაგრამ შემდეგ შევძელი მისი დაბრუნება. მე მთელს მსოფლიოს დავანახვებ, რომ ჩემს ასაკშიც შესაძლებელია მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება“.*

# არეოლა ვიტალი კლიჩკოს შეუთანხმდა

28 წლის ამერიკელი სუპერმძიმეწონოსანი **კრის არეოლა** აცხადებს, რომ თითქმის დასრულებულია მოლაპარაკებები WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ **ვიტალ კლიჩკოსთან**. *„ჩვენ ძალიან ახლოს ვართ საბოლოო შეთანხმებასთან, იმდენად ახლოს, რომ ჩვენ შორის ბრძოლა გარდაუვალი მეჩვენება“*, - ამბობს არეოლა.

პროფესიულ რინგზე აქამდე დაუმარცხებელ ამერიკელს სერიოზულად აქვს განზრახული ჩემპიონის ტიტულის მოპოვება და ამისთვის მზად არის, ნებისმიერ მოწინააღმდეგეს დაუპირისპირდეს.

*„პირველ რიგში, მინდა მონაწილეობა მივიღო სატიტულო ბრძოლაში. ეს ბრძოლა ძალიან მჭირდება, ისევე, როგორც ყველას,* - აცხადებს ამერიკელი. - *მეორე პლანზე ყოფნა აღარ მაწყობს და მინდა მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეებს შევხვდე. თუ ვლადიმერ კლიჩკო ჰეის დაამარცხებს, ან ჰეი - ვლადიმერს, შევეცდები მათ შორის გამარჯვებულს დავუპირისპირდე. არც სხვა მძიმეწონოსნებს დავტოვებ უყურადღებოდ“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი



# ანა და მარია მზად არ არიან

ცუდი ფიზიკური ფორმა და მუხლის მცირე ტრავმა ეჭვქვეშ აყენებს როლან გაროსზე სერბი ჩოგბურთელის **ანა ივანოვიჩის** წარმატებით გამოსვლის შანსებს. როგორც ცნობილია, მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს პარიზის კორტებზე შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ ამ თვის დასაწყისში ანამ განაცხადი გამოიტანა მადრიდის უმაღლესი კატეგორიის ტურნირიდან. ამის მიზეზი გახდა მუხლის ტრავმა, რომელმაც ჩოგბურთელს ჯერ კიდევ აპრილში, ფედერაციის თასის მატჩის დროს შეახსენა თავი.

მაშინ ივანოვიჩი გულშემატკივრებს დაპირდა, რომ აუცილებლად მომჯობინდებოდა საფრანგეთის ღია პირველობის სტარტისთვის და ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძოლებდა. მაგრამ ანას პირადმა მწვრთნელმა **კრეიგ კარდონმა** ცოტა ხნის წინ, tennischannel.com-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დარწმუნებული არ არის, საერთოდ შეძლებს თუ არა ივანოვიჩი როლან გაროსზე თამაშს.

*„მუხლის ტრავმის გამო ანამ შეიძლება ვერ ითამაშოს საფრანგეთში,* - მიაჩნია კარდონის. - *მაგრამ მე ვიცი, რომ ის გამოჯანმრთელების იმედს არ კარგავს. მისი სათამაშო დონე კვლავინდებურად მაღალია და მას შეუძლია ტიტულის შენარჩუნება“.*

მაგრამ როლან გაროსის ზედიზედ მეორედ მოგებისთვის მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პარიზში შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ, სერბს არც ერთი მნიშვნელოვანი ტურნირი არ მოუგია და მკვეთრად გაიუარესა შედეგები, რაც სწრაფად დაეტყო ქალთა რეიტინგში მის პოზიციებს.

ამ ერთი წლის განმავლობაში სერბმა მხოლოდ ერთი ტურნირი მოიგო - შარშან, ოქტომბერში ავსტრიის ქალაქ ლინცში გაიმარჯვა. ამ სეზონის რიგით პირველ „დიდ სლემზე“ - ავსტრალიის ღია პირველობაზე ივანოვიჩი მესამე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას, როცა სენსაციურად წააგო რუს **ალისა კლეიბანოვასთან**.

თუ ივანოვიჩი როლან გაროსს გამოტოვებს, მას WTA-ის რეიტინგის საუკეთესო ათეულიდან გავარდნა ემუქრება.

■ ■ ■

**მარია შარაპოვამ** კი გუშინ, ვარშავას ტურნირზე გამოსვლა დაასრულა. 22 წლის რუსმა ჩოგბურთელმა უბრძოლველად უკრაინელ **ალიონა ბონდარენკოსთან** წააგო, რომელმაც გასულ კვირას ყველა გააოცა, როდესაც **სვეტლანა კუზნეცოვა** და **ანა ჩაკვეტაძე** დაამარცხა და მადრიდის უმაღლესი კატეგორიის ტურნირის მეოთხედფინალში გაალწია, სადაც მომავალ გამარჯვებულ **დინარა საფინასთან** დამარცხდა.

მატჩი ზუსტად საათსა და 6 წუთს გაგრძელდა და მარიამ ორ სეტში ჯამში ოთხი გეიმი აიღო - 2:6, 2:6.

*„საფრანგეთის ღია პირველობაზე გამოსვლისგან ბევრს არაფერს ველი. დღეს ჩემს კარიერაში ის პერიოდი არ დგას, როცა წარმატების იმედი უნდა მქონდეს“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ შარაპოვამ.

# ისევ აგასი vs სამპრასი

ამერიკული ჩოგბურთის ლეგენდები - **პიტ სამპრასი** და **ანდრე აგასი** კორტზე კიდევ ერთხელ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამჯერად მათი შეხვედრა 25 ოქტომბერს, ქალაქ მაკაოს ხუთვარსკვლავიან სასტუმრო The Venetian Macao Resort Hotel-ის ტერიტორიაზე გაიმართება.

*„ჩვენი ყველა დაპირისპირება პრინციპული იყო და ერთმანეთის წინააღმდეგ ყოველთვის საუკეთესო ჩოგბურთს ვაჩვენებდით. როცა მეკითხებიან, ვინ იყო ჩემი ყველაზე ძლიერი და ღირსეული მეტოქე, ყოველთვის ვპასუხობ - აგასი“*, - განაცხადა სამპრასმა.

ანდრე და პიტი ერთმანეთს 34-ჯერ შეხვედრიან და 20 გამარჯვება სამპრასის მხარესაა. ამერიკელებმა ერთად ჯამში „დიდი სლემის“ 22 ტიტული მოიპოვეს - სამპრასის აქტივში 14 ჩემპიონობაა (მსოფლიოს რეკორდი), ანდრეს კი რვა ტიტული აქვს მოგებული.

# რაფა მისტერ ფიტნესია



მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** ჟურნალ Men's Fitness Magazine-ის მიერ დაწესებული ტიტულის მფლობელი გახდა.

გამოცემის ვერსიით, ნადალმა 2009 წლის „მისტერ ფიტნესის“ წოდება მოიპოვა. სხვათა შორის, ტიტულისთვის ბრძოლაში საკმაოდ მაღალი კონკურენცია იყო. რაფამ ბევრ ცნობილ მსახიობსა და სპორტსმენს გაუსწრო. საკმარისია აღინიშნოს, რომ ესპანელი ჩოგბურთელის შემდეგ მეორე ადგილი მსახიობმა **ჰიუ ჯეკმენმა** დაიკავა. მეხუთე ადგილზე გავიდა პეკინის ოლიმპიადის გმირი, იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი**.

ფორმულა 1. ინტერვიუ კიმი რაიკონენთან

# ფერარის ყველგან გავყვები

2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კიმი რაიკონენი მზად არის „ფერარის" შემადგენლობაში დარჩეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გუნდი ფორმულა 1-ის დატოვებას გადაწყვეტს. ფინელი ამბობს, რომ ურჩევნია სხვა ჩემპიონატში სცადოს ძალები, ვიდრე დიდი გუნდებით დასუსტებულ ფორმულა 1-ში იბრძოლოს ჩემპიონობისთვის.

მოახლოებული მონაკოს გრან-პრის წინ, „ფერარის" პილოტი თავისი გუნდის შანსებსა და საერთოდ, სკუდერიაში არსებულ სიტუაციაზე საუბრობს.



**- ესპანეთის გრან-პრიზე კარგად ჩანდა, რომ „ფერარიმ" ტრასაზე სწრაფი მანქანა გამოიყვანა. რას უნდა ველოდოთ სკუდერიასგან მონაკოში?**

- ბარსელონაში მართლაც უკეთესად გამოვიყურებოდით. წინ დიდი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ მონაკოში რბოლა განსხვავდება ჩვეულებრივი ავტოდრომებისგან. ყველანაირად ვეცდებით წარმატების მიღწევას. ვნახოთ, რა გამოგვივა.

**- რა განწყობაა ამ მომენტში „ფერარის" რიგებში?**

- ისეთივე კარგი, როგორიც ადრე იყო. მართალია, დაბალი შედეგების გამო გუნდში ცოტა დაძაბულობაა, მაგრამ ხალხი და საქმე იგივე დარჩა. ახლა მთავარია, ის ადგილი დავიბრუნოთ, რომელიც „ფერარის" ეკუთვნის.

**- საკუთარ თავზე რას იტყვით, კომფორტულად გრძნობთ თავს?**

- რა თქმა უნდა. არ არსებობს მიზეზი, რომ სხვანაირად იყოს. ჩემთვის ყველაფერი ისეა, როგორც ადრე იყო.

**- რა კომენტარს გაუკეთებთ იმ ჭორებს, თითქოს თქვენი ადგილი ფერნანდო ალონსომ უნდა დაიკავოს?**

- ამ კითხვაზე ყოველთვის ერთი და იგივე პასუხს ვიძლევი. არაფრის თქმას არ ვაპირებ - დაველოდოთ მომავალ წელს და ყველაფერს თავად დაინახავთ. მე ვიცი, რა საქმით ვიქნები დაკავებული 2010 წელს და ეჭვიც არ მიჩნდება ამ ჭორების გამო.

**- სასამართლომ არ გაითვალისწინა „ფერარის" სარჩელი. პირადად თქვენ რას ფიქრობთ ფორმულა 1-ისა და „ფერარის" დაპირისპირებაზე?**

- ფორმულა 1-სთვის ნებისმიერ შემთხვევაში ცუდია, როცა ასეთი რამ ხდება. თუ „ფერარი" და სხვა დიდი გუნდები - BMW და „მაკლარენი" ჩემპიონატში მონაწილეობას არ მიიღებენ, ეს ჩვენი სერიისთვის კატასტროფა იქნება. ეს ის გუნდები არიან, რომლებიც ფორმულა 1-ში ამინდს ქმნიან და თუ მათ ნაცვლად სხვა საჯინიბოები მოვლენ, მაგალითად GP2-ის სერიიდან, ეს სულ სხვა ჩემპიონატი იქნება.

მაგრამ მე ასი პროცენტით მხარს ვუჭერ გუნდს. რა გზაც არ უნდა აირჩიოს „ფერარიმ", მას გავყვები. იმედი მაქვს, ყველა უთანხმოება მოგვარდება.

**- ამ მომენტისთვის თქვენ უფრო „ფერარის" პილოტად აღიქვამთ თავს თუ ფორმულა 1-ის წევრად?**

- მე „ფერარიში" ვმუშაობ, ეს კი ერთი დიდი ოჯახია. ეს ის გუნდია, რომლის წევრობაც მინდა. რაც არ უნდა გადაწყვიტოს გუნდმა, მე მის გვერდით ვიქნები. ჩვენ ოჯახი ვართ და ყველაფერს ერთად ვაკეთებთ.

**- თუ თქვენ მომავალში უბრალო მაყურებელი გახდებით, დათანხმდებით თუ არა ბილეთში 500 ევროს გადახდას იმისთვის, რომ პატარა გუნდების რბოლას უყუროთ?**

- როგორც გითხარით, ჩემთვის ფორმულა 1 დიდი გუნდების შეჯიბრებაა. ჩვენ ერთად გავდივართ ტრასაზე და ვარკვევთ, რომელია საუკეთესო. ეს ჩემი აზრია, მაგრამ ყველას საკუთარი მოსაზრება გააჩნია. შესაძლოა ისე მოხდეს, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ეტაპებს აღარ დავესწრო. გავჩერდები, როცა ყველაფერი მომბეზრდება და იქნებ, არც იმის ინტერესი გამიჩნდეს, რომ რბოლებს სტუმრის სტატუსით ვეწვიო.

**- გრძნობს თუ არა „ფერარი" ზეწოლას იმ შეცდომების გამო, რომელსაც ამ ჩემპიონატში უშვებს?**

- დიახ, და ჩვენ ეს არ გვეხმარება. ისე კი მართლაც რამდენიმე სულელური შეცდომა დავუშვით, მაგრამ შევეცდებით ამ შეცდომებზე ვისწავლოთ და აღარ გავიმეოროთ მსგავსი ლაფსუსები.

**- ჯენსონ ბატონმა ხუთიდან ოთხი გრან-პრი მოიგო. ის დაუმარცხებელია? ვინ შეძლებს „ბრაუნების" დამარცხებას?**

- ბევრია ისეთი პილოტი, ვინც შეძლებს ამის გაკეთებას, მაგრამ, რა თქმა უნდა, „ბრაუნი" ძალიან ძლიერად გამოიყურება. დარწმუნებული ვარ, რომ სეზონის მსვლელობისას რბოლებს სხვა გუნდებიც მოიგებენ, მაგრამ წესებში ცვლილებებისა და მანქანებთან დაკავშირებული სხვა სიტუაციებიდან გამომდინარე, როს ბრაუნის გუნდი დღეს ყველას ჯობნის. მაგრამ ბოლო ეტაპზე ყველამ დავინახეთ, რომ დროში სხვაობა აშკარად შემცირებულია.

**- ამბობენ, რომ მონაკოში შეცდომებს არ პატიობენ. მაშინ რის ხარჯზე მიიღწევა აქ წარმატება?**

- ტრასის ყველა მონაკვეთში უნდა ეცადო ყველაზე სწრაფი იყო. მთავარია - კარგად მოამზადო მანქანა რბოლისთვის და უბრალოდ, სისწრაფე აკრიფო. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიკაციაში წარმატებით გამოსვლას, რაც ძალიან რთულია. ჩვეულებრივ, სხვა პილოტების უკან ხვდები და არაფრის გაკეთება არ შეგიძლია. ამ დროს საკუთარ სიჩქარეს ვერ იყენებ.

**- „ფერარიმ" განაცხადა, რომ მომავალ სეზონში მონაწილეობას არ მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატში, მომავალ კვირას კი თქვენ რალიში აპირებთ გამოსვლას. თუ გუნდი ფორმულა 1-დან წავა, მაშინვე დაშორდებით მას და რალიში გადახვალთ?**

- ჩემი აზრით, ჩვენ არ წავალთ ფორმულა 1-დან. მაგრამ ასი პროცენტით ამის მტკიცებაც არ შეიძლება. რა თქმა უნდა, იტალიურმა გუნდმა შეიძლება სხვა საქმე შემომთავაზოს - მე მასთან კონტრაქტი მაქვს, „ფერარი" სხვა ბევრ კატეგორიაშიც არის წარმოდგენილი. ასე რომ, მგონია გუნდი ჩემთვის რამე საქმეს გამონახავს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## სხვადასხვა

კალათბურთი

### ჩიკაგოს ახალი გენერალური მენეჯერი ჰყავს

„ჩიკაგო ბულზის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ გუნდის ახალი გენერალური მენეჯერი **გარ ფორმანი** გახდება, ხოლო მისი წინამორბედი - **ჯონ პაქსონი** საკალათბურთო ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს.

ფორმანი 2003 წლიდან ასრულებდა პაქსონის თანაშემწის როლს. ის დირექტორის რანგში უწევდა კოორდინაციას კლუბის სასელექციო მუშაობას და პაქსონს ტრეიდების განხორციელებაშიც ეხმარებოდა.

რალი

### ბრიტანეთი დაბრუნდა

რალიში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის წინასწარი კალენდარი გამოქვეყნდა. გაისად გამარჯვებული 13 ეტაპის ჯამში გამოვლინდება - ერთწლიანი პაუზის შემდეგ, რალის ბრიტანული ეტაპი დაუბრუნდა.

ბრიტანელებისთვის ადგილი მას შემდეგ განთავისუფლდა, რაც მონაკომ ზედიზედ მეორე წელია რალის მსოფლიოს ჩემპიონატის ნაცვლად, IRC-ის სერიაში გადაწყვიტა ეტაპის ჩატარება.

ორგანიზატორები მათი მისამართით პროტესტსაც არ გამორიცხავენ, რადგან სიაში ვერ მოხვდა იტალიისა და საბერძნეთის ეტაპები. 2010 წლის წინასწარი კალენდარი ასე გამოიყურება: შვედეთი, მექსიკა, პორტუგალია, იორდანია, თურქეთი, ახალი ზელანდია, ბულგარეთი, ფინეთი, გერმანია, იაპონია, კორსიკა, კატალონია, ბრიტანეთი.

მძლეოსნობა

### გრან-პრის ტრიუმფატორს დოპინგი უპოვეს

100 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მორბენალი **ჟოზეფინ ონია** აკრძალული პრეპარატების მიღებაშია ეჭვმიტანილი. იმ დოპინგ-ტესტმა, რომელიც ესპანელ მძლეოსანს 2008 წლის 13 სექტემბერს, IAAF-ის ფინალურ გრან-პრიზე ჩამოართვეს, ონიას ორგანიზმში კლენბუტეროლის კვალი აღმოაჩინა.

იმ შემთხვევაში, თუ ესპანელს დოპინგის მიღება დაუმტკიცდება, სეზონის ფინალურ ტურნირზე მოგება და 30 ათასი დოლარის ოდენობის ჰონორარი ამერიკელი **ლოლო ჯონსის** საკუთრებაში გადავა.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ჰოლანდია. პლეი ოფი** | |
| გრონინგენი-უტრეხტი | 4:0 |
| ფეიენოორდი-ბრედა | 0:4 |
| **ბელგია. საჩემპიონო პლეი ოფი** | |
| ანდერლეხტი-სტანდარდი | 1:1 |
| **დანიის თასი** | |
| ოლბორგი-კოპენჰაგენი | 0:1 |
| **ნორვეგია. X ტური** | |
| მიოლდე-ტრომსიო | 1:1 |
| ბოდო გლიმტი-ოლესუნდი | 3:0 |
| ფრედრიკსტადი-ბრანი | 2:4 |
| სტარტი-ოდ გრენლანდი | 1:1 |
| სტრიომსგოდსეტი-ლილესტრ. | 1:2 |
| ვიკინგი-სტაბეკი | 2:2 |
| ლინი-ვოლერენგა | 4:4 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრინი-ლოვ ჰამი | 3:1 |
| ჰიონეფოსი-მიონდალენი | 0:0 |
| კონგსვინგერი-ტრიომსდალენი | 2:0 |
| ნილი-ალტა | 1:2 |
| ნოტოდენი-სტავანგერი | 2:1 |
| სარპსბორგი-ჰაუგესუნდი | 1:0 |
| სიოგნდალი-მოსი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ელფსბორგი | 0:0 |
| გაის-გიოტებორგი | 0:1 |
| კალმარი-იორებრიტე | 1:0 |
| ტრელებორგი-იურგორდენი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ასირისკა-ატვიდაბერგი | 2:1 |
| ფალკენბერგი-სირიანსკა | 0:1 |
| იონჩოპინგი-ვასბი | 0:2 |
| ლანდსკრონა-ლიუნგსკილე | 0:3 |
| ნორჩოპინგი-ტროლჰატანი | 0:0 |
| მიალბიუ-კვიდინგი | 0:1 |
| **ფინეთი. II დივიზიონი** | |
| კიისტო-კემი | 0:2 |
| იიპო-ჰამეენლინა | 1:1 |
| კოოტეპე-კპვ | 0:1 |
| პოპა-პკ35 | 1:1 |
| ტპ47-ატლანტისი | 0:1 |
| ვიიკინგიტი-ოულუ | 1:1 |
| **ავსტრია** | |
| ალტახი-კაპფენბერგი | 5:1 |
| ლინცერი-ავსტრია (ვ) | 4:0 |
| რაპიდი-მატერსბურგი | 2:3 |
| ავსტრია (კ)-რიდი | 1:2 |
| შტურმი-ზალცბურგი | 2:0 |
| **სერბეთი** | |
| ოფკ-იავორი | 1:1 |
| **სერბეთის თასი** | |
| პარტიზანი-სევოინო | 3:0 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **გერმანია. პლეი ოფი** | |
| სკაილაინერსი-ოლდენბრუგი | 79:77 |
| ულმი-ტელეკომი | 69:71 |
| ბამბერგი-ჰეტინგენი | 76:69 |
| პადერბორნი-ალბა | 71:68 |
| **საბერძნეთი. ფინალი** | |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 67:69 |
| **იტალია. პლეი ოფი** | |
| ვირტუსი-ბენეტონი | 94:81 |
| სკავოლინი-მონტეპასკი | 68:77 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. კიტცბუელი** | |
| მელცერი-იუჟნი | 4:6, 4:6 |
| კოლერერი-ბენეტო | 2:6, 7:6, 0:6 |
| ჰანესკუ-გარსია ლოპესი | 2:6, 2:6 |
| ჩელა-ბეკი | 4:6, 4:6 |
| **ATP. დიუსელდორფი** | |
| სიმონი-კუერი | 5:7, 3:6 |
| შუტლერი-სიოდერლინგი | 0:6, 0:6 |
| ცონგა-ჯინეპრი | 3:6, 6:2, 6:4 |
| დელ პოტრო-ანდრეევი | 6:3, 7:6 |
| სეპი-ტროიცკი | 6:1, 6:4 |
| **WTA. ვარშავა** | |
| ვოსკობოევა-დულგჰერუ | 1:6, 5:7 |
| ოლარუ-კეოტავონგი | 0:6, 1:6 |
| შარაპოვა-ა. ბონდარენკო | 2:6, 2:6 |
| ჰანტუხოვა-ზაკოპალოვა | 6:3, 4:6, 6:4 |
| **WTA. ვარშავა** | |
| პენგი-მორიტა | 5:7, 2:6 |
| ჰრადეცკა-ბაროისი | 6:3, 7:6 |
| კუტუზოვა-კოენ ალორო | 7:5, 6:1 |
| რეზაი-ნიკულესკუ | 0:6, 6:1, 6:2 |

## TV პროგრამა

**22 მაისი. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

06:50 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეფენსორი (ურუგვაი).
08:40 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
09:40 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
10:10 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
12:20 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
13:55 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეფენსორი (ურუგვაი).
15:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:00 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
17:00 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი.
18:45 საფეხბურთო კლუბი.
19:35 საფეხბურთო პროგრამა.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:00 საფეხბურთო კლუბი.
21:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:45 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეფენსორი (ურუგვაი).
00:35 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ოსერი.
02:25 საფეხბურთო კლუბი.
03:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
03:45 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
04:45 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. არგენტინის ჩემპიონატი. ურაკანი-რივერ პლეიტი.

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

06:00 სინქრონული ცურვა.
07:00 ფიგურული სრიალი.
08:00 სპორტული დილა.
08:45 პაერნაოსნობა.
11:00 ახალი ამბები.
11:30 ბრძოლა წესების გარეშე.
12:30 მძლეოსნობა. სეზონის სტარტის წინ. ოქროს ლიგა. რომი. იტალია.
14:30 სპორტული დღე.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
19:00 ახალი ამბები.
19:30 ფიგურული სრიალი.
20:30 აფროსნობა - VOLVO OCEAN RACE.
21:00 ბრძოლა წესების გარეშე.
22:00 სპორტული საღამო.
22:30 მძლეოსნობა. სეზონის სტარტის წინ. ოქროს ლიგა. საფრანგეთი.
00:30 ახალი ამბები.
01:00 კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. ფინალი. ცსკა (რუსეთი)-პანათინაიკოსი (საბერძნეთი).
04:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-დეტროიტი III მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
11:00 მარათონი.
11:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ვარშავა. პოლონეთი.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ლია პირველობა. კლასიკა.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
17:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIII ეტაპი (LIVE).
19:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. 1998-99 წლები. მანჩესტერ იუნაიტედი.
21:00 ევროსპორტი. ტელეჟურნალი.
21:25 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
21:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ქალები. ფინალი. დუისბურგი (გერმანია)-ზვეზდა (რუსეთი) (LIVE).
23:30 რესტლინგი.
00:00 პოკერი. საფრანგეთი.
01:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
01:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. შახტარი (უკრაინა)-ვერდერი (გერმანია).

## ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

**XI ეტაპი**

**ტურინი-არენზანო**

1. **მარკ კავენდიში** (ბრიტანეთი, Columbia-Highroad) - 4.51,17; 2. **ტაილერ ფარარი** (აშშ, Garmin-Slipstream) - იგივე დრო; 3. **ალესანდრო პეტაკი** (იტალია, LPR Brakes-Farnese Vini) - იგივე დრო; 4. **ალან დევისი** (ავსტრალია, Quick Step) - იგივე დრო; 5. **სებასტიან ინო** (საფრანგეთი, AG2R La Mondiale) - იგივე დრო; 6. **დავიდე ვიგანო** (იტალია, Fuji-Servetto) - იგივე დრო... 65. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, „ასტანა") - იგივე დრო... 71. **ივან ბასო** (იტალია, Liquigas) - იგივე დრო... 78. **დანილო დი ლუკა** (იტალია, LPR Brakes - Farnese Vini) - იგივე დრო... 86. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, „ასტანა") - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **დანილო დი ლუკა** (იტალია, LPR Brakes - Farnese Vini) - 48.51,28; 2. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - +1,20; 3. **მაიკლ როჯერსი** (ავსტრალია, Columbia – Highroad) - +1,33; 4. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, „ასტანა") - +1,40; 5. **ფრანკო პელიზოტი** (იტალია, Liquigas) - +1,53; 6. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +1,54; 7. **ივან ბასო** (იტალია, Liquigas) - +2,03... 16. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, „ასტანა") - +5,28...

« პირველი გვერდიდან

# შოთა არველაძე

# აიაქსთან ხუთი წუთის სავალზე ვარ

**- „აიაქსში“ თქვენს შესაძლო გადასვლაზე ჯონი ვან'ტ შხიპის ფაქტორიც მოქმედებს. ის მარკო ვან ბასტენის წასვლის შემდეგ ხელმძღვანელობდა ამსტერდამულ კლუბს. ვან'ტ შხიპი თქვენს კონკურენტად განიხილება?**

- არ ვიცი, რამდენად რეალურია, რომ სწორედ ის გახდეს „აიაქსის“ მთავარი მწვრთნელი. ისე, ვან'ტ შხიპი მუდმივად ვან ბასტენის სამწვრთნელო შტაბში იყო, ჰოლანდიის ნაკრებშიც მისი თამაშემწე გახლდათ...

**- „ალკმაარიდან“ ლუის ვან გაალი წავიდა და მომავალი სეზონიდან „ბაიერნში“ იმუშავებს. რა მოგცათ ამ სპეციალისტთან მუშაობამ? მაინც რითი არის ის სხვებისგან გამორჩეული?**

- პირველი იდეა, რაც მას გუნდამდე მიაქვს, არის ეს - ჩვენ ვართ მონოლითური კრებული და არ უნდა ავეწყოთ ცალკეულ ინდივიდებზე. როცა ეს პრინციპი დაცულია, მერე უნდა გამოჩნდეს, ვის რა შეუძლია. სამუშაოს ის იწყებს თავისი კაბინეტიდან და ასრულებს მოედანზე.

**- „ბარსელონაში“ მას ძალიან დიდი წარმატებები არ ჰქონია, პირველ ჯერზე ის გაუშვეს კიდეც გუნდიდან...**

- ვერ ვიტყოდი, რომ ლუისს ცუდი შედეგები ჰქონდა. „ბარსელონაში“ მან არაერთი ტიტული მოიგო, თუმცა მიმაჩნია, რომ იქ მეორედ აღარ უნდა მიბრუნებულიყო. მას „ბარსაში“ გარკვეული პრობლემები ჰქონდა - არ მისცეს საკმარისი ფული იმ ფეხბურთელების შესაძენად, რომლებიც მას უნდოდა. სამაგიეროდ, მისი გვერდის ავლით აიყვანეს სავიოლა და რიკელმე. ესპანეთში უბრალოდ არის ისეთი სტანდარტები, რასაც გვერდს ვერავინ აუვლის. მაგალითად, „ბარსელონამ“ აუცილებლად უნდა დაასწროს „რეალს“ სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელის შეძენა - პირიქით. ახლა კი, როცა ვან გაალი „ბაიერნის“ მწვრთნელი გახდა, მითხრა - ამ კლუბში ყველაფერს უკვე მე გადავწყვეტო. სტამბოლში, უეფას თასის ფინალის დროს, აჩი და რეზი ფრანც ბეკენბაუერს შეხვდნენ და იცით, რა თქვა „ბაიერნის“ პრეზიდენტმა? - მასწავლებელი მინდოდა მწვრთნელად და ამიტომაც ავიყვანე ლუის ვან გაალი; იურგენ კლინსმანმა, სამწუხაროდ, ამ მხრივ ვერ გაამართლაო.

**- „ალკმაარი“ ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა და მასზე ბევრად ტიტულოვან გუნდებს - „აიაქსსა“ და „ეინდჰოვენს“ ბევრით გაუსწრო. როგორ ფიქრობთ, რა იყო გრანდების ასეთი ჩამორჩენის მიზეზი?**

- ჩვენ მთლიანად ჰოლანდიის ჩემპიონატზე ვიყავით კონცენტრირებულნი, მათ კი სხვადასხვა ფრონტზე უწევდათ ბრძოლა და შესაბამისად, „აიაქსისა“ და „ეინდჰოვენის“ ფეხბურთელებს მეტი დატვირთვა ჰქონდათ. რაც შეეხება ტრავმებს, ეს პრობლემა „ალკმაარს“ ნაკლებად შეეხო. შეიძლება ითქვას, ჩვენმა ნახევარდაცვამ მთელი სეზონი ტრავმების გარეშე ითამაშა და ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა ჩემპიონობის მოსაპოვებლად.

**- ერთი წელი ვან გაალის თანაშემწედ - რა გამოცდილება შეიძინეთ?**

- ყველაზე კარგ გამოცდილებას მაშინ იღებ, როცა ყველაფერზე შენ ხარ პასუხისმგებელი, ანუ როცა მთავარი მწვრთნელი ხარ. თუმცა მთავარი მწვრთნელის ასისტენტობაც არ არის იოლი და და არცთუ პატარა პასუხისმგებლობას მოითხოვს. რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრაში ვან გაალმა უფლება მომცა, მე ვყოფილიყავი გუნდის მთავარი მწვრთნელი. ვარჯიშებიც და თეორიული მეცადინეობებიც მე მომანდო და როგორც კი მთავარი მწვრთნელის ამპლუაში აღმოვჩნდი, ცოტა არ იყოს, სხვანაირად დავუწყე ყველაფერს ყურება. მაგალითად, ვერიდებოდი სამივე შეცვლის გახარჯვას, ბოლო შეცვლას გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის ვინახავდი. საინტერესო იყო ისიც, როცა ვან გაალი მეტოქე გუნდის თამაშებზე მგზავნიდა და მერე ამ ყველაფრის ანალიზს მთხოვდა. მაგალითად, ვიყავი „აიაქსის“ თამაშზე და როცა „ალკმაარში“ დავბრუნდი, ასეთი რამ გავაკეთე - გუნდი ორად გავყავით და ჩვეულებრივად, 11/11-ზე ვითამაშეთ. „მეტოქე“ გუნდის მთავარი მწვრთნელი მე ვიყავი და ისე ვათამაშე ფეხბურთელები, რა ტაქტიკითაც „აიაქსმა“ ითამაშა თავის ბოლო შეხვედრაში. სხვათა შორის, ასეთ თამაშებში რამდენჯერმე მომიგია კიდეც ვან გაალისთვის. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივად „ალკმაარის“ მეორე გუნდი მებარა და ასეთ შეხვედრებში მეორე გუნდი უფრო მოტივირებულია, პირველი გუნდი კი თამაშის წინ ფრთხილობს და, ასე ვთქვათ, თავს ინახავს. ვან გაალი ასეთი თამაშების შემდეგ ყოველთვის მეკითხებოდა - რატომ გააკეთე ესა თუ ის ტაქტიკური გადაადგილება, რატომ შეცვალე ესა და ეს ფეხბურთელიო?... ასეთ დროს ასისტენტის ყველა პასუხი არგუმენტირებული უნდა იყოს - ანუ მთავარი მწვრთნელი უნდა დაარწმუნო, რომ შენ მართებულად, მიზანმიმართულად იმოქმედე.









**- როცა ვან გაალი მატჩის დროს სათადარიგოთა სკამზეა, ხოლო თქვენ ტრიბუნაზე ხართ, თამაშის სხვადასხვანაირად აღქმა ხდება?**

- როცა მე ტრიბუნაზე ვარ, მხოლოდ ბურთს არ ვუყურებ, ვაკვირდები გუნდის პოზიციურ თამაშსაც. მთავარი მწვრთნელი კი ნერვიულობს და მეტწილად მოედნის იმ მონაკვეთს უყურებს, სადაც ბურთია. ასეთ დროს მე უფრო კარგად შემიძლია იმის შემჩნევა, ვის რა პოზიციური შეცდომა გაეპარა. ამით იმის თქმა მსურს, რომ მთავარი მწვრთნელის ასისტენტსაც აკისრია თავისი წილი პასუხისმგებლობა. როგორ გგონიათ, „აიაქსი“ რომ დაინტერესდა, საკუთარ სამწვრთნელო შტაბში მიხილოს, არ ექნებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ვმუშაობდი „ალკმაარში“?

**- „ალკმაარი“ თუ „აიაქსი“ - არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, რომელს მიანიჭებდით უპირატესობას?**

- რა გითხრათ... ჩემი სახლიდან „აიაქსის“ ბაზა ხუთი წუთის სავალზეა...

**- გასულ სეზონში ქართველ მწვრთნელთაგან საუკეთესო შედეგი უდავოდ თემურ ქეცბაიას ჰქონდა. ახლა არის იმის შესაძლებლობა, რომ ქეცბაია პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ თავკაცად დაინიშნოს. როგორ ფიქრობთ, რა შანსი უნდა ჰქონდეს ქეცბაიას „ოლიმპიაკოსში“?**

- მიმაჩნია, რომ თუ ქეცბაია „ოლიმპიაკოსის“ მთავარი მწვრთნელი გახდება, საქმეს თავს კარგად გაართმევს.

**- არაერთ ცნობილ მწვრთნელთან გიმუშავიათ - შენოლ გიუნეში, მორტენ ოლსენი, კო ადრიაანსე, დიკ ადვოკაატი, ალექს მაკლიში... ძნელია ალბათ გამორჩევა, მაგრამ მაინც, ყველაზე უფრო რომელმა მწვრთნელმა მოახდინა თქვენზე შთაბეჭდილება?**

- უფრო ღრმა, ფეხბურთზე ძირფესვიანად მომუშავე მწვრთნელად ვან გაალი მიმაჩნია. შესაძლოა, ამას იმიტომაც ვამბობ, რომ მასთან, როგორც მწვრთნელსაც, მომიწია მუშაობამ... ერთ ეპიზოდს გამოვყოფ ვან გაალის სამუშაო მეთოდიდან: გუნდის სადილზე ყოველთვის მასთან ახლოს სხდებოდნენ თანაშემწეები, ფიზმომზადების მწვრთნელი და ექიმი, და მაშინაც კი მიდიოდა თათბირი - ანუ სადილის დროც მუშაობისთვის გამოიყენებოდა. და ასეთ დროს იქმნებოდა იმის საშუალება, რომ მწვრთნელს არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე კომპაქტურად ესაუბრა. მერწმუნეთ, ესეც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისთვის, რასაც გუნდის მონოლითურობა ჰქვია.

**- არაფერი გითქვამთ იმ ქართველ მწვრთნელებზე, ვისთანაც გიმუშავიათ...**

- ალექსანდრე ჩივაძე, ბობი რობსონი, ლეო ბეენჰაკერი - ეს მწვრთნელები, ასე ვთქვათ, ატმოსფეროს მწვრთნელები არიან, შეუძლიათ, გუნდში კარგი კლიმატის შექმნა და ამით - ფეხბურთელების ნიჭის სრულფასოვნად გამოყენება. უბრალოდ, ჩივაძეს არ ჰქონია ისეთი ასპარეზი, როგორიც რობსონსა თუ ბეენჰაკერს.

**- არ იქნება, საქართველოს ნაკრებზეც არ გკითხოთ. ექტორ კუპერზე არაერთგვაროვანი აზრი შეიქმნა. ფაქტია, რომ მას არ უყვარს საკუთარი გადაწყვეტილებების შეცვლა, შეცდომების აღიარება... და ისიც ფაქტია, რომ არა აქვს კარგი შედეგი საქართველოს ნაკრებში. როგორ ფიქრობთ, სად გადის ზღვარი მწვრთნელის პრინციპულობასა და სიჯიუტეს შორის?**

- მიმაჩნია, რომ საკითხის ასეთნაირად დასმა მართებული არ არის. თუ მწვრთნელი ჯიუტია, ეს მისი ხასიათია. და საბოლოოდ ხომ ყველაფერი მისი გადასაწყვეტია? მაგრამ, თუ ეს ჯიუტად ენდობა ერთსა და იმავე ფეხბურთელებს, მაშინ ამ ფეხბურთელებმა უნდა გაამართლონ მწვრთნელის ნდობა. თუ თავდამსხმელს რამდენიმე თამაშში ენდობი და მას გოლი ვერ გააქვს, უკვე პასუხი მწვრთნელსაც მოეთხოვება. მოკლედ, ყველაფერს განსაზღვრავს შედეგი. ყველაფერ ამასთან დაკავშირებით, ერთი ძველი ისტორია მახსენდება: თბილისის „დინამოში“ ვარ და კვიპროსზე გავდივართ მოსამზადებელ შეკრებას, ერთ-ერთ შეხვედრაში დაღლილი, გამოფიტული ვარ, მოედანზე სირბილის მაგივრად, დავდივარ... მოკლედ, არაფერი გამომდის, ჩვენს მთავარ მწვრთნელ გივი ნოდიას კი უკიჟინებენ - გამოცვალე ეს არველაძე, რაღას უყურებო?! მაგრამ ნოდიამ მათ არ დაუჯერა - იყოს არველაძე მოედანზე, მოვა დრო და როცა ევროტურნირზე გოლი იქნება გასატანი, შოთა მას აუცილებლად გაიტანსო. ასეა, მწვრთნელის საქმიანობაში მთავარი შედეგია და თუ მწვრთნელის სიჯიუტეს შედეგი არ მოაქვს, მოდი პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს მწვრთნელი, უბრალოდ, სუსტია.

**- მაშინ, ასე დაგისვამთ კითხვას - ფიზიკურად არ მოგვეპოვება გარემარბები, მაგრამ კუპერი მაინც გარემარბებით ათამაშებს საქართველოს ნაკრებს. მიგაჩნიათ, რომ ეს სწორია?**

- მიმაჩნია, რომ არ არის სწორი, მაგრამ მე ხომ არ ვარ ჩვენი ნაკრების მწვრთნელი?!

**- საქართველოს აღარ ჰყავს გამორჩეული ფეხბურთელები. თუ გადავხედავთ ჩვენი ლეგიონერების სპექტრს, ძალიან ძნელია ისეთი მოთამაშეების აღმოჩენა, ნორმალურ კლუბებში სტაბილურად რომ თამაშობენ. გასაგებია, თუ რა ეკონომიკური სიტუაციაა დღეს საქართველოში მაგრამ მაინც - ნუთუ მხოლოდ ეს არის იმის მთავარი მიზეზი, რომ გამორჩეული ფეხბურთელები აღარ გვეზრდებიან?**

- ჩვენსა და ქეცბაია-ცხადაძის თაობას შორის სხვაობა 5 წელი იყო, ჩვენს მერე წამოვიდა იაშვილის თაობა და აქაც ხუთი წელი იყო სხვაობა, მერე გამოჩნდა ხიზანიშვილი-ასათიანის თაობა... თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ სოციალურმა პრობლემებმა ფსიქიკაზეც იმოქმედა. გაუთავებელ პრობლემებს ჯანი და ენერგია მიაქვს. სამოქალაქო ომი, დაპირისპირება, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი... მიუხედავად ამ ყველაფრისა, ვერ წარმომიდგენია, რომ საქართველოში ნიჭიერი ფეხბურთელები აღარ არიან. ახლახან, ჩვენი ბავშვები რომ იყვნენ ამსტერდამის ტურნირზე, რამდენიმე სკოლამ არ გამოუშვა თავისი ბავშვები, თუმცა, მიუხედავად ამისა, იქ მაინც ნიჭიერებმა მოიყარეს თავი. ტურნირის უმეტეს მატჩში ჩვენები დამარცხდნენ, მაგრამ რომ წარმოვიდგინოთ, ჩვენი ფეხბურთელები განაწილებული ყოფილიყვნენ ამ ტურნირში მოასპარეზე სხვადასხვა გუნდში, ისინი ყველგან გამორჩეულები იქნებოდნენ. აი, ერთ გუნდად კი... ეპიზოდი და წამი არ არის მთავარი, მთავარი გუნდური თამაშია. რაც ადრე მივხვდებით ამას, მით უკეთესი. ევროპაში კი ბავშვები უკვე დიდებივით თამაშობენ...

**- გერმანიის მაგალითი ავიღოთ - მეორე მსოფლიო ომში ნაგებულმა და ეკონომიკურად გაჭირვებულმა ქვეყანამ 1954 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა...**

- გერმანია სამაგალითო ნაციაა და მათ ვერ შევედრებით. არ ესმით, რა საჭიროა ფეხბურთელების სპეციალურად მოტივირება. მოტივაცია მათში ყოველთვისაა. ამიტომ, იქ ეს პრობლემა უკვე მოხსნილი აქვთ. ჩვენ კი არ ვართ იმხელა ერი, რომ უამრავი პრობლემის პირობებში უწყვეტად გვეზრდებოდეს ნიჭიერი თაობები. რა თქმა უნდა, ის ფაქტორიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროპაში ბავშვთა ფეხბურთის განვითარების სულ სხვანაირი, დახვეწილი და გამართული სისტემაა. უნდა შევეგუოთ იმას, რომ მაღალი შედეგების მისაღწევად ჩვენ დრო გვჭირდება. აქცენტი უნდა გადავიტანოთ განათლებაზე და სწორად მომზადებაზე, ინფრასტრუქტურის შექმნაზე, ანუ იმაზე, თუ როგორ აღვზარდოთ თაობები...

**დავით თავართქილაძე**